პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 84, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—53
) ღამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 26 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 249 (2292)

დღიური

— შეტაკებები გაფიცულებსა და პოლიციას შორის პოლონეთში.
— ბერლინში დაარსდა რევოლიუციონურ პროლეტარულ მწერლების კავშირი.
— გაიხსნა მონღოლეთის სახალხო-რევოლიუციონური პარტიის ყრილობა.
— ჰააგაში გაიხსნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია.
— ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა უარჰყოფს მონაწილეობას ანტი-საბჭოთა გეგმების შედგენაში.
— საფრანგეთის გენერალურ საბჭოების სესიამ მოიწონა მთავრობის პოლიტიკა.

შაბათს, ოქტომბრის, 27 დილის 9 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კოლხელშეკრულებათა გადასინჯვის წინ

მოკლე ხანში დაიწყება კოლექტიურ ხელშეკრულებათა გატარების შემოწმება, რასაც შემდეგ მოყვება თვით კოლხელშეკრულებათა გადასინჯვა.

ამ კამპანიას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს—როგორც მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ისე მრეწველობის განვითარებისათვის. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა.

კოლხელშეკრულებათა პრაქტიკის შესწავლა, უდაოა, ცხადყოფს მრავალ ნაკლს და უარყოფით მოვლენას. პირველ ყოვლისა ჩვენ მხედველობაში გვექვს არც ისე იშვიათი შემთხვევები, როცა კოლხელშეკრულებათა ცალკე მუხლები ცხოვრებაში არ ტარდება. ეს გარემოება აიხსნება ან იმით, რომ სამეურნეო ორგანოებმა დროზე ვერ გაითვალისწინეს თავის საწარმოთა შესაძლებლობანი და ხელი მოაწერეს ისეთ შეთანხმებას, რომლის მთლიანად განხორციელება შეუძლებელი იყო, ან იმით, რომ ისინი უყაირათობას იჩენენ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ბიუროკრატიულად უდგებიან ნაკისრ ვალდებულებებს და უყურადღებოდ ეკიდებიან მუშების კანონიერ მოთხოვნილებებს. მეორე მხრივ, ასეთ მდგომარეობის შექმნაში არა ნაკლები დანაშაული მიუძღვით პროფორგანოებს და შრომის ინსპექციას, რომელნიც არა ყოველთვის მოქმედებენ საჭირო სიმტკიცით, რომ კოლხელშეკრულებანი გადაუხრელად გატარდეს.

ყველაფერი ეს გამოაშკარავებულ უნდა იქნეს კოლხელშეკრულებათა მომავალი კამპანიის დროს და შეიქმნას ისეთი პირობები, როცა შემდეგში ასეთ შეუწყნარებელ მოვლენას ადგილი არ ექნება.

კოლექტიური ხელშეკრულებათა დარღვევას, სხვათა შორის, იწვევს ის გარემოებაც, რომ ზოგან ამ ხელშეკრულებებში მკაფიოდ და სისრულით არ არის ჩამოყალიბებული სამეურნეო ორგანოების და მუშების უფლება-მოვალეობანი. ამ ნიადაგზე მრავალი გაუგებრობა იქმნება. მომავალში ყოველგვარ გაურკვევლობას და ბუნდოვანებას ბოლო უნდა მოეღოს.

შემდეგ: კოლხელშეკრულებათა შემოწმება, ალბად, გამოაშკარავებს ბევრ დეფექტს ჩატარებულ სატარიფო რეფორმაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეფორმამ საერთოთ მეტად დადებითი შედეგები მოგვცა. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სატარიფო რეფორმის პრაქტიკული განხორციელების შედეგებს და გამოსწორებულ იქნეს შემჩნეული დეფექტები მუშების (ცალკე კატეგორიათა ხელფასის დამოკიდებულების, მუშების თანრიგის მიხედვით დაყოფის და სხვა დარგებში. შრომის ნაყოფიერების აწევა, მუშების კვალიფიკაციის სისწორით განსაზღვრა, მათი ხელფასის ერთმანეთთან სწორი შეფარდება და სხვ.—ასეთია ამ მხრივ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები.

კოლხელშეკრულებათა კამპანიის მთავარ ამოცანას შეადგენს სწორი ურთიერთობის დამყარება შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასს შორის. მტკიცება არ უნდა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა საგრძნობლად უნდა უსწრებდეს ხელფასის მატებას. ამას მოითხოვენ ინტერესები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და თვით მუშათა კლასისა, რომლის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება უშუალოდაა დამოკიდებული მრეწველობის განვითარების ტემპის გაძლიერებაზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფართოდ გაშლაზე. 1926-27 წ. მოხდა საგრძნობი გარდატეხა შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ურთიერთ დამოკიდებულებაში: პირველმა გადააჭარბა მეორეს, თუმცა არა ისეთი ტემპით, როგორც ეს გეგმით იყო ნავარაუდევი. მომავლისათვის ამ მიმართულებით შემდეგი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ახალი ხელფასის განსაზღვრის დროს, ცხადია, სავსებით უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მდგომარეობა. ეჭვი არ არის, რომ მუშები არ წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნებს, რომელნიც თუ გინდ ოდნავ შეაფერხებენ ჩვენი მრეწველობის განვითარებას.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უშიშროების, სანიტარიის და ჰიგიენის პირობების დაცვას საწარმოებში. ამ მხრივ მდგომარეობა ყველგან დამაკმაყოფილებელი არ არის. სამეურნეო ორგანოები ამ მიმართულებით ჯეროვან ზომებს არ ღებულობენ, მაშინ როცა შრომის ჯანსაღი პირობების შექმნა, გარდა იმისა, რომ ამას მუშების ინტერესები მოითხოვენ, აუცილებელია შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამიტომ შრომის პირობების დაცვას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს კოლხელშეკრულებებში—კოლხელშეკრულებათა კამპანია ფართოდ უნდა გამოვიყენოთ შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ამ დარგში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს, მაგრამ მაინც ხშირია სამუშაოს გაცდენისა და სხვა ისეთი შემთხვევები, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას ძალზე სცემენ. ამ მოვლენას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

კოლხელშეკრულებათა კამპანია მხოლოდ მაშინ გამოიღებს სასურველ შედეგებს, როცა მასში აქტიურად იქნებიან ჩაბმულნი მუშათა რაც შეიძლება მეტი მასები. კამპანია უნდა გაიშალოს თვითკრიტიკის ფართოდ გატარების ნიადაგზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ისეთი ხელშეკრულებების გამომუშავება, რომელნიც ერთიანად შეუწყობენ ხელს როგორც მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე მრეწველობის შემდგომ გაჯანსაღება-განვითარებას.

იუბილე და „იუბილე“ გერმანიაში

მიმდინარე დღეები გერმანიაში დიდ ისტორიულ თარიღებს მოგვაგონებენ. ამ ნახევარი საუკუნის წინად ბისმარკმა, გერმანიის ახალგაზრდა, მაგრამ განვითარების გზაზე ენერგიულად შემდგარი კაპიტალიზმის „რკინის კანცლერმა“ გაატარა საკატორღო ამკრძალავი „კანონი სოციალისტების წინააღმდეგ“. თითქმის ათი წლის წინად დაემხო გერმანიის მონარქია და კაიზერის გვირგვინი გერმანიის ხალხის წინ დაეცა. ხუთი წლის წინად კი (1923 წელს) გერმანიაში გუგუნებდა დიდი რევოლუციონური ქარიშხალი, რომელიც დედამიწის პირიდან აღგავს უქადდა კაპიტალისტურ წყობილებას. ცოცხლდებიან დიდი მოვლენების სურათები, ისტორიული ფიგურები, სახელები, მასიური ბრძოლის დრამატიული სცენები. რა თქმა უნდა ეს, მოვლენები სხვადასხვანაირად მჟღავნდებიან, სხვადასხვა ფონზე და სხვადასხვა ელფერით, სხვადასხვა გრძნობას და შეფასებას იწვევენ, იმისდამიხედვით, თუ ვინ იგონებს მათ—გერმანული რევოლუციონერი მუშა თუ გერმანელი ბურჟუა და სოციალ-დემოკრატი მოხელე.

მოგონებებით საზრდოობა, უკან ცქერა და უნიადაგო აღტაცება—ყოველივე ეს არის „ყოფილი ხალხის“, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული ტიპის კაცუნების ხვედრი. ამიტომ გერმანიის ნაფტალი—ჰილფერდინგის სოციალ-დემოკრატია დღესასწაულობს „სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული კანონის“ იუბილეს, ის თითქოს ეუბნება გერმანელ მუშებს: „შეხედეთ, ჩვენ ისტორიული დიდებით ვართ მოსილნი, ჩვენ რომანტიული წარსული გვაქვს, „ჩვენც ვხნავდით“, თავის დროზე ჩვენი მამები იყვნენ მარქსი, ენგელსი, ლიბკნეხტი და ბებელი, და ჩვენ მათი კანონიერი მემკვიდრეები ვართ“-ო.

ეს ისტორიული პოზა, რომლის მიღებასაც ამაოდ ცდილობს საბოლოოდ გახრწნილი სოციალ-დემოკრატია, მეტად სასაცილო და უბადრუკია. შემთხვევითი არ არის, რომ „სოციალისტურმა“ დემონსტრაციებმა ასე უბადრუკად ჩაიარეს, მაშინ, როდესაც კომპარტიის მიერ მოწყობილი დემონსტრაციები, რომლებიც ჩატარდნენ „სოციალისტ“—ბელადების ხელების ნიშან ქვეშ, კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ „კანონთან“ ბრძოლის ნიშან ქვეშ, გადაიქცნენ გერმანიის პროლეტარიატის უდიდეს და მძლავრ გამოსვლებად. „იუბილის“ მახინჯი სახე აქვს, მას ისტორიულ სარკეში ცქერაც ვერ უშველის. საკმოა შეადაროთ ერმანეთს უწინდელი სოციალ-დემოკრატიისა და ეხლანდელი სოციალ-დემოკრატიის საქმეები, რომ თვალში გეცეთ განსაცვიფრებელი კონტრასტი. უწინდელი სოციალ-დემოკრატია იყო გერმანიის პროლეტარიატის ახალგაზრდა პარტია და ამიტომაც გამოაცხადა ის ბისმარკმა „კანონ გარედ“. ეხლანდელი სოციალ-დემოკრატია თითონ ზის კაპიტალისტურ მთავრობაში. სოც.-დემ. მაშინდელ მებრძოლთ გააფთრებით სდევნიდნენ და აწიოკებდნენ როგორც „სახელმწიფოებრივ მოღალატეებს“, ეხლანდელი ჰილფერდინგები კი აშკარად გამოდიან გერმანელი ბანკირების რწმუნებულებად. მაშინდელი სოციალ-დემოკრატია გამოდიოდა კლასობრივი ბრძოლის მებაირახტრედ, სოციალ-დემოკრატიის ეხლანდელი ბელადები კი მხოლოდ „კოალიციონური“ რაინდები არიან. მაშინ ვხედავდით რევოლუციის პარტიას, ეხლანდელი სოციალ-დემოკრატია კი კონტრ-რევოლუციის განსაკუთრებულად საზიზღარი პარტიაა. მაშინდელი სოციალ-დემოკრატიის იდეური მამები იყვნენ მარქსი და ენგელსი, ეხლა „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატები კმაყოფილდებიან „დედაბრების სოციალიზმით“, ხოლო ბ-ტონმა კაუტსკებმა უტიფრად გადააქციეს მარქსი მხდალი მედუქნეებისა და ფილისტერების იდეურ ბელადათ. და თუ მხოლოდ სახელწოდების მიხედვით ეხლანდელი სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებული კანონის დროის სოციალიზმის „მემკვიდრეებად“ აცხადებენ თავიანთ თავს, მარქსს და ენგელსს, ჰეინეს ფრაზის შებრუნებით შეიძლოთ ეთქვათ: „ვეშაპებს ვთესავდით და რწყილები მოვიმკეთ“-ო. აი კიდევ დამახასიათებელი შედარება: გერმანიის ბურჟუაზიამ 1878 წელს სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონი გამოსცა, ეხლა კი მმართველ სოციალ-დემოკრატიას თითონ გაჰყავს დაწერილი და დაუწერელი კანონები, როგორ გგონიათ, ვის წინააღმდეგ?—შეიძლება ბურჟუაზიის წინააღმდეგ? არა, მას გაჰყ. ეს უტიფარი ტერორისტული კანონები კომუნისტების წინააღმდეგ.

ის მოვლენებიც, რომლებსაც ამ 10 წლის წინად ჰქონდა ადგილი გერმანიაში (ჰოჰენცოლერნების დინასტიის დამხობა) სხვადასხვა წრეებს „სხვადასხვანაირად“ აგონდებათ. ზოგისათვის ეს ამბები დაკავშირებულია სპარტაკელთა სახელოვან დღეებთან, მასიური მოძრაობის აზვირთების დღეებთან, კარლ ლიბკნეხტის, წითელ როზას დაუვიწყარ დღეებთან, პროლეტარიატის საქმისათვის დაღუპულ მებრძოლთა უცნობ სახელებთან. სხვებისათვის კი „იუბილიარებად“ გამოდიან ებერტები, ნოსკები, უბადრუკი „დამოუკიდებლები“, რომლებმაც „ამაყად“ უკუაგდეს საბჭოთა კავშირის მუშების მიერ გერმანიის პროლეტარიატისათვის დასახმარებლად გაწვდილი ხელი და დაუძმობილდნენ ვერსალის სვავებს; მათთვის „იუბილიარებად“ გამოდიან დახვრეტის ორგანიზატორები.

გერმანიის პროლეტარიატი თავისი ეხლანდელი ბრძოლით (იხილე დეპეშები) აღნიშნავს იმ დიდი კლასობრივი ბრძოლების ხუთი წლის თავს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში 1923 წლის შემოდგომაზე, ის აღნიშნავს ჰამბურგის ბარიკადების ხუთი წლის თავს. ვერსალის უღლით და არაჩვეულებრივი სამეურნეო ნგრევით დაუძლურებული გერმანიის კაპიტალიზმი დაღუპვის პირზე იყო მიმდგარი. პუანკარემ თავის ჯავშნიან ხელში ჩაიგდო რური. გერმანიაში მძვინვარებდა ინფლიაციის ორგია. ბურჟუაზიული მძარცველი სპეკულიანტები, დიდი და მცირე სტინესები, თევზს იჭერდნენ ამღვრეულ წყალში და ბინძურ მოგებას ხვეტავდნენ გერმანელი მუშების შიმშილის მეოხებით. მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს კუნოს მთავრობას წინააღმდეგ. ებერტის სოციალ-დემოკრატია მთელ თავის ძალ-ღონეს იკრებდა, რათა გადაერჩინა კაპიტალიზმი, აწარმოებდა სხვადასხვა მანევრებს და შევიდა „დიდ კოალიციაში“. რევოლუციონური კომპარტიის გავლენა მასებში სწრაფად იზრდებოდა. ჰამბურგში სამოქალაქო ომის კოცონი აენთო, პროლეტარულ უბნებში სროლა გაისმოდა. მაშინ კომუნისტებს უყურებდნენ, როგორც მომავალი რევოლუციონური ხელისუფლების წარმომადგენლებს, კომპარტიის ხელმძღვანელობამ მაშინ მძიმე ოპორტუნისტული შეცდომები ჩაიდინა, მან თავი მოატყუებია „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატიას, გენერალმა მიულერმა და სეკტმა ებერტის და კამპანიის ლოცვა-კურთხევით შესძლეს რევოლუციონური მუშების დამარცხება. სოციალ-დემოკრატიამ და ამერიკელი ბანკირების ოქრომ გადაარჩინეს მაშინ გერმანიის კაპიტალიზმი რევოლუციონურ დამხობას და მისცეს მას დროებითი ისტორიული „გამოსავალი“.

მაგრამ გერმანიის კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ისევე, როგორც მთელი კაპიტალისტური სტაბილიზაციის წინააღმდეგობანი, არ ისპობიან. ახალ ფაზაში, ახალ საფუძველზე ეს წინააღმდეგობანი მწვავდებიან თვით მოვლენათა მსვლელობით. „წყეული“ პრობლემები თანდათან უფრო აწუხებენ გერმანიის კაპიტალისტურ სისტემას. გერმანიის იმპერიალიზმი აღორძინების გზაზეა, მაგრამ მას თანდათან უფრო უჭირს სუნთქვა იმის გამო, რომ არა აქვს „კოლონიალური“ ჟანგბადი, მისი ძლიერების „შესაფერი“ შეიარაღება და სათანადო „უფლებები“ მსოფლიო ბაზარზე. მერყეობაზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა სასურველ შედეგებს არ იძლევა. გერმანია ხანგამოშვებით იძულებული ხდება ავანტიურებს მიმართოს და საეჭვო დახმარება გამოთხოვოს „ბოლშევიზმთან საბრძოლველად“. სოციალ-დემოკრატი ლაქიები ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ბატონებს, მაგრამ იმათაც კი არ ძალუძთ მითიური „სამეურნეო დემოკრატია“ რეალობად აქციონ და საგაფიცვო ბრძოლა ჩაშალონ. ჰუგენბერგის ტიპის ფაშისტური პოლიტიკოსები ისევ სცდილობენ გამოვიდნენ პოლიტიკურ ავანსცენაზე, და .რც თუ უშედეგოდ. დროებითი შეფერხების შემდეგ კომპარტია ისევ ჰკრებს თავისი დროშის ირგვლივ მასიურ რევოლუციონურ ძალებს. რეიხსტაგის უკანასკნელი არჩევნები მოწმობენ, რომ კომუნისტების მიერ მიღებული ხმების რიცხვი უახლოვდება „ოქტომბრის შემდგომ“ პერიოდში მიღებულ ხმების რიცხვს (3.250.000 და 3.700.000).

1923—24 წლებში გერმანიის კაპიტალიზმს „ვადა გაუგრძელდა“ (ამერიკის კრედიტები პლიუს სოციალ-დემოკრატია). მაგრამ ისტორიულად ის მაინც განწირულია. სოციალისტი ბატები მეორედ ველარ იხსნიან გერმანიის კაპიტალიზმს კაპიტოლიუმს. გერმანიაში რევოლუცია მოხდება და გერმანიის რევოლუცია გაიმარჯვებს.

„პრავდა“, 25 ოქტომბერი.

ლოძის ფეიქრები განაგრძობენ ბრძოლას

მუშაობა განაახლა ფეიქართა მხოლოდ 10%-მა.—გაფიცვის მონაწილეთა დევნა

გერმანიაში ლოკაუტი გამოუცხადეს 230.000 მუშა-მელითონეს

დიდი დემონსტრაციები ჰამბურგში ოქტომბრის აჯანყების 5 წლის თავზე

ლოძის ფეიქრები განაგრძობენ ბრძოლას

რეფორმისტები ეწინააღმდეგებიან გაფიცვის განგრძობას

ვარშავა, 24 ოქტომბერი. შაბათს ლოძში გაიმართა საფაბრიკო დელეგატების კრება. კრებას მეტად მღელვარე ხასიათი ჰქონდა. **ბევრი დელეგატი მოითხოვდა გაფიცვის განგრძობას და კოლექტიური ხელშეკრულების გაუქმებას.** კრების ხელმძღვანელებმა, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებმა, ხელი შეუშალეს მემარცხენე მუშების მიერ წარდგენილ რეზოლიუციის მიღებას. რეზოლიუცია მოითხოვდა გაფიცვის განგრძობას (ადს).

მეზღვაურთა გაფიცვა პოლონეთში

ვარშავა, 24 ოქტომბ. **გდინში დაიწყო მეზღვაურთა გაფიცვა, რომელსაც შეუერთდნენ ტრანსპორტის მუშები. გაფიცულებმა წარადგინეს სხვადასხვა ეკონომიური მოთხოვნა. გაფიცულია 1.500 კაცი. დამქირავებლები უარს ამბობენ მუშების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საბაბით, რომ „გაფიცვა პოლიტიკური ხასიათისაა და გამოწვეულია გერმანელების მიერ“** (ადს).

მღელვარება ფეიქართა შორის

ვარშავა, 24 ოქტომბერი. მიუხედავად იმისა, რომ ლოძის გაფიცვა ოფიციალურად შესწყდა, გაფიცვის სრული ლიკვიდაცია ჯერ არ მომხდარა. მუშების განწყობილებას საუკეთესოდ ახასიათებს ის, რომ **ორშაბათს მიუხედავად პროფკავშირთა გადაწყვეტილებისა, მუშაობა განაახლა მხოლოდ მუშების 10 პროცენტმა. სამშაბათს ბევრ წარმოებაში მუშაობა შეჩერებული იყო. ვიძევსკის მანუფაქტურაზე ხელახლა ოფიციალურად გამოცხადდა გაფიცვა, ვინაიდან ადმინისტრაციამ** მუშებს უარი განუცხადა იმ 5 პროცენტიან მომატებაზედაც კი, რომელიც პროფკავშირებს დაჰპირდნენ გაფიცვის ლიკვიდაციის დროს.

ყვითელი პროფესიონალური კავშირები მასების ზეგავლენით უარს ამბობენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დამტკიცებაზე. ამ პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს მოწოდება მუშებისადმი, რომელშიაც წამოყენებულია მრავალი ახალი მოთხოვნა. სხვათა შორის, მოითხოვენ კონფერენციის მოწვევას დამქირავებლების წარმომადგენლებთან ერთად კოლექტიური ხელშეკრულების გადასათვალიერებლად.

როგორც „კურიერ პორანი“ იუწყება, ლოძის ფეიქართა პროფესიონალური კავშირის წევრებს შორის სერიოზული მღელვარებაა. **მუშების საგრძნობი ნაწილი მოითხოვს კოლექტიური ხელშეკრულების გაუქმებას და გაფიცვის განგრძობას.**

მიუხედავად დაპირებისა, რომ სამუშაოზე დაშვებული იქნება გაფიცვის ყველა მონაწილე, ზოგიერთი ფაბრიკის ადმინისტრაცია უარს ეუბნება სამუშაოზე ფაბრიკის დელეგატებს, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვის ხელმძღვანელობაში (ადს).

მუშების შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 24 ოქტომბერი. რუდეკობიანიცში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ადმინისტრაციის მიერ გაფიცვის აქტიურ მონაწილეთა დათხოვის გამო და ახალი კოლექტიური ხელშეკრულების წინააღმდეგ. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და დაუწყო ცემა. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

საფეიქრო მრეწველობის მეორე ცენტრში ოზორკოვში დემონსტრანტები გაემართნენ მუნიციპალიტეტის შენობისაკენ. მუნიციპალურმა ხელისუფლებამ გამოიწვია პოლიცია, რომელიც თავს დაესხა დემონსტრანტებს. **მუშებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას.** დაიჭრა 10 მუშა და 7 პოლიციელი. (ადს).

გერმანიის მუშების ბრძოლა

ლოკაუტი ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 24 ოქტომბ. რეინ-ვესტფალიის ლითონის **მრეწველთა კავშირმა წინადადება მისცა თავის წევრებს, განახორციელონ 230.000 მუშის ლოკაუტი,** რომელიც დანიშნულია 1 ნოემბრისათვის. მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობაში **ბრძოლა მეტად ხანგრძლივი იქნება,** ვინაიდან სამედიატორო სასამართლოს ჩარევა, ალბად, დადებით შედეგებს ვერ გამოიღებს. (ადს).

რეფორმისტები გაფიცულთა წინააღმდეგ მოქმედებენ

ბერლინი, 24 ოქტომბერი. გერმანიის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნავთსადგურებში **გემების მშენებელი მუშების გაფიცვა ფართოვდება. გაფიცვას შეუერთდნენ ნავთსადგურის ახალი კატეგორიის მუშები.** გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, უკვე დიდ გავლენას ახდენს გემების გასვლაზე, რის გამო სანაოსნო კომპანიებმა შესცვალეს გემების მარშრუტი. გემები სხვა ნავთსადგურებში იგზავნებიან.

ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის რეფორმისტი ხელმძღვანელები მოქმედებენ გაფიცულთა წინააღმდეგ და ოფიციალურად ურჩევენ ადგილობრივ ხელისუფლებას — მიიღოს გადამჭრელი ზომები გაფიცვის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, **მოსალოდნელია გაფიცვის შემდგომი გაფართოვება.** კომუნისტების მოწოდებით, გაფიცვას ალბად შეუერთდებიან მეზღვაურებიც.

ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის რეფორმისტმა ხელმძღვანელებმა მეზღვაურთა გაფიცვის თავიდან ასაცილებლად, წამოაყენეს წინადადება კონფლიქტის სამედიატორო წესით გარჩევის შესახებ, იმ იმედით, რომ სამედიატორო ინსტანციის გადაწყვეტილება სავალდებულოდ იქნება გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, **მეზღვაურებმა დაადგინეს — გადაჭრით უარჰყონ სამედიატორო ინსტანციის** ჩარევა (ადს).

საფრანგეთის გენერალური საბჭოების სესია

პარიზი, 24 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„გაიხსნა გენერალური საბჭოების სესია. მაასის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ თავმჯდომარედ ერთხმად ისევ პუანკარე აირჩია“. (ადს).

პარიზი, 24 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ბევრმა გენერალურმა საბჭომ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ნდობას უცხადებენ მთავრობას. რეზოლიუციებში განსაკუთრებულ მადლობას უცხადებენ პუანკარეს, ბრიანს და ბონკურს მათი მოღვაწეობისათვის. ამას გარდა იწონებენ კელოგის პაქტს და გამოსთქვამენ სურვილს, რომ მოკავშირეთა შორის ვალების მოგვარების საკითხში საფრანგეთმა შეინარჩუნოს დღევანდელი პოზიცია“. (ადს).

საბჭ. კავშირი და შეერთებული შტატები

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირისათვის გაგზავნილი მიმართვის კომენტარიები

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. „ტაიმს“-ი კომენტარიებს უკეთებს იმ მიმართვას, რომელიც ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირს გაუგზავნეს და სწერს:

„ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა წინააღმდეგი არ არის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის“-ო.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კრედიტის განმტკიცებას და იმედს გამოსთქვამს, რომ უახლოეს მომავალში ამერიკის კაპიტალი შესძლებს მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის ნაყოფიერ განვითარებაში.

„ეს,—აცხადებს გაზეთი — შესაძლებელია ცნობის გარეშეც. ცნობა არ შეიძლება შედეგად მოჰყვეს ამერიკის საქმიანი წრეების მუშაობას; იგი მხოლოდ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის შეცვლის შედეგი იქნება“.

ამერიკას შეუძლია მოგებით ივაჭროს საბჭოთა კავშირთან

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. იურისტმა კრავათმა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს „ვესტინგჰაუზ ელექტრიკ კომპანია“-სთან და რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად საბჭოთა კავშირში იყო, ამას წინად ექსპორტიორების კლუბში განაცხადა: „საბჭოთა კავშირი უცხოეთის საქონელს ყოველთვის ფრთხილად ყიდულობს, მაგრამ შესყიდული საქონლის ღირებულებას სწრაფად და სწორად იხდის. ამერიკელ მრეწველებს შეუძლიათ დიდი მოგებით ივაჭრონ საბჭოთა კავშირთან“. „სტანდარტ ოილ“-ის წარმომადგენელი აიზლი მოითხოვდა, რომ ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა ინახულონ საბჭოთა კავშირი მასთან ვაჭრობის შესაძლებლობის შესასწავლად (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მისიის განცხადება

ვარშავა, 24 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის მისიამ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„ბერლინერ ტაგებლატ“-მა ამ ბოლო დროს ორჯერ დაბეჭდა ცნობა, თითქოს საფრანგეთთან შეთანხმებით ჩეხო-სლოვაკიას განზრახვა აქვს შექმნას დამოუკიდებელი უკრაინის რესპუბლიკა, დასდოს მასთან ფედერატიული კავშირი და გადააქციოს იგი თავისი კოლონიზაციის ობიექტად. **ეს ცნობა სასაცილო ფანტასტიური გამოგონებაა, იმას, რასაც ჩეხო-სლოვაკიას მიაწერენ, საერთო არაფერი აქვს არც ჩეხო-სლოვაკიის ხალხის მისწრაფებასთან და არც ჩეხო-სლოვაკიის საგარეო პოლიტიკასთან“.** (ადს).

ჰამბურგის აჯანყების ხუთი წლის თავი

ბერლინი. 24 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს ჰამბურგში საბარიკადო ბრძოლების ხუთი წლისთავის გამო, კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაცია, რომელმაც მიიღო ჰამბურგის მუშების მიერ ტელმანისათვის ნდობის გამოცხადების მძლავრი დემონსტრაციის ხასიათი. დემონსტრაცია, რომლის გამართვაც აკრძალული იქნა, ღია ცის ქვეშ, გაიმართა ჰამბურგის უდიდეს დარბაზში. გარეთ დარჩა დიდძალი ხალხი. დარბაზში შესულ ტელმანს ხალხი მქუხარე ოვაციით შეხვდა. თავის სიტყვაში ტელმანი მოკლედ შეჩერდა კომინტერნის აღმასკომის დადგენილებებზე. მან დაახასიათა სოციალ-დემოკრატების მეთოდები, იმ სოციალ-დემოკრატებისა, რომელთა მიზანსაც შეადგენს თავიანთი მოღალატეობის მიფუჩეჩება და ვიტორფის ინციდენტის გამოყენება პროლეტარიატის ავანგარდის წინააღმდეგ საერთო გალაშქრებისათვის. შეეხო რა ოქტომბრის ბრძოლების მნიშვნელობას, ტელმანმა განაცხადა: „ჩვენ წავალთ ბარიკადებზე და შევძლებთ პროლეტარული დიქტატურის დამყარებას“. ამ განცხადებას დამსწრენი დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ.

ოქტომბრის ბრძოლების მსხვერპლთა საფლავები მუშათა რევოლუციონური ორგანიზაციებისა და სხვადასხვა წარმოებების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს (ადს).

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გარშემო

არსებობს ფარული შეთანხმება

რომი, 24 ოქტომბერი. გაზეთ „ტრიბუნა“-ს ლონდონელ კორესპონდენტს მოჰყავს მრავალი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ **ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებობს ფართე პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც მსოფლიო ომამდე არსებულ ხელშეკრულებას წააგავს.** 1927 წლის ზაფხულში ინგლისმა და საფრანგეთმა დასდეს შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ კოლონიებში. ამჟამად ინგლისის თვალსაზრისი ვილნოს საკითხში სავსებით ეთანხმება საფრანგეთის პოზიციას. მიმდინარე წლის იანვარში ინგლისის და პოლონეთის ქვანახშირის მრეწველთა შორის ნამდვილი ომი სწარმოებდა. ამჟამად ისინი აარსებენ სინდიკატს. გარდა ამისა, ვარშავაში დაარსდა საექსპორტო ბანკი ინგლისის კაპიტალის მონაწილეობით. ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმებულად გამოვიდნენ სოფიაში მაკედონელ რევოლუციონერთა საკითხის გამო. ინგლისს შეეძლო კელოგის პაქტი მიეღო ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, ვინაიდან ინგლის-ამერიკის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისისთვის კავშირის განსამტკიცებლად იმ ზოგიერთ დომინიონთან, რომელიც ამერიკანიზაციის გზას ადგია. მიუხედავად ამისა, ჩემბერლენისა და ბრიანის მოლაპარაკების შემდეგ, ინგლისმა მიიღო საფრანგეთის შესწორებები. შეთანხმებულია აგრეთვე ინგლისის და საფრანგეთის პოზიცია რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხში (ადს).

მონღოლეთის სახალხო რევოლიუციონური პარტიის ყრილობა

ულან-ბატორი, 24 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს გაიხსნა მონღოლეთის სახალხო რევოლუციონური პარტიის ყრილობა. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ სტალინი ბუხარინი, კომინტერნის დელეგაციის წევრები: ამაგაევი და მაკდონალდი, მონღოლეთის მთავრობის თავმჯდომარე ამორი და სხვები. საქმიან პრეზიდიუმში შედიან აიმაჩთა დელეგაციების წარმომადგენლები და კომინტერნის დელეგაციის თავმჯდომარე შმერალი. სახალხო რევოლუციონური პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ჩაგადამბა. ორატორი შეეხო შინაპარტიულ მდგომარეობას. მან აღნიშნა, რომ არსებობს მემარჯვენე გადახრის საფრთხე, რომელსაც ყრილობამ ბოლო უნდა მოუღოს.

კომინტერნის აღმასკომის სახელით ყრილობას მიესალმა შმერალი, იგი შეჩერდა დელეგაციის ამოცანებზე და შეეხო იმ შთაბეჭდილებას, რომელიც დელეგაციამ მიიღო შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ (ადს).

„წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კონფერენცია

ბერლინი, 24 ოქტომბერი. სამშაბათს ჰააგაში გაიხსნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობით. საბჭოთა დელეგაციის წევრი ბარანოვი აირჩიეს კონფერენციის თავმჯდომარის ერთ-ერთ ამხანაგათ. (ადს).

„რუსეთის კრედიტორების ინტერესების დამცველნი“

ბერლინი, 24 ოქტომბერი. პრესა აქვეყნებს „რუსეთის კრედიტორების ინტერესების დამცველი საერთაშორისო კომიტეტის“ ოფიციალურ ცნობას. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს განსაკუთრებით საყურადღებოთ მიაჩნია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ნაციონალური გაერთიანებები ვალდებულნი არიან საერთაშორისო სოლიდარობით იხელმძღვანელონ და მოითხოვონ სავსებით თანასწორი მოპყრობა. გაზეთი აცხადებს:

„კომიტეტი დაარსდა მთავრობების მონაწილეობის გარეშე და ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ გერმანიის კერძო წრეების მონაწილეობა ეწინააღმდეგება რაპალოს ხელშეკრულებას“.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი სწერს:

„თუ საბჭოთა მთავრობა ვალების საკითხში დათმობაზე წავა, რაპალოს ხელშეკრულების თანახმად, გერმანელ მევალეებსაც თანასწორი შეღავათის უფლება აქვთ. ხოლო თუ საბჭოთა მთავრობა ისევ გადაჭრილ უარზე დგას, მთელი საერთაშორისო კომიტეტი მაინც ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს“ (ადს).

რევოლიუციონურ პროლეტარულ მწერალთა რევოლიუციონური კავშირი

ბერლინი, 24 ოქტომბერი. დაარსდა „პროლეტარულ მწერალთა რევოლუციონური კავშირი“. დაარსებას დაესწრნენ 150 მწერალი და მუშკორი, აგრეთვე ლიტერატურით დაინტერესებული მუშები. კრება გადაიქცა დემონსტრაციად ისეთი რევოლუციონური პროლეტარული ლიტერატურის სასარგებლოდ, რომელიც მუშათა კლასის რევოლუციონური განმათავისუფლებელი ბრძოლის იარაღს წარმოადგენს. მიღებულ იქნა მაქსიმ გორკის, სხვადასხვა ორგანიზაციის და საბჭოთა პროლეტარული მწერლების მისასალმებელი წერილები (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა

პრაღა, 24 ოქტომბერი. მუშათა რაიონებში როსიცსა და ოსლავანში მემაღაროეთა გაფიცვამ იფეთქა. გაფიცვა გამოცხადდა მას შემდეგ, როცა დამქირავებლებმა უარი განაცხადეს ხელფასის მომატების შესახებ მოლაპარაკებაზე (ადს).

განაჩენი კაპიტან საპულსის გამო

რიგა, 24 ოქტომბერი. სამხედრო სასამართლომ კაპიტან საპულსს, რომელსაც ბრალდებოდა კომუნისტური პროპაგანდა ჯარში, მიუსაჯა 6 წლით პატიმრობა (ადს).

დენობლეს და დელეპლანკის მიცემა პასუხისგებაში

პარიზი, 24 ოქტომბერი. იუსტიციის მინისტრმა განკარგულება გასცა, სამართალში მისცენ დენობლე და დელეპლანკა, რომელნიც ხორენის საქმეში არიან გარეულნი. გამომძიებელმა უირარმა დენობლეს და დელეპლანკას წაუყენა ბრალდება ჯაშუშობაში და განკარგულება გასცა გაჩხრიკონ მათი ბინები (ადს).

ნავთის მრეწველობის ახალი გაერთიანებანი

ლონდონი, 24 ოქტომბერი. ინგლის-სპარსეთის და აგრეთვე აზიის ნავთის მრეწველობის იმ კამპანიამ რომელიც „როიალ დეტჩ შელლ“-ის ტრესტს ემხრობა, დაარსეს ახალი კომპანია „შეერთებული ნავთის კომპანიის“ სახელწოდებით. ამ კომპანიის განკარგულებაში გადავა მთელი ის მოწყობილება და განმანაწილებელი აპარატი აფრიკაში, პალესტინაში, სირიაში, ცეილონზე, რომელიც ეკუთვნოდა ზემოდაღნიშნულ კომპანიებს. ამასთან მიღებულია ცნობა, რომ ამერიკის ნავთის მრეწველობის 15 კომპანიამ შეთანხმება დასდო ურთიერთშორის კონკურენციის მოსპობის შესახებ მსოფლიო ბაზარზე.

ღარიბთა შორის მუშაობის შემოწმება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართვა

ეროვნული კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებს, საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. მოლოტოვისა და სოფლად მუშაობის განყოფილების გამგის ამხ. ბაუმანის ხელმოწერით საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-მა მიმართა ეროვნული კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებს და საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს. მიმართვაში ნათქვამია:

„საბჭოთა მომავალი არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით, ც. კ.-მა დაადგინა—მოეწყოს ღარიბი გლეხობის ჯგუფთა დათვალიერება და აგრეთვე ამ ჯგუფების კონფერენციები. მოჯამაგირეთა ორგანიზაცია და შეკავშირება ღარიბი გლეხობისა, რომელიც მუშათა კლასის დასაყრდნობია სოფლად, ჩვენი მასიური პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ მუშაობას განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პერიოდში—კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში სოფლად, როდესაც სოციალისტური ელემენტების გაშლა-განვითარებას გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევენ კულაკები.

ასეთ პირობებში ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის მიზანი უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, კულაკებისა და, საერთოდ, კლასობრივად უცხო ელემენტების გავლენის აღმოფხვრა საბჭოებსა და კოოპერატივებში და ამ საფუძველზე ჩვენი კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან. მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება, ლენინის კოოპერატიული გეგმის ნამდვილი განხორციელება და კოლექტივიზმის ელემენტების კლასობრივი ზრდა სოფლის მეურნეობაში. არა მარტო შარშან, პურის დამზადების დროს, არამედ ახლაც კულაკები ხშირად ცდილობენ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ საბჭოთა მუშაობას სოფლის უღარიბესი ფენების ინტერესების დაცვაში და კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებას; ამავე დროს ხანდახან ერთგვარ გავლენასაც ახდენენ საშუალო გლეხობის სხვადასხვა ნაწილზე. კულაკების ეს წინააღმდეგობა ზოგჯერ იმაში გამოიხატება, რომ აშკარად თავს ესხმიან საბჭოთა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკებს—მოჯამაგირეებს, ღარიბ გლეხებს და საშუალო გლეხებს (გლეხკორებს, საბჭოთა მუშაობის ხელმძღვანელებს), ხოლო ზოგჯერ ცეცხლს უკიდებენ მათთვის არა სასურველი ელემენტების ქონებას, აფუჭებენ საზოგადოებრივ მანქანებს და სხვ.

ამასთან ერთად კულაკური ელემენტები ენერგიულად ცდილობენ სექტანტებისა და ეკლესიის საშუალებით გამოიყენონ გლეხობის ჩამორჩენილი ფენების ცრუ რევოლუციონური შეხედულებანი თავიანთი პოლიტიკური ინტერესებისათვის. თუმცა პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის შეკავშირებასა და აქტივობას ბევრი მიღწევა აქვს და ამ მხრივ ერთგვარი ზრდაც მოხდა, მაგრამ მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის მაინც სუსტია. დამაკმაყოფილებლად არა ხორციელდება პარტიის დირექტივები ღარიბი გლეხობის, მეტადრე მოჯამაგირეების, შეკავშირების გაძლიერების შესახებ. ამიტომ ამ მუშაობაში საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯი გადასდგან პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა და მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ც. კ-ი დიდ მნიშვნელობას აძლევს ღარიბი გლეხობის ჯგუფთა დათვალიერების საქმეს და ამ ჯგუფების კონფერენციების ჩატარებას. დათვალიერების საქმეში ჩაბმული უნდა იქნან პარტიული, კომკავშირელთა და პროფესიონალური ორგანიზაციები (სოფლის უჯრედებიდან მოკიდებული), აგრეთვე საბჭოების, კოოპერატივების და საშეფო საზოგადოებათა მუშაკები და გლეხკორები. საჭიროა კედლის გაზეთების ფართოდ გამოყენება.

დათვალიერების საშუალებით გაშუქებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ღარიბი გლეხობის, კერძოდ მოჯამაგირეების მონაწილეობა საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების მუშაობაში, მეტადრე ამ მუშაობაში კლასობრივი ხაზის სწორი გატარების თვალსაზრისით.
2. ღარიბი გლეხობის ჯგუფთა მონაწილეობა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარებაში და საბჭოთა მასიურ ღონისძიებათა გატარებაში სოფლის მეურნეობის გაძლიერების მიზნით.
3. **ღარიბი გლეხობის ჯგუფთა მონაწილეობა კულტურულ მშენებლობაში (მასიური კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა, სასკოლო მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო განათლება და სხვ.).**
4. ღარიბი გლეხობის ჯგუფთა მნიშვნელობა თვითკრიტიკის განვითარებაში, აპარატის გაწმენდაში კლასობრივად უცხო, გახრწნილ ელემენტებისაგან, საბჭოების სექციათა მუშაობის გაუმჯობესებაში და სხვ.
5. ღარიბი გლეხობის ჯგუფთა როლი აქტივისტი მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხების დასაწინაურებლად სახელმწიფო აპარატში და ღარიბ გლეხთა ჩასაბმელად საბჭოთა მუშაობაში.
6. პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ღარიბ გლეხთა შესაკავშირებლად და მათი ყოველ დღიური საქმიანობის სახელმძღვანელოდ, აგრეთვე კომკავშირის მონაწილეობა ამ მუშაობაში.

ღარიბი გლეხობის ჯგუფთა დათვალიერებამ და ამ ჯგუფების კონფერენციებმა ხელი უნდა შეუწყონ მთელი მუშაობის თვალსაჩინოდ გაუმჯობესებას სოფლად, მეტადრე პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებას საბჭოთა მომავალი არჩევნების დროს,

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მდგომარეობა ლოძში კვლავ რთულია

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი, გადმოგვცემს რა ახალ დაწვრილებით ცნობებს ლოძში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, სხვათა შორის, იტყობინება შემდეგს:

ვიძევსკის რაიონის საფეიქრო ფაბრიკებში გაფიცვა ისევ გრძელდება. მუშაობას არ შესდგომია 3.000 კაცი. მდგომარეობა მთელ რაიონში კვლავ არაჩვეულებრივად გამწვავებულია. მუშები მოითხოვენ შემთანხმებლების მიერ დადებულ სამარცხვინო ხელშეკრულების გაუქმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან ახალ საერთო გაფიცვის გამოცხადებით.

ქ. გდინში იფეთქა ახალ გაფიცვამ. გაიფიცენ ტრანსპორტის მუშაკები.

ამხ. ტელმანი ჰამბურგის მუშებში

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

ჰამბურგში კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, აჯანყების ხუთი წლის თავის აღსანიშნავად, გაიმართა მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია. ამ დღისათვის ჰამბურგში ჩამოვიდა გერმანიის კომპარტიის ბელადი ტელმანი, რომელსაც მუშები იშვიათი აღტაცებით შეეგებნენ.

ჰამბურგის ორგანიზაციაში მომხდარ გაფლანგვის შემდეგ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა გერმანიის კომპარტიის მუშაობას, უკანასკნელი დემონსტრაცია ამხ. ტელმანის თანდასწრებით, იმის მაჩვენებელია, რომ მომხდარი კონფლიქტი დაძლეულია და ჰამბურგის ორგანიზაცია გაჯანსაღების გზაზეა შემდგარი.

„პრავდა“ იწყებს საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმებას

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. მიმდინარე წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან გაზეთი „პრავდა“ იწყებს საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმებას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პროფსაბჭო, საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, გზათა სახალხო კომისარიატი და მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება უნდა მოხდეს ყოველ სახის საწარმოში, მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

213 ახალი სპეცია ლისტი მრეწველობას

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა სამეურნეო მუშაკებისა და მთელ რიგ დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა მრეწველობის ახალი სპეციალისტებით გაძლიერების საკითხი. თათბირზე გადაწყდა, რომ ერთი თვის განმავლობაში აყვანილ იქნას სამუშაოზე 213 ახალი სპეციალისტი, უმთავრესად ახალგაზრდობა, რომელნიც ამჟამად პრაქტიკაზე მუშაობენ სხვადასხვა საწარმოებში. აღნიშნული სპეციალისტები ჩარიცხულ იქნებიან მუდმივ მუშაკებად იმავე საწარმოებში, სადაც ისინი გადიან პრაქტიკას.

მოსკოვის მოსახლეობის მონაწილეობა წესრიგის დაცვაში

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. მოსკოვის საბჭოს ადმინისტრ. განყოფილებამ შეიმუშავა კანონპროექტი მოსახლეობის მასიური მონაწილეობის შესახებ წესრიგის დაცვის საქმეში. განზრახულია, მოსკოვის თვითეული მოქალაქე ყოველ სამ თვეში ერთხელ ნებაყოფლობითი წესით გამოყვანილ იქნას ერთი დღით მილიციასთან ერთად საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა

ცაკის მე-IV სესია მოწვეულია თბილისში

სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის
29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე
დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა.

2) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხსენებელი ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახკომისარი მ. დ. ჰუსეინოვი; თანამომხსენებელი ამ.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ნაზარეტიანი.

3) საბჭოების გადარჩევის შესახებ 1928—29 წ.—მომხსენებელი ამხ. ი. ტაგიევი.

4) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (მე-4 მოწვევის) პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესიებს შორის მიღებული დადგენილებების შესახებ—მომხსენებელი ამხ. ა. შავერდოვი.

5. საორგანიზაციო საკითხები.

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ჰამბურგში გამწვავებულია. — „ჰამბურგერ ფოლკსციტუნგ“-ის გამოცემის აკრძალვა

ბერლინი, 25 ოქტომბერი. ჰამბურგის სენატმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიული პარტიების კოალიცია, აკრძალა კომუნისტური გაზეთის „ჰამბურგერ ფოლკსციტუნგ“-ის გამოცემა. გაზეთის დახურვის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ „გაზეთი აშკარად მოუწოდებს შეიარაღებულ აჯანყებისაკენ 1923 წლის ოქტომბრის აჯანყების მაგალითის მიხედვით“, და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ კომუნისტები ცდილობენ გაფიცვა გამოიწვიონ ჰამბურგის ნავთსადგურში პროფკავშირთა დასტურის გარეშეო. ჰამბურგის მუნიციპალიტეტის გუშინდელ სხდომაზე ადგილი ჰქონდა სასტიკ შეტაკებას კომფრაქციასა და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს შორის. კომუნისტი დეპუტატი ვალტერი, რომელმაც განაცხადა პოლიციის მიერ გაფიცულთა დევნის გამო, გაძევებულ იქნა სხდომიდან. ჰამბურგში გამწვავებული მდგომარეობა გრძელდება ნავთსად. მუშათა ნაწილის და დოკერების გაფიცვა. გუშინ, როდესაც მუშების ერთ წყებას სამუშაოზე ახალი მუშები სცვლიდნენ, პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა დაიკავეს ნავთსადგურის მახლობელი ქუჩები და პიკეტების დაპატიმრებას აწარმოებდნენ. ბევრ კომუნისტურ პროკლამაციებს უქნეს კონფისკაცია. გაიფიცნენ რამდენიმე გემის მათ შორის, შვეციის გემის მეზღვაურები. მეზღვაურთა კავშირი ემზადება 1 ნოემბრისათვის საერთო გაფიცვის გამოსაცხადებლად. (ადს).

რეფორმისტების ზეგავლენით.

პრაგა, 25 ოქტომბერი. ოსტრავსკის ქვანახშირის რაიონის რეფორმისტული კონფერენციის ზეგავლენით, ამ რაიონის ყველა პროფკავშირებმა, გარდა რევოლიუციონური პროფკავშირებისა, ხელი მოაწერეს კოლექტიურ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით მემაღაროები, რომელნიც მიწის ზედაპირზე მუშაობენ მომატებას მიიღებენ 3—8 % რაოდენობით, ხოლო მაღაროებში მომუშავენი მხოლოდ ერთდროულ დახმარებას. ჩრდილოეთ-ჩეხიის ქვანახშირის რეფორმისტულმა კონფერენციამ უარი განაცხადა მემაღაროეთა საერთო მოძრაობისათვის მხარის დაჭერაზე. ამნაირად, კლადნოს მემაღაროები, რომელნიც უკვე მეოთხე კვირაა რაც გაფიცულნი არიან, განმარტოებული დარჩნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ როსიცო ოსლავანის უმნიშვნელო რაიონს, სადაც გაფიცვა გუშინ დაიწყო. რეფორმისტების გამცემლობის წყალობით, კლადნოს ოლქის მემაღაროეთა კონფერენცია, რომელიც გუშინ შესდგა, იძულებული შეიქნა გამოეტანა გადაწყვეტილება მაღაროების პატრონებთან მოლაპარაკების განახლების შესახებ. (ადს).

ტელმანს ნდობა გამოუცხადეს.

ბერლინი, 25 ოქტომბერი. ფრონტელთა წითელი კავშირისა და იუნგფრონტის თანამდებობის პირთა კონფერენციამ ბერლინში კავშირის პირველ თავმჯდომარეს ტელმანს ნდობა გამოუცხადეს 1078 ხმის უმრავლესობით. ექსვმა თავი შეიკავა. ტელმანის მოხსენება ჯავშნოსნის საწინააღმდეგო კამპანიის შედეგების შესახებ არა ერთხელ შესწყვიტეს ოვაციებით. (ადს).

უორკერს პარტის სიის გაუქმება

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. ნებრასკას შტატის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა უორკერს პარტის საკანდიდატო სია საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია რეაქციონური ორგანიზაციების ზეგავლენით. უნდა აღინიშნოს, რომ უორკერს პარტის კანდიდატებმა შეასრულეს ყოველივე საჭირო ფორმალობა.

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკების შედეგები

შანხაი, 25 ოქტომბერი. ნანკინის მთავრობის მოლაპარაკება იაპონიასთან დასრულდა, მიღწეულია მხოლოდ უმნიშვნელო შედეგი. იაპონიამ საფუძვლიანად სცნო ახალ ხელშეკრულების დადების მოთხოვნა, მაგრამ ამ საკითხზე მოლაპარაკების ვადა არ არის დადგენილი. ცზინანის ინციდენტის მოგვარების ცდას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. (ადს).

იაპონიის საქონლის რეგისტრაცია

პეკინი, 24 ოქტომბერი. სავაჭრო პალატამ და ანტი-იაპონურმა ასოციაციამ წინადადება მისცეს ტიანძინის ჩინელ ვაჭრებს, რომ აღრიცხონ მათ ხელში მყოფი იაპონიის საქონელი, რის შემდეგაც იაპონიის საქონელზე დაკვეთა აღარ მიიღება (ადს).

ვოლგის სანაპიროს გერმანელთა რესპუბლიკის ათი წლის თავი

ბერლინი, 24 ოქტომბერი. ვოლგის სანაპიროს გერმანელთა რესპუბლიკის არსებობის ათი წლის თავის გამო „კენიგსბერგერ ალგემეინე ცეიტუნგ“-ი აცხადებს, რომ გერმანიაში კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ დაბრკოლებათა მოსპობას, რომლებსაც უქმნიდა მეფის რუსეთი არა რუსულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებსო (ადს).

პარტისის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. ცეკას დადგენილების თანახმად, წინად არსებული 53 პარტისის მაგივრად რჩება 33. გაუქმებულია 20 პარტისი (ნოვოსიბირსკისა, ტაგანროგისა, ყუბანისა, უზბეკისტანის კ. პ. (ბ) ცეკასთან, თურქმენისტანის კ. პ. (ბ) ცეკასთან და სხვ.). გაუქმებულ პარტისების მაგივრად შექმნილია პარტისები ციმბირის საოლქო კომიტეტთან, ქვედა-ვოლგისა და ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტებთან, შუა-ვოლგისა და ცენტრალურ-შავ ნიადაგიან საოლქო კომიტეტებთან (ადს).

ბოლდუინს სურს

„ღმერთს“ „აამოს“

ლონდონი, 24 ოქტომბერი. ინგლისში არსებობს რელიგიური ორგანიზაცია—„საზოგადოება, რომელიც ღვთისათვის დანიშნულ დღეს ინახავს“. ამ ორგანიზაციის წერილის საპასუხოდ პრემიერმა ბოლდუინმა დაარწმუნა საზოგადოების წევრები, რომ საყოველთაო არჩევნები კვირა დღეს არ დაინიშნებაო (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 24 ოქტომბერი. სამომხმარებლო საზოგადოებაში არჩევის დროს ჰალესა და მის მიდამოებში კომპარტიის სიამ მიიღო 2.986 ხმა (138 წარმომადგენელი), ხოლო სოციალ-დემოკრატების სიამ 765 ხმა (35 წარმომადგენელი) (ადს).

პამირის ექსპედიციის მონაწილეთა დაბრუნება

ოში, 25 ოქტომბერი. პროფ. რიკმერსის მეთაურობით პამირიდან დაბრუნდა საბჭოთა გერმანული ექსპედიციის გერმანელ მონაწილეთა ერთი ჯგუფი. გერმანელი ჯგუფი ოშში დაჰყოფს სამ დღეს, შემდეგ მოსკოვში წავა. დაბრუნდა აგრეთვე ექსპედიციის რუსი მონაწილე სწავლული ტოპოგრაფი დოროფეევი. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. „ცენტროსოიუზ“-ის ცნობების მიხედვით, სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მეოთხე ხუთდღეულის განმავლობაში დამზადებულია 106.013 ტონა პური (მესამე ხუთდღეულში დამზადებული იყო 102.810 ტონა). სულ ოქტომბრის 20 დღის განმავლობაში სამომხმარებლო კოოპერაციამ დაამზადა 408.231 ტონა, ე. ი. თვიური გეგმის 97,2 პროცენტი (ადს).

სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტიტუტი

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის „ცენტროსოიუზ“-ების გამგეობათა შეერთებულმა პლენუმმა დაამტკიცა მოსკოვში ახალი უმაღლესი სასწავლებლის—საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტიტუტის დაარსების პროექტი. ინსტიტუტში მეცადინეობა დაიწყება 1929-30 სამოსწავლო წლიდან. 1929 წლის გაზაფხულზე დაიწყება ინსტიტუტისათვის სპეციალური შენობის აგება (ადს).

საკავშირო აღწერის შედეგები

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ წინასწარი ჯამი გაუკეთა საკავშირო სასკოლო აღწერას. სოციალური აღზრდის შვიდწლიანი და ცხრაწლიანი სკოლა, ასაკ გადასულთა სკოლა, გლეხთა ახალგაზრდობის და კომუნების სკოლა მთელ კავშირში აღრიცხულია 118.184. ამ სკოლებში 337425 მასწავლებელია და 11.372.507 მოსწავლე. მეცადინეობა სწარმოებს 70 ეროვნულ ენაზე. პირველი საფეხურის სკოლა 103.500-ია 8.400.000 მოსწავლით. სკოლების უმრავლესობა—107.097 სკოლა 8.100.000 მოსწავლით და 210.500 მასწავლებლით—მოქცეულია სოფლად.

ცალკე რესპუბლიკებს შორის სასკოლო ქსელი ასეა განაწილებული: რ. ს. ფ. ს. რ.-ში—85.638 სკოლა, უკრაინაში—19.598 სკოლა, ბელორუსიაში—5.535 სკოლა, უზბეკისტანში 2.072 სკოლა, თურქესტანში—306 სკოლა, ამიერ-კავკასიაში—4.835 სკოლა. მთელ კავშირში 10.000 სულზე სოციალური აღზრდის ყველა ტიპის სკოლებში სწავლობს 774 ბავშვი. ქალაქებში 10.000 სულზე მოდის 1.194 მოსწავლე, სოფლებში—675. მთელ საბჭოთა კავშირის სკოლებში სწავლობს სასკოლო ასაკის ბავშვების 70,1 პროცენტი; აქედან ქალაქებში—98,4 პროც., სოფლებში—65,3 პროც. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

ბათომი, ხელისმოწერამ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე აჭარისტანში 23 ოქტომბრისათვის მიაღწია 604.467 მანეთს ამ თანხაში არ შედიან ხელის მოწერა ჩაქვისა და სალიბაურის სახალხო მამულებისა, ბოტანიკურ ბაღის მუშების, მიწა-ტყის კავშირის და სხვა, რომელთაგან ცნობები ჯერ არ მოსულა. ხელისმოწერა სოფელში 40.000 მანეთს უდრის. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბათუმის კვანძის რკინისგზელებმა—1.426 კაცმა—97.510 მანეთზე მოაწერა ხელი.

თვის დამლევს ხელის მოწერის საერთო თანხა აჭარისტანში მიაღწევს—700.000 მანეთს, ე. ი. სამჯერ გადააჭარბებს საკონტროლო ციფრს. (ადს).

პროფ. მორდეის ჩამოსვლა

ბათომი, 24 ოქტომბერი. ბათუმში ჩამოვიდა და საზღვარ-გარედ გაემგზავრა ამერიკელი ბუნებისმეტყველი, პროფესორი მორდეი, ნიუ-იორკის ბუნებისმეტყველებისა და ისტორიულ მეცნიერებათა მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების დირექტორი. (ადს).

აფხაზეთი

სოხუმი, დასრულდა მოსამსახურეთა შორის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების გასაღების კამპანია. განაღდებულია 324.285 მანეთის ობლიგაცია. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა ყველაზე უფრო აქტიური პროფესიონალური უჯრედების დაჯილდოების შესახებ. (ადს).

სოხუმი, 25 ოქტომბერი. მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობების მიხედვით, გულრიფში შეივსო 145 ადგილი. 1-ლ ნოემბრისათვის მოელიან კიდევ 150 ავადმყოფს—ბაქოს მემაღაროებს და მელითონეებს. პოლიგოროდნიკის სახელობის პანსიონატი შევსებულია 100 პროცენტით.

ამ დღეებში გაიხსნა 4 მარტის სახელობის სანატორიუმი ყელით დაავადებულთათვის. საავადმყოფო შევსებულია 60 პროცენტით წელს, ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ ავადმყოფთა გარდა, არიან თავის ნებით ჩამოსულნიც. დიდი სიძნელის გადალახვაა საჭირო მეზობელ რესპუბლიკებიდან პროდუქტების მიღებაა. დაიდო ხელშეკრულება „სევკავტორგ“-თან მთელი ზამთრის სეზონის განმავლობაში პროდუქტების მოწოდების შესახებ. (ადს).

სომხეთი

სახელმწიფო დაზღვევის აგენტის სიყალბე

სტეპანაკერტი, 24 ოქტომბერი. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საგანგებო სასამართლომ გაარჩია საქმე სახელმწიფო დაზღვევის საოლქო აგენტის ედუარდ ბარხუდაროვისა, რომელსაც ბრალდებოდა სიყალბე და გაფლანგვა. ბარხუდაროვი სახელმწიფო დაზღვევის აგენტად ყოფნის დროს სოფლის საბჭოების აქტებს დახოცილ საქონელზე ორ-ორ ცალად ადგენდა. ერთი ცალით ფულს იღებდა გლეხი, ხოლო მეორე ცალით, რომელზედაც ყალბი ხელწერა იყო, თვითონ ბარხუდაროვი იღებდა ხელმეორეთ. სასამართლომ ბარხუდაროვს სამი წლით გამასწორებელ სახლში პატიმრობა მიუსაჯა. (ადს).

მიხეილ ნიკ. პოკროვსკის იუბილე

მისალმება იუბილიარს

საქართველოს კომ. პარტიის ცეკასაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკის—მედგარი რევოლიუციონერ-ბოლშევიკს და უდიდეს ისტორიკოსს მარქსისტს.

იცოცხლეთ მრავალი წელი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საკეთილდღეოდ და ენერგიულად განაგრძეთ პროლეტარიატის შეიარაღება მეცნიერებით.

ლენინის ინსტიტუტისაგან

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. ამხ. პოკროვსკისადმი მიწერილ წერილში ლენინის ინსტიტუტი გულითად სალამს უძღვნის „ძველს ბოლშევიკს, ძველს არალეგალურ მუშაკს და მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს, ჩვენის დროის ერთ-ერთ ფრიად განათლებულ მარქსისტს“.

„პოკროვსკის წიგნებით,—ნათქვამია წერილში,—სწავლობენ და ისწავლიან ფართო პარტიული და მუშათა მასები, მოსწავლე ახალგაზრდობა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარედაც“.

ლენინის ინსტიტუტი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ამხ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდება უფრო ფართოდ გაიშალოს მარქსისტულ-ლენინური ისტორიული კვლევა-ძიების დროშა, დროშა ისტორიული პროპაგანდისა და ისტორიული ცოდნისა მშრომელთა ფართო მასებს შორის. (ადს).

ისტორიკოს - მარქსისტების ამ. კავკასიის საზოგადოებისაგან

ისტორიკოს-მარქსისტების ამიერ-კავკასიის საზოგადოება მხურვალე სალამს უძღვნის მარქსისტულ ისტორიული მეცნიერების ხელმძღვანელსა და ბელადს.

უდიდესი მეცნიერი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი რეფორმატორული მუშაობის სახალხო განათლების საქმეში, მ. ნ. პოკროვსკი სარგებლობს დიდ და დამსახურებულ პოპულიარობით საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებში. მის ნაშრომებზე იზრდება არა მარტო მოზარდი ახალგაზრდობის კადრები საშუალო და უმაღლეს სკოლაში, არამედ მისი წიგნები ფართოდაა გავრცელებული და მეტად პოპულიარულია შეგნებულ მუშათა შორის. ეს იმით აიხსნება, რომ მ. ნ. პოკროვსკიმ, რომელშიაც შეერთებულია უდიდესი მეცნიერის და ბოლშევიკის ყველა უძვირფასესი თვისება, ნამდვილად შესძლო მეცნიერების შეტანა მასებში იმით, რომ უდიდეს კვლევა-ძიებითი ნაშრომებთან ერთად დასწერა მრავალი, ფართო მასებისათვის სავსებით გასაგები წიგნი.

თვით მ. ნ. პოკროვსკი ხშირად ამტკიცებდა, რომ ყოველი დამოუკიდებელი მკვლევარი - მოაზროვნე ისტორიკოსის ისტორიული კონცეპცია ყოველთვის დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ შეხედულებების სისტემასთან, რომელსაც იცავს ეს ისტორიკოსი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარის ისტორიის და საზოგადო მოღვაწის ბორის ჩიჩერინის ისტორიული კონცეპცია ისევე იყო დაკავშირებული მის ლიბერალური შეხედულებებთან, როგორც პ. ნ. მილიუკოვის კონტრახტების თეორია და რუსეთის თვითმპყრობელობის არაკლასობრივობის დაცვის თეორია მთლიანად იყო დაკავშირებული მის კადეტურ მოღვაწეობასთან, ისევე როგორც გ. ვ. პლეხანოვის ისტორიული კონცეპცია, შექმნილი მის მიერ 1913—1916 წლების პერიოდში, დაკავშირებული იყო ობორონცობის დაცვასთან, ისევე, როგორც ლ. დ. ტროცკის ისტორიული კონცეპცია დაკავშირებული იყო მის შემცდარ ანტილენინურ შეხედულებებთან.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მ. ნ. პოკროვსკის შესახებ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ შექმნილი ისტორიული (ნამდვილად მარქსისტული) სკოლა, მის მიერ განვითარებული თეორია ისტორიული პროცესი რუსეთში, **მთლიანად და სავსებით შეესაბამება მისი, როგორც ლენინის მიმდევარისა და ორთოდოქსალური ბოლშევიკის პოლიტიკურ შეხედულებებს.**

მის მიერ შექმნილი თეორია სავაჭრო კაპიტალიზმის, როგორ რუსეთის თვითმპყრობელობის დარაზმულ პოლიტიკური ძალის როლის შესახებ, გადაიქცა იმ წერტილად, საიდანაც იღებს დასაწყისს ის ახალგაზრდა სკოლა ისტორიულ მეცნიერებაში, რომელმაც დღევანდელ მეცნიერისათვის უკვე შექმნა მრავალი დიდი ნაშრომი, რითაც მთლიანად გაბათილდა არა მარტო ბურჟუაზიულ ისტორიკოსების დებულებანი, არამედ გაანადგურა რუსული მენშევიზმის ლიკვიდატორული სკოლაც, რომელიც ორი რევოლიუციის შუა პერიოდში ცდილობდა დაესაბუთებია თავისი პოლიტიკური ლიკვიდატორულ-ობორონცული შეხედულებანი.

გარდა ამისა მ. ნ. პოკროვსკიმ დაამუშავა რუსეთის თვითმპყრობელობის საგარეო პოლიტიკის მრავალი საკითხი და დაასურათა მეფის რუსეთის ბრძოლა კოლონიების მოსახვეჭებლად, რითაც ნათელჰყო ძველი თვითმპყრობელური რუსეთის, როგორ წვრილ ეროვნებათა მჩაგვრელისა და კოლონიზაციის ნამდვილი სახე. **მ. ნ. პოკროვსკის მუშაობის ამ ნაწილმა, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ერებისათვის** (საკმარისია აღვნიშნოთ მისი წერილები კავკასიის დაპყრობის შესახებ, დაბეჭდილი გრანატის მიერ გამოცემულ მე 19 საუკუნის რუსეთის საისტორიო კრებულში) საგრძნობლად შეარყია კოლონიზატორულ მიდრეკილებათა აპოლოგეტების პოზიციები **რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში.**

ისტორიკოს-მარქსისტების სრულიად საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის ისტორიულ მეცნიერებაში ბურჟუაზიულ სკოლებთან ბრძოლის ხელმძღვანელი—მ. ნ. პოკროვსკი ხელმძღვანელობას უწევს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური ფრონტის საგრძნობ ნაწილს.

ეს მუშაობა უაღრეს მნიშვნელობას იღებს აქტივობის იმ ზრდასთან დაკავშირებით, რომელსაც იჩენენ ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზ. და წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები იდეოლოგიურ ფრონტზე, რასაც არ შეეძლო არ ეჩინა თავი ისტორიულ მეცნიერების დარგშიაც.

ისტორიკოს-მარქსისტთა ამიერ-კავკასიის საზოგადოება, რომელიც დაარსდა სულ ცოტა ხნის წინად (როგორც სრულიად საკავშირო საზოგადოების ფილიალი) თავის მუშაობის დაწყებისას ძირითად ლოზუნგად აყენებს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიულ მეცნიერებაში ნაციონალისტურ ტენდენციებთან ბრძოლის აუცილებლობას.

აყენებს რა ამ ძირითად ლოზუნგებს საბჭოთა კავშირის მარქსისტულ-ისტორიულ მეცნიერების ხელმძღვანელის საიუბილეო ზეიმის დღეს, ისტორიკოს-მარქსისტების ამიერ-კავკასის საზოგადოება სთვლის, რომ საუკეთესო გამოძახილი საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ყველა ისტორიკოს-მარქსისტის მხრივ, საუკეთესო გამოძახილი ყველა ჩვენთან ახლო მდგომ და მარქსისტულად მოაზროვნე მოსწავლე ახალგაზრდობის მხრივ იქნება ნაყოფიერი და მედგარი შრომა ამიერ-კავკასის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების განვითარების მარქსისტულ-ისტორიული სქემების დასამუშავებლად, **მედგარი ბრძოლა ისტორიულ მეცნიერებაში ნაციონალისტურ ტენდენციების იდეოლოგებთან, რომელნიც ნეიტრალური არა კლასობრივი ისტორიის სახით ცდილობენ [illegible] მუსავატურ-დაშნაკური იდეოლოგია..**

ისტორიკოს-მარქსისტების ამიერ-კავკასიის საზოგადოება ღრმადაა დარწმუნებული, რომ ამ მუშაობას და ამ ბრძოლას, როგორც ისტორიული მეცნიერების მუშაობის ნაწილს, გაუწევს ხელმძღვანელობას მ. ნ. პოკროვსკი.

ისტორიკოს - მარქსისტების ამიერ-კავკასიის საზოგადოების ბიუროს დავალებით: **ს. სეფი.**

საქართველოს საარქივო მუშაკებისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარქივო მუშაკთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო მიხეილ ნიკოლოზის ძევ, თქვენი სიცოცხლის 60 წლის იუბილეს გამო. თქვენი სახით სალამს ვუძღვნით უდიდეს ისტორიკოს-მარქსისტს, რომელმაც ბრწყინვალედ შესძლო ერთსა და იმავე დროს გაეწია სწავლულ მკვლევარის და რევოლიუციონერ-საზოგადო მოღვაწის მუშაობა. თქვენი სახით სალამს ვუძღვნით უმაღლესი სკოლის გარდამქმნელს და ახალი თაობის, მეცნიერების მუშაკთა ახალი კადრების მასწავლებელს. თქვენი სახით სალამს ვუძღვნით საარქივო საქმის რეფორმატორს და საარქივო მშენებლობის იდეურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელს.

ეს ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, საქართველოს საარქივო მუშაკთათვის, რაგან იგი გვიადვილებს ძნელი და პასუხსაგები ამოცანის—საბჭოთა საქართველოში საარქივო საქმის მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანის შესრულებას.

მხურვალე და უღრმესი მადლობა თქვენ, ძვირფასო მიხეილ ნიკოლოზის ძევ, საბჭოთა საქართველოს საარქივო მუშაკთაგან იმ იდეური ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის, რომელიც გასწიეთ თქვენ საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკის დაყენების მეცნიერულ-მარქსისტული მეთოდების შეგნების საქმეში.

საქართველოს ცენტრალური არქივის დირექტორი **ი. იოვიძე.**

საზეიმო სხდომები

მოსკოვში

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. ამხ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო, მისი სამეცნიერო და პოლიტიკური მოღვაწეობის აღმნიშვნელი კომიტეტი აწყობს სპეციალურ სადღესასწაულო სხდომებს უმაღლეს სასწავლებლებში, კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში, მუშათა ფაკულტეტებში, და იმ დაწესებულებებში, რომელნიც სამეცნიერო გამოკვლევებს აწარმოებენ. ბევრ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, რევოლიუციის მუზეუმში, ცენტრალურ არქივში იმართება გამოფენები ამხ. პოკროვსკის მოღვაწეობის აღსანიშნავად. დღესასწაული დასრულდება საზეიმო სხდომით 3 ნოემბერს წითელი პროფესურის ინსტიტუტში. (ადს).

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში

გუშინ, საღამოს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, შესდგა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა მუშაკების საზეიმო სხდომა ამხ. მ. ნ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო. ამიერ-კავკასიის და საქართველოს საიუბილეო კომისიის სახელით საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. **ფილიპე მახარაძემ**, რომელმაც დაახასიათა მ. ნ. პოკროვსკი, როგორც მარქსისტი-ისტორიკოსი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და როგორც ადამიანი.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

დღეს,—ამბობს ამხ. ფ. მახარაძე—მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა დღესასწაულობს თავისი საუკეთესო მეცნიერის მარქსისტ ისტორიკოსის იუბილეს. საბჭოთა ხელისუფლება არაა ჩვეული ხშირად იუბილეების გამართვას. მაგრამ ამხ. მ. ნ. პოკროვსკის დამსახურება რევოლიუციისა და მეცნიერების წინაშე იმდენად დიდია, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობას და საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო არ აღენიშნა ეს მნიშვნელოვანი თარიღი გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებაში. პოკროვსკი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს წინადელ რუსეთის დანარჩენ მეცნიერებს შორის. მას, როგორც დიდად ნიჭიერს სწავლულ მეცნიერს, წინ დიდი გზა ჰქონდა გადაშლილი, მას ამ გზაზე შეეძლო მოეპოვებია დიდი სახელი, პოპულიარობა, მყუდრო მდიდრული ცხოვრება, მაგრამ ყველაფერი ეს მან ანაცვალა ჭეშმარიტებას და ამ ჭეშმარიტებამ იგი მიიყვანა ნამდვილ ისტორიულ მეცნიერებამდე, მეცნიერებამ კი რევოლიუციონურ მოძრაობამდე. მაშინ, როცა მრავალი მეცნიერის, მრავალი ინტელიგენტის რადიკალიზმი ესერების, რევოლიუციონურ ხალხოსნების, მენშევიკების მსოფლმხედველობას ვერ სცილდებოდა, პოკროვსკიმ მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა და რევოლიუციონური მუშაობა დაუკავშირა ბოლშევიკურ, კომუნისტურ პარტიის საქმიანობას და გაბედულად ჩადგა ბოლშევიკების რიგებში. მაშინ როცა ინტელიგენციის და მეცნიერების დიდმა ნაწილმა არჩია დგომა რევოლიუციისა და კონტრრევოლიუციის შუა, მეცნიერი პოკროვსკი უშუალოდ ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში. ოფიციალურ კათედრას, რომელიც მას მისცემდა სახელს, დიდებას და სიმდიდრეს, მან არჩია არალეგალურ წრეებში მუშაობა, ნამდვილი მეცნიერული ცოდნის პოპულიარიზაცია.

მან გაბედულად გადადგა ნაბიჯი რევოლიუციისაკენ, და, თუ დღეს საბჭოთა საზოგადოებრივობა ასეთი ზეიმით დღესასწაულობს მის იუბილეს, ეს სწორი და სამართლიანი შეფასებაა მისი მრავალმხრივი სამეცნიერო და რევოლიუციონური მოღვაწეობისა, რომელიც მოჰყვა მის პირველ ნაბიჯს.

დიდია მისი დამსახურება, როგორც მარქსისტ-ისტორიკოსის, მაგრამ არა ნაკლებია მისი ღვაწლი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის; როგორც სახალხო განათლების ერთერთი ხელმძღვანელის. მისი თაოსნობით და მის უშუალო მონაწილეობით მოხდა სახალხო განათლების გადახალისება ახალ საფუძველზე.

ამხ. მ. ნ. პოკროვსკი შესანიშნავი პიროვნებაა არა მარტო როგორც მარქსისტი-ისტორიკოსი, რომელმაც ახალი ხანა დაიწყო ისტორიოგრაფიაში, არა მარტო, როგორც საბჭოთა სახალხო განათლების საფუძვლების ჩამყრელი, არამედ როგორც ადამიანი. ყველას ხიბლავს მისი სისადავე, სიმარტივე, უბრალოება, რომელიც მან შეინარჩუნა ახალგაზრდობიდან დღემდე. მან შეინარჩუნა გონების სიფხიზლე და იშვიათი შრომის უნარი. მიუხედავათ იმისა, რომ ის დღეს 60 წლის მოხუცია, მას არ ემჩნევა დაღლილობა და ეხლაც იგი ახალგაზრდულ გატაცებით განაგრძობს სამეცნიერო და სახელმწიფო მოღვაწეობას. უსურვოთ ამხ. პოკროვსკის დღეგრძელობა.

გაუმარჯოს მ. ნ. პოკროვსკის.

გაუმარჯოს პროლეტარულ მეცნიერებას, გაუმარჯოს სოციალიზმს.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ბოლშევიკურ პარტიას,—ამბობს ამხ. მიხა,—შეუძლია იამაყოს თავისი საყვარელი მეცნიერით მ. ნ. პოკროვსკით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ ისტორიოგრაფიას და დასწერა რუსეთის ისტორია დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისით.

ამხ. მიხა იგონებს რამოდენიმე შეხვედრას ამხ. პოკროვსკისთან და ასახელებს მრავალ ისეთ ფაქტს მისი ცხოვრებიდან, რომელიც მოწმობს მის შეუპოვრობას არა მარტო როგორც რევოლიუციონერისას, არამედ როგორც მეცნიერისაც.

ამხ. მიხას დასკვნით, პოკროვსკი მთლიანი პიროვნებაა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა მეცნიერულ ჭეშმარიტების და პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისათვის. დიდებას, ფუფუნებას, რომელსაც მას უმზადებდა ბურჟუაზიული უნივერსიტეტების კათედრაზე მუშაობა, მან არჩია ჭეშმარიტი მეცნიერისა და თავდადებული რევოლიუციონერის ეკლიანი გზა. ამხ. მიხას აზრით,—პოკროვსკიმ რუსეთის ისტორია გასწმინდა იმ ნაგავიდან, რომელიც დააგროვეს ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა. ამხ. მიხა იგონებს იმ დროს, როდესაც პოკროვსკი უცხოეთში გადევნილი ამუშავებდა ისტორიულ ფაქტებს რუსეთის წარსულიდან და ააშკარავებდა ბურჟუაზიულ ისტორიკოსების მიერ ამ ფაქტების გაშუქების სიყალბეს და შეუსაბამობას. პოკროვსკიმ შექმნა ისტორიული მეცნიერების სკოლა, რომელსაც დღეს მრავალი მარქსისტი მეცნიერი მისდევს.

ვუსურვებთ დღეგრძელობას მხცოვან მეცნიერს საბჭოთა მეცნიერების და ახალი სოციალისტური საზოგადოების საკეთილდღეოდ!

ამხ. სეფის მოხსენება

ამხ. სეფი მ. ნ. პოკროვსკის ახასიათებს როგორც ისტორიკოსს: როცა ჩვენ ვაფასებთ პოკროვსკის,ამბობს იგი,—ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა ვილაპარაკოთ მასზე, როგორც ისტორიკოსზე, რომელმაც ისტორიული მეცნიერება დაუკავშირა კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობას. მის მიერ შექმნილი ნამდვილი მარქსისტული ისტორიის სკოლა, მის მიერ მოცემული რუსეთის ისტორიული პროცესის თეორია სავსებით და მთლიანად ეთანხმება ორთოდოქსალური ბოლშევიზმის,ლენინიზმის პოლიტიკურ შეხედულებებს. პოკროვსკიმ არა ერთი თავის ნაშრომით დაამტკიცა, რომ ყოველი ისტორიკოს მკვლევარის ისტორიული კონცეპცია გამომდინარეობს იმ პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემიდან, რომელსაც ისტორიკოს- მკვლევარი იზიარებს. შემდეგ მომხსენებელი ვრცლად არჩევს პოკროვსკის მიერ შექმნილ თეორიებს,—ისტორიულ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა

— სრული არ იქნება მ. ნ. პოკროვსკის დახასიათება,—ამბობს ამხ. მარიამ ორახელაშვილი,—თუ ჩვენ არ გავეცანით მას, როგორც სოციალისტური კულტურის საფუძვლის ჩამყრელს. მან ეს დიდი როლი შეასრულა იმიტომ, რომ იგი ერთსა და იმავე დროს მებრძოლიცაა და მეცნიერიც.

გამარჯვებული პროლეტარიატი სრულიად არ შემცდარა, როცა მან ოქტომბრის შემდეგ ჩვენი ახალი კულტურის ახალი მეცნიერების და განათლების ხელმძღვანელობა დააკისრა მ. ნ. პოკროვსკის, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა წარსული საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა; რომელიც იცნობდა ძველ სკოლას მთელი მისი უარყოფითი მხარეებით, და რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო გამოემუშავებია პრინციპები სახალხო განათლების ახალი სისტემისათვის.

ოქტომბრის შემდეგ სახალხო განათლების წინაშე ოთხი დიდი ამოცანა იდგა. პირველ ყოვლისა საჭირო იყო სკოლის გადახალისება ახალ მსოფლმხედველობის საფუძველზე, საჭირო იყო სკოლის ახალი ტიპის შექმნა, საჭირო იყო სკოლისათვის ახალ ხელმძღვანელთა კადრის შექმნა და მასწავლებელთა იმ ძველი კადრის გადახალისება, რომელსაც ოქტომბრის რევოლიუციამ და მატერიალური ბაზის განმტკიცებამ სკოლაში მოუსწრო. ეს ამოცანები უნდა გადაეჭრათ ჩვენი სახალხო განათლების ხელმძღვანელებს, რომელთა შორის ერთი პირველთაგანი იყო და არის პოკროვსკი. სხვებთან ერთად მან ეს ამოცანები წარმატებით გადასჭრა. მისი მეცნიერულად სწორი, მარქსისტული შეხედულებები ჩაედვა საფუძვლად ჩვენი სკოლის განახლებას. ამასთან ერთად ის არის შემქნელი მუშათა ფაკულტეტებისა, რომლებმაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი ათასი მომზადებული მუშა მისცა ჩვენ მეურნეობას და სახალხო განათლებას. ამგვარად პოკროვსკი არის არა მარტო უდიდესი მარქსისტი-ისტორიკოსი, არამედ დიდი მეცნიერ-პედაგოგიც, რომელმაც მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალა შესწირა ახალი კულტურის შექმნის საქმეს.

მისალმებანი

შემდეგ საზეიმო კრება ისმენს მისალმებებს სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით სიტყვას ამბობს პროფ. **შ. ნუცუბიძე**, რომელიც, აღნიშნავს, რა პოკროვსკის დამსახურებას ისტორიულ მეცნიერების წინაშე, ამბობს: პოკროვსკის დიდი ღირსება ის არის, რომ მან არა თუ სწორათ გვიჩვენა ის, რაც წარსულში იყო, არამედ სწორი მეცნიერული ანალიზით განსჭვრიტა ისიც, თუ ამ არსულს მომავალში რა უნდა მოჰყვეს. მან, როგორც მეცნიერმა, დაინახა აუცილებლობა პროლეტარიატის გამარჯვებისა და ის, როგორც მეცნიერი და რევოლიუციონერი, იბრძოდა მისთვის.

26 კომუნარის სახელ. ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტების სახელით სიტყვას ამბობს ამხ. **ლისოვსკი**, რომელიც ახასიათებს მცხოვან მეცნიერს, როგორც უმაღლეს სასწავლებლების რეფორმატორს და მეცნიერთა ახალ თაობის აღმზრდელს.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სახელით პროფ. **გ. წულუკიძემ**, სამეცნიერო მუშაკთა სექციის სახელით—დოც. **გ. ნათაძემ**, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის სახელით **ტერ-ავეტისიანმა**, მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით ამხ. **კოზმანმა** და წითელ პროფესურის ინსტიტუტის ყოფილ მსმენელთა სახელით ამხ. **იონოვმა**.

დასასრულ სხდომამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს იუბილიატორს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

შაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში უნივერსიტეტის ადგილკომის კულტკომისიის თაოსნობით შესდგება მეცნიერ-ისტორიკოსის მ. ნ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წლის თავის აღსანიშნავი საღამო.

საღამოზე შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს უნივერსიტეტის რექტორი მ. ტოროშელიძე. შემდეგ მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფ. გრ. ნათაძე—„პოკროვსკი, როგორც ისტორიკოსი“. პროფ. შ. ნუცუბიძე—„მ. პოკროვსკი, როგორც მეცნიერი“.

პარტიაში

კომპარტიის რიგები სწრაფად იზრდება როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივათაც.—ადგილობრივი ორგანიზაციების პარტაქტივის კრებები მთლიანად იწონებენ ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი.—ქალაქის რაიკომის უჯრედების ჯგუფურ კრებებმა ერთხმად მოიწონეს რაიკომის მუშაობა.—28 ოქტომბერს საქ. ლენ. კომკავშირის 10 წლის თავის გამო კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია აწყობს ახალგაზრდობის დემონსტრაციას.

კომუნისტური პარტიის ზრდა

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკას სტატისტიკური განყოფილების ცნობით, 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის პარტიას თავის რიგებში ჰყავდა 1,304.471 კომუნისტი. 1-ლ ივლისისათვის მისი რიცხვობრივი შემადგენლობა გაიზარდა 1.418.060 კომუნისტამდე. ამნაირად ნახევარი წლის განმავლობაში პარტიამ გაადიდა თავისი რიგები 113,589 კაცით, ანუ 8,7 პროცენტით

თუ რამდენად დიდია მიღწევები პარტიის სოციალური შემადგენლობის დარგში, მოწმობენ შემდეგი ცნობები: 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის პარტიაში იყო 740.731 მუშა (56,8 პროც.), 299,091 გლეხი (22,9 პროც.), 264.649 მოსამსახურე (20,3 პროც.). 1928 წლის 1-ლ ივლისისათვის შემდეგი ცვლილებები მოხდა: მუშათა რიცხვი გადიდდა 848.764-მდე (59,9 პროც.), გლეხთა რიცხვი—309.492-მდე (21,8 პროც.), ხოლო მოსამსახურეთა რიცხვმა დაიკლო 259.804-მდე (18,3 პროც.),

ამნაირად, გასული ნახევარი წლის განმავლობაში გადიდდა წარმოების მუშათა ხვედრითი წონა და ეს გადიდება მოხდა უმთავრესად მოსამსახურეთა ჯგუფის ხვედრითი წონის დაკლებით. მაშინ, როდესაც გლეხთა ჯგუფის ხვედრითი წონა თითქმის უცვლელად დარჩა, სოფლის მოჯამაგირეთა რიცხვი პარტიაში გადიდდა. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვის გამოძახილი

მოსკოვის გარნიზონის პარტაქტივის კრება

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს წითელი არმიის ცენტრალურ სახლში შესდგა მოსკოვის გარნიზონის პარტაქტივის კრება. კრებამ მოისმინა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის ამხ. **ბუბნოვის** მოხსენება. რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა ამხ. ბუბნოვის მოხსენების გამო, სავსებით იწონებს და უერთდება საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი და აგრეთვე მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. (ადს).

—:—

კრემენჩუგი, 25 ოქტომბერი. შესდგა ქალაქის პარტორგანიზაციის მრავალრიცხოვანი საერთო კრება,რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 1.500 კაცი. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართვას მოსკოვის პარტორგანიზაციისადმი. იგი პირობას სდებს ც. კ.-ის წინაშე, რომ სრულ დახმარებას აღმოუჩენს მას იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიმართული იქნება, როგორც მემარჯვენე გადახრის, ისე მისდამი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

—:—

ბობრუისკი, 25 ოქტომბერი. ბობრუისკის ორგანიზაციის პარტაქტივმა სავსებით მოიწონა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ხაზი სამეურნეო პოლიტიკის საკითხებში და ერთხმად შეუერთდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი. კრებამ საჭიროდ სცნო მუშათა შორის ფართო განმარტებითი მუშაობის ჩატარება სამეურნეო სიძნელეთა საკითხების გარშემო. (ადს).

ქალაქის რაიკომი ამომრჩეველთა წინაშე

მოხსენებები რაიკომის მუშაობის შესახებ

თბ. ალმასკომის დარბაზში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბ. ალმასკომის დარბაზში შესდგა საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიონის უჯრედების ჯგუფური კრება. კრებას დაესწრო შემდეგი უჯრედები: ცენტრ. პარტსკოლას თბ. ალმასკომის, სატელეფონო ქსელის, საქ. სახდაზღვევის კანტორის, „საქართველოს ღვინო“-ს, საბინაო კავშირის, სახმდივაზრობის, სახ. ბანკის, ქართულ მუშფაკის, ლიტოგრაფიის, სატყეო ტრესტის, შინსახკომის, სამხატვრო აკადემიის, სახ. კონსერვატორიის და გემო-კვების კავშირის.

რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ციხელაშვილმა**. მომხსენებელი ვრცლად შეეხო რაიკომის გასვლილ მუშაობას და მთელი რიგი ფაქტებით აღნიშნა ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ჰქონდა რაიკომს წარსულ მუშაობაში. საანგარიშო ხნის განმავლობაში ორგანიზაცია გაიზარდა 32 პროცენტით, ეს ზრდა უმთავრესად ხდებოდა დაზგის მუშების ხარჯზე. ოქტომბრის გაწვევამ ორგანიზაციას შემატა მუშების 250 მეტი მოწინავე მუშა. ძალზე გადიდდა პარტწევრების აქტივობა. რაიკომი სათანადო ხელმძღვანელობას უწევდა კომკავშირის ორგანიზაციას. ჩატარებულ იქნა პარტაპარატის რაციონალიზაცია ხარჯების შემცირების მიზნით, რამაც საგრძნობი დადებითი ნაყოფი გამოიღო. შესამჩნევად შემცირდა აპარატის შესანახი ხარჯები. რაიკომი იღებდა ზომებს წარმოება-დაწესებულებებში 20 პროცენტიანი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების სისწორით გასატარებლად. მთელ რიგ დაწესებულებებში ეს ღონისძიება გატარებული იქნება მთლიანად, ხოლო ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებმა დირექტივა განახორციელეს მხოლოდ ნაწილობრივ.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე რაიკომის მუშაობის ნაკლსაც და აღნიშნა, რომ პოლიტსკოლების ქსელმა ვერ მოგვცა ისეთი შედეგები, როგორც მოსალოდნელი იყო. რაიკომს და თვით უჯრედებს ადგილებზე დიდი დაბრკოლებები ეღობება წინ მუშათა დაწინაურების საქმეში, რომლის მიზეზია საბჭ. დაწესებ-ში არსებული ბიუროკრატიზმი და პროტექციონიზმი. ხშირად დაწესებულებების ხელმძღვანელები წინ ეღობებიან დაწინაურების საქმეს და ამის გამო ეს მუშაობა ვერ სწარმოებს ისეთი ტემპით, როგორც მოითხოვს ჩვენთან არსებული პირობები.

რაიკომმა არა ერთხელ მოახდინა საბჭოთა დაწესებულებებში არსებულ შტატების სოციალური მდგომარეობის შემოწმება და იმის გამოკვლევა, თუ რა გზით ხვდებიან ჩვენს დაწესებულებებში ანტისაბჭოთა ელემენტები. გამოკვლევებმა დაგვანახვა, რომ თანამშრომელთა მიღების საქმეში ადგილი აქვს მახინჯ მოვლენებს და პროტექციონიზმს. ამ ფაქტის დასადასტურებლად მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები და აღნიშნა, რომ პარტუჯრედებმა ადგილობრივ პროტექციონიზმს უნდა გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა და მხოლოდ ამის შემდეგ მივაღწევთ დადებით შედეგებს.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ქალთა შორის მუშაობას, თავისუფალი ორგანიზაციების საქმიანობას, თვითკრიტიკის გატარების აუცილებლობას, პარტწევრების პოლიტცოდნის ამაღლების საკითხს, სკოლების მდგომარეობას, ინტელიგენციასთან დამოკიდებულების და მათში მომხდარ გარდატეხას, ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის წარმატებით ჩატარებას და აღნიშნა, რომ რაიკომის მუშაობა საანგარიშო პერიოდში საერთოდ ხასიათდება საგრძნობი მიღწევებით.

მოხსენების შემდეგ ამხ. ციხელაშვილმა პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე, რის შემდეგ გაიხსნა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. **ძონიამ, კალანდაძემ, ბარამაშვილმა, ახვლედიანმა, ტუაგლაძემ, გიორგაძემ, ტურიაშვილმა** და სხვებმა. მოკამათენი უმთავრესად მოუთითებდნენ ბიუროკრატიზმისა და პროტექციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე, დაწინაურების საქმის მოწესრიგებაზე და სხვ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ **კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად.**

მუშათა ახალ კლუბში

გუშინ, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგა ამიერ-კავკ. და საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართ., მუსტრესტის, მაშინტრესტის, კავკ. წითელდროშოვან სტამბის, ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის საკარტონაჟო ფაბრიკის, რეზინოტრესტის, კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის ტიპო-ლიტოგრაფიის, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის, ამიერ-კავკ. ფინსახკომის, ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტის, „[illegible]“, ავეჯეულობის ფაბრიკის, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს კანტორის, მე-8 პოლკის, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის და მშენებელთა კომუჯრედების ჯგუფური კრება, რომელზედაც ქალაქის რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **კუდრიავცევი**.

მომხსენებელმა აღნიშნა რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში და აგრეთვე შეეხო უჯრედების მუშაობის როგორც დადებით, აგრეთვე უარყოფით მხარეებს. უარყოფითი მხარეები, აღნიშნა მომხსენებელმა, გამოიხატება უმთავრესად იმაში, რომ ზოგიერთი უჯრედები სუსტად იბრძოდნენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. იყო შემთხვევები თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯებისაც, ზოგიერთი უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სამეურნეო ხასიათის საკითხების გარჩევას. სუსტად იყო დაყენებული აგრეთვე ქალთა შორის მუშაობაც. პარტდავალებებით არ არიან დატვირთული ყველა ამხანაგები, საგრძნობი პროც. უჯრედის წევრებისა უჯრედის მიერ დატვირთულები არ არიან და ხშირად დავალებებს აკისრებენ ისედაც დატვირთულ ამხანაგებს.

შედარებით წარსულ წლებთან მასიური მუშაობა გამოცოცხლებულია. საგრძნობად გაზრდილია აგრეთვე პარტაქტივი. კომკავშირის მუშაობის ერთ-ერთ სუსტ მხარედ ჩაითვლება ყოფა-ცხოვრების ზოგიერთ საკითხების სათანადოთ მოუგვარებლობა.

კამათში გამოსული ამხანაგები: **როდინოვი, მინასიანი, ჩუჩენკო, მისკალოვი, არუთინოვი, მორჩილაძე, მამულია, მურადოვა, შვანციძე** და სხვ. უმთავრესად ეხებოდნენ შემდეგ საკითხებს: მუშათა დაწინაურების საქმის დამახინჯებას, პროფესიონალური კავშირების მუშაობაზე სუსტ ხელმძღვანელობას, საცხოვრებელი ბინების საკითხების მოუგვარებლობას, თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯებას, ქალთა შორის სუსტი მუშაობის წარმოებას, პროტექციონიზმის აღმოუფხვრელობას, შრომის დაცვის საქმის მოუგვარებლობას და სხვა.

ამხ. კუდრიავცევის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იწონებს რაიკომის მუშაობას და ავალებს მას: ბიუროკრატიზმთან დაუღალავი ბრძოლის წარმოებას, თვითკრიტიკის გაღრმავებას და ამ ლოზუნგის დამახინჯებათა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას, პარტიაში ყოველგვარ გადახრათა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოებას, უჯრედების მასიური მუშაობის გაძლიერებას, პარტგანათლების საქმის უფრო გაცხოველებას, ანტი-რელიგიური მუშაობის გაძლიერებას და ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

მტკიცედ დავიცავთ ლენინურ ხაზს

(ოზურგეთი)

ბიუროების და თემკომების გადარჩევასთან დაკავშირებით, გურიის კომიტეტმა წერილობით მიმართა გურიის პარტ-ორგანიზაციებს და წევრებს.

მიმართვაში სხვათა შორის ნათქვამია: „მთელი პარტია იდეურად და ორგანიზაციულად მტკიცეა, პარტია მუშათა კლასთან ერთად მშრომელ გლეხკაცობასთან კავშირით ენერგიულ მუშაობას აწარმოებს სოციალისტური მშენებლობისათვის. ამავე დროს პარტიის დიდი სიძნელეები ხვდება სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის გადალახვას პარტია მუშათა კლასთან ერთად შესძლებს. ამ სიძნელეთა ნიადაგზე პარტიას ებრძოდა ტროცკისტული ოპოზიცია თავისი „მემარცხენე“ ფრაზებით. არსებითად კი კონტრ-რევოლიუციონური მუშაობით. ჩვენს სიძნელეებზე დღესაც უბადრუკათ სისინებს ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთები, რომლის წინააღმდეგ გაფართოებული ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

ამავე დროს ახალ სიძნელეთა ნიადაგზე ადგილი აქვს მემარჯვენე გადახრებსაც, რომლებიც უშინდებიან მტკიცე კლასიური პოლიტიკის გატარებას და ფიქრობენ კულაკური ელემენტებისთვის დათმობას სოფლად; ამ განწყობილებებს არავითარი საერთო არ აქვს ჩვენი პარტიის ლენინურ პოზიციებთან, როგორც მიღებულ იქნა პარტიის მე-15 ყრილობაზე. საჭიროა ამ მავნე, ანტი-ლენინურ განწყობილებათა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა“.

23 ოქტომბერს შესდგა ოზურგეთის სათემო პარტიული კრება, რომელზედაც დაესწრო კომკავშირის აქტივიც, დამსწრეთა რიცხვი 250 უდრიდა. აღნიშნულ კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება გურიის პარტორგანიზაციის მორიგ ამოცანებზე ცეკას გამოკვლევასთან დაკავშირებით.

კრებამ ერთხმად მოიწონა ა.-კ. საოლქო კომიტეტის და ცეკას რეზოლიუცია გურიის ორგანიზაციის შესახებ. ამასთან ერთად კრება გადაჭრით მოითხოვს სწორ კლასიური, პროლეტარული ხაზის მტკიცედ გატარებას. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „პარტიას დიდი სიძნელეები ხვდება სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ სიძნელეთა ნიადაგზე ადგილი აქვს გადახრებს პარტიის ლენინურ პოზიციებიდან, პარტიამ ასეთ გადახრას ტროცკიზმის სახით ბოლო მოუღო, საჭიროა მომავალში გაძლიერებული ბრძოლა ტროცკიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ამასთან ერთად დაუნდობელი, შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე განწყობილებათა წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს პარტიის ლენინურ პოზიციებთან“.

კომკავშირში

საკავშირო ლენ. კომკავშირის 10 წლის თავი

დემონსტრაციის გეგმა ქ. თბილისში

საკავშირო ლენ. კომკავშირის 10 წლის თავზე, ა.წ. 28 ოქტომბერს, საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად აწყობს საღამოს პოლიტიკურ დემონსტრაციას კომკავშირის ხელის შემწყობ სამხედრო ნაწილთა ჯგუფების და პიონერების მონაწილეობით.

დემონსტრაციაზე მონაწილენი იკრიბებიან შემდეგი წესით: წინასწარ მომზადებული უჯრედები მიდიან დანიშნულ ადგილას (პუნქტები ნაჩვენები იქნება რაიკომების მიერ).

რაიონები თავს მოიყრიან შემდეგ პუნქტებში:

ლენინის რაიონი. დაეწყობა თავის შესაკრებ პუნქტებზე, გაემართება და დაიკავებს დემონსტრაციის წინა ნაწილს ყორღანის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში.

„26“ კომუნარის რაიონი. დაეწყობა თავის რაიონში და გაემართება კალიაევის აღმართით, 19 თებერვლის ქუჩით, პლეხანოვის პროსპექტით და დაიკავებს დემონსტრაციის წინა ნაწილს ყორღანის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში.

ქალაქის რაიონი. დაეწყობა ოლღას ქუჩაზე წინა ნაწილით ელბაქიძის აღმართის და ოლღას ქუჩის კუთხეში.

დემონსტრაცია დაიწყება საღამოს 7 საათზე. ლენინის რაიონი თავის შესაკრებ პუნქტიდან გამოდის 6 ნახევ. საათზე, გაივლის ელბაქიძის აღმართს და დაუცდის ლაშქრობის მონაწილეთა გავლას. ლაშქრობის მონაწილეებს მიჰყვება ლენინის რაიონი, ლენინის რაიონს — „26“ კომუნარის რაიონი, „26“ კომუნარის რაიონს — ქალაქის რაიონი.

რაიონების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები არიან: ლენინის რაიონის ამხ. **გიორგობიანი**, „26“ კომუნარის რაიონის — ამხ. **ბაბაიანი**, ქალაქის რაიონის — ამხ. **მაისურაძე**.

კომკავშირის ხელშემწყობი ჯგუფები გამოდიან თავიანთ მიმაგრებულ უჯრედებთან ერთად.

დემონსტრაციის საერთო ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ამხ. **საჯაიას, ზეინალოვს** და **ხაჩიკიანს**.

დემონსტრანტები გაივლიან რუსთაველის პროსპექტით ტრიბუნის მახლობლად, კომინტერნის ქუჩით — თავისუფლების მოედანზე და დაიშლებიან.

განათლების მუშაკთა მე-7 ყრილობისათვის

განათლების მუშაკთა კავშირმა ბოლო ხანებში უმნიშვნელო ცვალებადობა განიცადა რიცხვობრივად, მაგრამ ხარისხობრივად იგი საგრძნობლად გაძლიერდა. გაიზარდა მასის აქტივობა და განათლების მუშაკთა არმიის ახალი ფენები ჩაებნენ საკავშირო მუშაობაში.

საკავშირო ორგანოები დაუახლოვდნენ საკავშირო მასას; უკანასკნელისათვის სამსახურის გაწევის გაძლიერებით ისინი განათლების მუშაკთა ფართო ფენებში შეიჭრნენ და ამის გამო კავშირისადმი მის წევრთა ინტერესები საგრძნობლად გადიდდა.

ც. გამგეობა მთავარ ყურადღებას აქცევს მასიურ მუშაობას ფართო დემოკრატიის საფუძველზე, პროფქსელის დაახლოვებას კავშირის წევრებთან. საკავშირო ორგანოების მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაძლიერებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ მიმართულებით.

უკანასკნელ დროს რიცხვობრივად გაიზარდა პროფაქტივი. იგი ხარისხობრივადაც გაძლიერდა. კავშირის რამდენიმე ათასი წევრი ჩაბმულია ადგილკომებში, სხვა და სხვა კომისიებსა და სამაზრო გამგეობათა მუშაობაში; — ეს არის ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ხერხემალი, რომლის გაძლიერება წარმოადგენს ჩვენი ორგანიზაციის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების გარანტიას.

ყოველივე ზემოთაღნიშნული, ცხადია, ჩვენი კავშირის მდგომარეობის ნათელი მხარეა, მაგრამ არის მეორე, უარყოფითი მხარეც, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის სიმწვავე ოდნავადაც არ შენელებულა.

ხშირია შემთხვევა, როცა საპროფკავშირო მუშაობას „კაზიონურად“ ეკიდებიან, არც საპროფკავშირო დემოკრატიის პრინციპები სათანადოდ არ გაეგებათ და გვერდს აუხვევენ მათ გატარებას, ხშირია ბრძანებლობა საკავშირო ორგანოების მხრივ, ბიუროკრატიული დამოკიდებულება კავშირის წევრთათვის სამსახურის გაწევის საქმესთან, უცოდინარობის გამომჟღავნება მასიურ მუშაობის სწორად დაყენების დარგში. ყოველივე ეს ხელს უწყობს კავშირის წევრთა პასივობას, ინდეფერენტიზმს საკავშირო ორგანოებისადმი. გადამწყვეტი ბრძოლა ამ მოვლენათა წინააღმდეგ, სწორი ხელმძღვანელობა, მტკიცე ხაზის აღება საკავშირო დემოკრატიის გატარების საქმეში ფართო თვითკრიტიკის საფუძველზე — ჩვენი ორგანიზაციის მომავალ ხელმძღვანელ ორგანოს მუშაობის მთავარი ამოცანაა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად განმტკიცდა სახალხო განათლების ნივთიერი ბაზა, კერძოთ სათანადოდ გაიზარდა განათლების მუშაკთა სამუშაო ხელფასის ფონდი. ამ გარემოებამ საშუალება მოგვცა ზოგიერთ შემთხვევაში საგრძნობლად გაგვედიდებინა განათლების მუშაკთა ხელფასიც.

ც. გამგეობის საბიუჯეტო მუშაობის ჩატარებაში გეგმიანი მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ადგილებმა. კავშირის მთელი ყურადღება მიექცა სახალხო განათლების ნივთიერ ბაზის გადიდების საქმეს და მისი წილის ზრდას საერთო ბიუჯეტში, რათა მიექმნა აუცილებელი პირობა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროდუქციის გადიდებისა და აგრეთვე განათლების მუშაკთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

თანამედროვე ლოზუნგმა „პირით წარმოებისაკენ“, რომლის განხორციელება აუცილებელია კულტურულ რევოლიუციის საერთო ამოცანებთან დაკავშირებით, სუსტი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს მუშაობაში, განსაკუთრებით მასიურ საწარმოო მუშაობის აღრიცხვის საქმეში და ყველა იმ მითითებათა შესრულებისათვის კონტროლის გაწევაში, რომელნიც გამოტანილი იქნენ ჩვენს კონფერენციებსა, კრებების და სახალხო განათლების ხელმძღვანელთა მოხსენებების დროს.

ც. კომიტეტის მიერ აღებულმა მტკიცე კურსმა მასიურ ეკონომიური მუშაობის გასაძლიერებლად, რომელიც ჩვენი წარმოების თვითეულ ნაწილს უნდა შეეხოს, სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში.

ც. გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა განათლების მუშაკთა უფლებრივ მდგომარეობას. მან დიდი ადგილი დაუთმო ბრძოლას სახალხო განათლების ორგანოების მიერ განათლების მუშაკთა უფლებრივ მდგომარეობის შელახვის ცალკე შემთხვევების წინააღმდეგ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკავშირო ორგანოების მიერ ამ დარგში არა საკმაოდ მტკიცე ხაზის გატარებას.

სოციალისტურ მშენებლობისა და კულტურულ რევოლიუციის საერთო ამოცანები განათლების მუშაკებისაგან მოითხოვს თავის საერთო პოლიტიკურ შეგნების დონის ამაღლებას, იდეოლოგიურ მომზადებას. აქედან — ყურადღების გაძლიერებამ კავშირის კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობისადმი, კულტმუშაობის ფინანსიურ ფონდის გადიდებამ, კულტმუშაობის მთელი რიგ საკითხების დამუშავებამ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ც. გამგეობის მუშაობაში.

უდიდესი ქსელი პოლიტიკური, პროფესიონალური და საწარმოო წრეებისა, რომელნიც მოწყობილია კავშირის ორგანოების მიერ მთელ რესპუბლიკაში, დიდ დახმარებას უწევს განათლების მუშაკთ მოემზადონ საზოგადოებრივ მუშაობისათვის. მოძრავი ბიბლიოთეკების ორგანიზაცია, განათლების მუშაკთათვის საჭირო ლიტერატურის მიწოდება, მუშაობა თვითგანვითარების სწორად დაყენებისათვის — ის საკითხები, რომელთაც ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა ც. გამგეობის მუშაობაში.

განათლების მუშაკნი ჩაბმული არიან საზოგადოებრივ მუშაობაში. მაინც ც. გამგეობამ შესძლო ამ მხრივ მთელ რიგ ნაკლოვანებათა გამომჟღავნება. ინიციატივის სისუსტე, სამუშაოს შესრულება მხოლოდ სათანადო ორგანოების დავალებით, არა საკმაო ბრძოლა ცრუმორწმუნეობისა და რელიგიის წინააღმდეგ, ზოგან კი იდეოლოგიურად სწორი გზიდან გადახვევაც. ც. გამგეობამ სათანადო მითითებები მისცა ძირითად ორგანოებს და ხელმძღვანელობაც გაუწია მათ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მუშაობის გაღრმავება განათლების მუშაკთა კომუნისტურად განათლებისათვის. ხელმძღვანელობის გაძლიერება ჩვენი საკავშირო მასის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ აღზრდის საქმეში. მათი თვითმოქმედებისა და აქტივობის საფუძველზე, საზოგადოებრივ მუშაობის სრული შეთანხმება საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის საერთო სისტემასთან, აქტიური მუშაობა ღარიბთა გლეხობის დასარაზმავად და მისი კულტურულ დონის ასამაღლებლად, აქტიური ბრძოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის — კავშირის ძირითადი ამოცანებია შემდგომი კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობისა.

შალვა გეგენავა.

სწავლა-განათლების საკითხები

მოწაფეების სწავლა-აღზრდის საქმეს სოფლად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.—საჭიროა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. — განათლების მუშაკთა პროფორგანოებმა უნდა იზრუნონ მასწავლებელთა შორის ლოთობის აღმოსაფხვრელად. — გაუმჯობესდა დუშეთის რაიონის სასწავლებლების მდგომარეობა

ავამაღლოთ მასწავლებელთა კვალიფიკაცია

ახალი სკოლის მასწავლებელთა გადამზადებას, მათი კვალიფიკაც. ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული განათლების ორგანოების მიერ. ამ მიზნით ყოველწლიურად ეწყობა მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. იწვევენ მასწავლებლების კონფერენციებს. ამ კონფერენციებზე ისმება ისეთი საკითხები, რომლის გარკვევა მასწავლებლობას გაუადვილებს ახალი სკოლის წინაშე მდგარ ამოცანების გადაჭრას.

დღემდის ჩატარებული მუშაობით მიღებული შედეგები უსათუოდ საგრძნობია. საბჭოთა სკოლა თანდათანობით მიიწევს წინ და ხდება მთავარი ფაქტორი საბჭოთა საზოგადოებრიობის ახალ საფუძველზე გარდაქმნისათვის.

მიუხედავად დიდი მიღწევებისა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმისათვის ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. თანამედროვე მასწავლებელი უნდა გახდეს არა მარტო თავისი პირდაპირი მოვალეობის პირნათლად ამსრულებელი, არამედ ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე რომელიც [illegible] ლისტური მშენებლობის გამარჯვებით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნით, მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრით, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე ენერგიული მუშაობით და სხვა.

თუ ამ მხრივ მიუდგებით საკითხს, დაინახავთ, რომ მასწავლებლობის საგრძნობ ნაწილს არა აქვს საკმაო მომზადება, ნაკლებად გაეგებათ ახალი სკოლის პრინციპები და რაც მთავარია ზოგიერთი მათგანი ზერელედ ეპყრობა ნაკისრ ვალდებულებას და ზოგჯერ თავიანთი უწესო საქციელით ჩირქს სცხებენ მასწავლებლის მაღალ დანიშნულებას.

მთელი რიგი მასწავლებლებისა სოფლად არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, არ არიან დაინტერესებული მშრომელ გლეხობაში თვითგანვითარების შეტანით, მათი კულტურული დონის ამაღლებით. ზოგიერთი მასწავლებელი არ ერიდება ლოთობას და კარტ-ნარდის თამაშსაც. ეს ხდება მშრომელი გლეხობის და მოწაფეობის თვალწინ.

ასეთი დაუდევრობის ერთ-ერთ ნიმუშს ადგილი ჰქონდა ამას წინედ ნაგომრის თემში (გურია). ღვინით გალეშილმა მასწავლებელმა თომა წიტაიშვილმა ქუჩაში ჩხუბი აუტეხა თავის ძმას და ქვებით კბილები ჩაუმტვრია თავის ცოლს. გლეხობა იძულებული გახდა ურემზე დაეკრათ მოჩხუბარი მასწავლებელი და ისე წაეყვანათ სახლში. ამ სამარცხვინო ფაქტს უცქეროდა მასწავლებელ წიტაიშვილის მოწაფეებიც.

განა დასაშვებია სახალხო მასწავლებლის მიერ ასეთი საქციელი? რა მაგალითი უნდა მისცეს მან გლეხობას ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა მავნე ჩვეულებების აღმოსაფხვრელად?

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მასწავლებლობის რიგებში კიდევ არიან შემორჩენილნი შეუფერებელი პირები.

სამაზრო განათლების განყოფილებებმა და პროფორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები როგორც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებლად, ისე მასწავლებელთა რიგების უღირსი პირებისაგან გასაწმენდად.

ლი.

სკოლის მოსავალი — სკოლას ეკუთვნის

ბეჩო, ზემო-სვანეთი

ბეჩოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას ოთხი წლის ისტორია აქვს. ამ ოთხი წლის განმავლობაში ხსენებულ სკოლას ყოველთვის ცოტაოდენი შემოსავალი ჰქონდა, რაც ნაწილობრივ აკმაყოფილებდა სკოლის უბრალო მოთხოვნილებებს. წელსაც ასეთს უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ვხედავთ. როგორც კი დაიწყო სკოლის ბოსტანში მომწიფება სხვადასხვა მცენარეულობამ, სკოლის გამგე შალიკო უკლებაშვილი ყოველდღე პატარა ტომრით სავსეს უგზავნის მის ცოლის დას — საექიმო პუნქტის გამგის ცოლს, რომელთანაც ყოველ დღე სადილობს და ხშირად ვახშმობს კიდეც ჩვენი სკოლის გამგე. ამ შემთხვევაში გამგეს მისი ჯამაგირი (ორასი მანეთი) ხელუხლებლად შეენახება.

ჩემის აზრით, სკოლის შემოსავალი საჭიროა სკოლას მოხმარდეს და იმ მოწაფეებს, რომლებსაც ერთ წელზე მეტია, რაც საერთო საცხოვრებელში სინათლე არ უნახავთ ნავთის ფულის უქონლობის გამო. უმჯობესი იქნება სკოლის მოსავალი მოხმარდეს ასეთ უბრალო ხარჯებს და შემდეგ სხვა საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საჭიროა განათლების განყოფილებამ ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს.

უშბისძირელი.

გაერთიანების ნაყოფი

(წერილი დუშეთიდან)

როგორც ვიცით, ამას წინად მოხდა დუშეთ-თბილისის მაზრების გაერთიანება, რასაც მოჰყვა აგრეთვე სკოლების გაერთიანება.

დუშეთში და მის რაიონში არსებული სკოლები გაერთიანდა დუშეთში არსებული თბილისის საბავშო ახალშენთან. ამჟამად ყველა ეს სკოლები თბილისის სამაზრო განათლების განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან. უნდა ითქვას, რომ გაერთიანებამ საგრძნობი ნაყოფიერი შედეგი გამოიღო.

დუშეთის რაიონის ყველა მასწავლებლებს ხშირად უხდებათ კონფერენციების ერთად მოწყობა და მსჯელობა ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, ამას წინედ აქ იყო განათლების განყოფილების გამოცდილი ინსტრუქტორი ამხ. კერესელიძე, რომელმაც მნიშვნელოვანი და საქმიანი მოხსენება გააკეთა სკოლის თვითორგანიზაციის შესახებ. გვეწვია აგრეთვე განათლების განყოფილების მეორე ინსტრუქტორი ამხ. შ. ცქვიტიძე, რომელმაც მოიწვია დუშეთის და მისი რაიონის მასწავლებელთა გაერთიანებული კონფერენცია. კონფერენცია გაგრძელდა ოთხი დღე და დამუშავებულ იქნა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. კონფერენციამ შეკრებისთანავე დაარსა პედაგოგიური წრე და დაადგინა შეკრება მოხდეს ყოველ ორ კვირაში ერთხელ.

დღის წესრიგში წმინდა პედაგოგიურ საკითხების გარდა იდგა საკითხი მეორე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ. კონფერენციის ყველა წევრმა ხელი მოაწერა სესხს და ვალდებულად გაიხადა მისი გავრცელება დუშეთის რაიონის გლეხობაში.

გან. მუშ. კავშირის ადგილკომიც დუშეთში ჩამოყალიბდა ერთი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან. ცენტრ. გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ხუნდაძემ, გან. მუშ. კავშირის წევრთა დუშეთის სარაიონო კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება საქართველოს ც. გამგეობის მუშაობის შესახებ. შემდეგ არჩეულ იქნა სამი დელეგატი თბილისის სამაზრო კონფერენციისათვის.

კულტურული ძალების ასეთი შეკავშირებით, დუშეთის ჩამორჩენილი მხარე უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ და მასწავლებლობაც უკეთ შეასრულებს იმ დიად როლს, რომელსაც მას აკისრებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება კულტურულ ფრონტზე.

შ. ლორთქიფანიძე.

წერილებიდან

ს. ხიდისთავში (გურია) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლებად არიან აგრონომი სოლ. ჭანიშვილი და მასწავლებლები: გრიშა ხავთასი და შალვა ანთიძე. მათი ნაყოფიერი მუშაობით სკოლას დიდი წინსვლელობა ემჩნევა.

ვ. კ—ძე.

ნინოშვილის თემში, (გურია). სოფ. ბულხაურის ოთხწლიან შრომის სკოლის გამგეს ამხ. ბათლომე ჩხარტიშვილს, დღემდის აზრად არ მოსვლია, რომ სკოლისთვის საჭიროა ახალი ბეჭდის შეძენა. დროა შეიცვალოს ისეთი ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია ეკლესია.

ცეცხლი.

ს. ქვემო-გურძემის, (სენაკის მაზრა) მასწავლებლად არის პროკოფი ჯაიანი. წინად ის ამავე სკოლის გამგედ იყო, მაგრამ მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობის გამო გადაყვანილ იქნა ინჩხირის სკოლაში მასწავლებლად. უკანასკნელად ჯაიანი ლოთობას ძლევია. განათლების განყოფილებამ, მიიღოს სათანადო ზომები.

ოდიშელი.

არგვეთის თემში, (სოფ. გორისაში) ოთხწლიან შრომის სკოლის შენობა უნუგეშო მდგომარეობაშია. შენობის შესაკეთებლად არ ზრუნავს არც თემაღმასკომი, არც მშობელთა წრე. გაიყიდა ამავე სოფელში არსებული სახელმწიფო ქონება, რომელიც საკმაო იყო სკოლის შესაკეთებლად, მაგრამ არც ერთი გროში არ იქნა გადადებული სკოლისათვის. დროა თემაღმასკომმა შეაკეთოს სკოლის შენობა.

მნახველი.

ს. ლეხაინდრავოში, (სენაკის მაზრა) მასწავლებლად ითვლება ვლადიმერ ჩიხლაძე. ეს მოქალაქე თავის მოვალეობას იმდენ ყურადღებას არ აქცევს, რამდენსაც ვექილობას. აღმასკომში სწერს თხოვნებს, საჩივრებს, კასაციებს, პროტესტებს და სხვა: ასეთ მუშაობას ეწევა თავის სახლშიაც და სასამართლოშიც. ვექილობიდან ჩიხლაძე საკმაო გასამრჯელოს იღებს. განათლების განყოფილებამ სათანადო ადგილი უნდა მიუჩინოს ვექილ — პედაგოგს.

ვასო.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ინდუსტრიალიზაციის სესხის 10 პროც. ანარიცხები ადგილობრივი საჭიროებისათვის

საკავშირო ცაკის დადგენილების თანახმად ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციით ადგილებზე შეგროვილ თანხების 10 პროცენტი გადადებული უნდა იქნეს ადგილობრივ საჭიროებათათვის. ამ დადგენილების სისწორით განხორციელების მიზნით, ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ შეიმუშავა 10 პროცენტიანი ანარიცხების გამოყენების წესი, რომლის მიხედვით ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციით ადგილებზე შეგროვილ თანხების 10 პროცენტი გამოყენებული უნდა იქნეს კაპიტალურ მშენებლობისათვის ადგილობრივ მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის, სასოფლო სკოლებისა და საავადმყოფოების ასაგებათ და საგზაო კაპიტალურ მშენებლობისათვის.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიაში და ა.-კ. რკინის გზელთა შორის სესხის რეალიზაციით შეგროვილ თანხების 10 პროცენტი განაწილებული უნდა იქნეს ა.-კ. რესპუბლიკებს შორის იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობით იქნა გასაღებული სესხი თვითეულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე წითელ-არმიელთა და რკინის გზელთა შორის. რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს ევალებათ გამოარკვიონ თუ რა მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული სესხის რეალიზაციის ანარიცხები ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულებში.

საგიტაციო კამპანია გლეხებს შორის

ვინაიდან ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელისმოწერა გლეხებს შორის შედარებით სუსტია, გზათა სახალხო კომისარიატმა და რკინის გზელების ცეკამ წინადადება მისცეს გზებს ჩაატარონ საგიტაციო კამპანია გლეხობის შორის სესხზე ხელის მოწერის სასარგებლოდ. ამისათვის გამოყენებული იქნება ვაგონი - კლუბები, რომლებსაც მიაწოდებენ საგიტაციო მასალას, კინო სურათებს და დიაპოზიტივებს. გამოყოფილია ინსტრუქტორებისა და მომხსენებლების კადრი.

პირველი თანხის შეტანის ვადა გაგრძელებულია 10 ნოემბრამდე

საკავშირო ფინსახკომმა დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე კოლექტიურად ხელისმომწერ მუშა - მოსამსახურეთ პირველი თანხის შეტანის ვადა გაუგრძელოს 10 ნოემბრამდე (1 ნოემბრის ნაცვლად).

დადგენილება იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი მუშა - მოსამსახურენი ხელფასს ღებულობენ თვის პირველი რიცხვის შემდეგ.

რა მდგომარეობაშია შეშის დამზადების საქმე

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

1928—29 საბიუჯეტო წლისათვის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს გეგმით, რომელიც შემდეგ დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭომ, დამზადებული უნდა ყოფილიყო სულ 52.930 კუბ. საჟენი შეშა.

შეშის დამამზადებელ ორგანიზაციებად მხედველობაში იყო მიღებული: სატყეო მრეწველობის ტრესტი, კახეთის აღმასკომი, „თბილისის ვაჭრობა“ და კერძო შეშის დამამზადებელი არტელები. მხედველობაში იყო აგრეთვე მიღებული, რომ გლეხები შემოიტანენ თბილისის ბაზარზე 8.000 კუბ. საჟ. შეშას, ხოლო კერძო საწყობების პატრონები— 5.000 კუბ. საჟენს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ყველა აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევა შეშის დამზადების დარგში.

გამოკვლევის დროს აღმოჩნდა შემდეგი:

სატყეო მრეწველობის ტრესტს 1-ლი ოქტომბრისათვის უნდა ჩაებარებია სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის 15.800 კუბ. საჟენი შეშა; ნამდვილად კი ჩააბარა მხოლოდ 8.717 კუბ. საჟენი. შეშის შესაფერისი რაოდენობით ჩაუბარებლობის მიზეზი, გამოკვლევით მიღებული მასალების თანახმად, მდგომარეობს იმაში, რომ გასულ ზაფხულზე დამზადებული შეშის რაოდენობის გამოზიდვა რკინისგზით ტრესტმა სავსებით ვერ შესძლო, რადგან რკინისგზის უწყება არ იძლეოდა ვაგონების საჭირო რაოდენობას. გარდა ამისა შეშის დამზადების საქმე შესამჩნევად დააბრკოლა დამამზადებლებისათვის თანხების თავის დროზე მიუცემლობამ, რაც გამოიწვია ტრესტში შექმნილმა ფინანსიურმა დაბრკოლებებმა. შეშის მჭრელებს და მზიდავებს საჭირო რაოდენობით არ ეძლეოდათ სურსათი და საქონლის საკვები, რაც თავის მხრივ აფერხებდა შეშის დამზადებას.

თბილისის შეშით უზრუნველყოფის საქმეში მეორე ადგილი უკავია გლეხების მიერ ურმებით შემოზიდულ შეშას. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ წელს თბილისის ბაზარზე გლეხები შეშას შემოიტანენ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო გეგმით, სახელდობრ—10.000 კუბ. საჟ. შეშას.

კახეთის აღმასკომს დაუმზადებია გამოკვლევის ჩატარების დროისათვის მხოლოდ 3.500 კუბ. საჟენი შეშა, მაშინ, როდესაც გეგმით უნდა დაემზადებია 4.000 კუბ. საჟენი.

გამოირკვა აგრეთვე, რომ თბილისის შეშის საწყობების კერძო მეპატრონეები ყიდულობენ შეშას პროვინციაში და თბილისში ჩამოტანის დროს სადგურთანვე აწყობენ იმგვარად, რომ თითო ვაგონიდან, რომელშიაც ზადის 3 კუბ. საჟენი შეშა, ახერხებენ 4 კუბ. საჟენის და ხშირად მეტის გამოყვანას

მუშათა და გლეხთა ინსპექციის აზრით ყველა დამამზადებელი ორგანიზაციები შესძლებენ მხოლოდ 40.000 კუბ. საჟენი შეშის დამზადებას, ნაცვლად 52.930-ისა

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოკვლევით შეკრებილ მასალებთან გაცნობის შემდეგ მიიღო დადგენილება, რომლითაც წინადადება ეძლევა სატყეო მრეწვ. ტრესტს გააძლიეროს შეშის დამზადების საქმე, და ამ საქმისათვის მიღებული ავანსები ხარჯოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წინადადება ეძლევა მხედველობაში მიიღოს შეშის დამამზადებელთა დაკმაყოფილება საჭირო რაოდენობის სურსათით და საქონლის საკვებით. ამასთანავე გადაწყვეტილია ეთხოვოს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ მან მიუთითოს ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს შეშის გამოსაზიდათ შესაფერი რაოდენობის მოძრავი შემადგენლობის თავის დროზე მიწოდების აუცილებლობაზე.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული, რომ შეშის დამზადების კამპანია არ ჩაიფუშოს.

ამ მიზნით შეშის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ 1-ლ დეკემბრამდე დაამზადონ შეშის ის რაოდენობა, რაც უნდა დაემზადებიათ 1-ლ ოქტომბრამდე დაუშვებლათაა (ცნობილი, რომ რკ. გზის უწყებამ რკინისგზის ხაზის გასწვრივ შეშა შეიძინოს მთავრობის ორგანოების მიერ გათვალისწინებულზე უფრო მაღალ ფასებში და გადაწყვეტილია ეთხოვოს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, მოსთხოვოს რკ. გზის უწყებას დაიცვას მტკიცე ფასები შეშის შესყიდვის დროს. მიწადმოქმედების კომისარიატს ევალება თვალყურის დევნება, რომ ტყეში გლეხების მიერ უნებართვოდ დამზადებული შეშა არ იქნას გაყიდული.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დაევალა მოახდინოს მოულოდნელი გამოკვლევები კერძო შეშის ბაზარზე, განსაკუთრებით, რკ. გზის სადგურთან, რომ ბოლო მოეღოს კერძო ვაჭართა სიყალბეს შეშის დაწყობაში.

ახალი მშენებლობის გამოკვლევა

საკავშირო ს. მ. უ. ს. სატექნიკო-საამშენებლო საბჭომ საქართველოში გამოგზავნა ინჟ. კინგილო, რომელსაც დავალებული ჰქონდა ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა და წარმოებების მშენებლობის გამოკვლევა.

ინჟ. კინგილომ ახალმშენობათა სამმართველოს უფროს ინჟინერ ა. კანდელაკთან ერთად უკვე დაათვალიერა ყველა ახალი საამშენებლო სამუშაოები და მისი დასკვნით არც ერთ აღმშენებლობაში არა აქვს ადგილი ტექნიკური თვალსაზრისით რაიმე დიდ ნაკლს. ყველგან მუშაობა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს.

გამოკვლევის დროისათვის ცალკე საამშენებლო სამუშაოები შემდეგ მდგომარეობაში აღმოჩნდა:

კასპის ცემენტის ქარხნის ასაგებათ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ქარხნის ასაგებათ გადადებული თანხა 4.600.000 მანეთი საკმარისი იქნება. ამ თანხიდან წელს ქარხნის ასაგებათ დაიხარჯება 3.000.000 მანეთი. წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები მთავრდება იმ ვარაუდით, რომ მომავალი ზაფხულიდან დაწყებულ იქნეს ქარხნის შენობის აგება.

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის გასაფართოებლად დაწყებული მუშაობის დამთავრების შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 1 100.000 კომპლექტ ტკეჩს, ნაცვლად 450000 კომპლექტისა. ქარხნის გაფართოების შემდეგ უცხოეთის ბაზარზე გასასაღებლად ყოველწლიურად გატანილი იქნება 900.000 კომპლექტი ტკეჩი.

ქუთაისის საამშენებლო სამუშაოებიდან გამოკვლეულ იქნა ბარიტის ქარხნის, კირის ქარხნის და ქუთაისის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკის საამშენებლო სამუშაოები. ბარიტის ქარხნის მოწყობა სავსებით იქნება დამთავრებული 15 ნოემბრისათვის, მაგრამ მისი ამუშავება არ მოხერხდება აჭეს-ქუთაისის ელექტრო-გადამცემი ხაზის გაყვანამდე, რაც უნდა დასრულდეს დეკემბერში. აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნის მოწყობა დასრულდება 1-ლ დეკემბრისათვის, ხოლო მისი ამუშავება მოხდება პირველ იანვრისათვის.

კირის ქარხნის აგება დასრულდება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ჩვენი წარმოების მტკივნეული საკითხები

ბორჯომის საკასრე ქარხნის კანცელარიაში გამეფებულია ბიუროკრატიზმი.—ქუთაისის მაუდის ქარხნის მუშები არ არიან ჩაბმული საწარმოო თათბირის მუშაობაში. — კოლექტიური ხელშეკრულების გატარება ადგილებზე ვერა დგას თავის სიმაღლეზე

საქმეს განზრახ აჭიანურებს

(ბორჯომის საკასრე ქარხანა)

ჩვენში ჯერ-ჯერობით კიდევ მოიპოვებიან ძველი კანცელარიის „მოხელენი“, რომლებიც ღრმად არიან ჩაფლული ბიუროკრატიზმის ჭაობში და რომლებიც თავისი მოქმედებით ხელს უშლიან იმ წარმოება-დაწესებულებების წინსვლელობას, სადაც ისინი მუშაობენ.

ამისთანა ბიუროკრატების ოჯახს ეკუთვნის ბორჯომის საკასრე ქარხნის კანცელარიის გამგე მოქ. ლეჟავა, რომელიც თავისი საქციელით და თანამშრომლებისადმი უდიერად მოპყრობით არაფრით განსხვავდება ძველ მოხელისაგან.

ლეჟავა სამსახურში ყოველთვის დაგვიანებით ცხადდება. იგი არ უწევს ანგარიშს იმას, რომ მას ელოდებიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები, რომლებისთვისაც ყოველი წუთი ძვირფასია.

თუ ლეჟავა კარგ გუნებაზეა, მაშინ შეიძლება იმასთან ლაპარაკი და საქმის მოგვარებაც. მაგრამ, თუ იგი არ არის გუნებაზე რაიმე მიზეზის გამო, მაშინ სჯობია, ახლო არავინ გაეკაროს: უმიზეზოდ უყვირის თანამშრომლებს და აწიოკებს დაწესებულებას.

ამასთან ერთად, ლეჟავა გულგრილად ასრულებს თავის მოვალეობას. კანტორაში მომუშავე მემანქანე ქალი ხშირად მუშაობს მის მაგივრად, აწესრიგებს ქაღალდებს და სხვა. ლეჟავა კი ამ დროს თავის ძმასთან ერთად (მისი ძმაც კანტორის მოხელეა) დასეირნობს ეტლით.

ლეჟავას ბიუროკრატობას ამტკიცებს კიდევ ის გარემოება, რომ სოფლიდან ჩამოსული გლეხები რამდენიმე საათობით ელოდებიან მას და ბოლოს შიკრიკი უცხადებს მათ, რომ კანცელარიის გამგეს სძინავსო. გლეხები ძალაუნებურად უცდიან, კანცელარიის გამგის გაღვიძებას. არის შემთხვევა, როდესაც ერთი საათის საქმეს იგი აჭიანურებს რამდენიმე დღეს და მუშებს ისტუმრებს პასუხით „ხვალ“, „ზეგ“ და სხვა, რაც დიდი უკმაყოფილებას იწვევს მუშებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქარხკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ლეჟავას ასეთ საქციელს და არ სთხოვს პასუხს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის.

ქარხკომი უნდა ებრძოლოს ბიუროკრატიზმს და ამ ბრძოლაში ჩააბას მუშათა ფართო მასები. კერძოდ მოქ. ლეჟავას ძ. საქმეების გაჭიანურებისათვის უნდა მოეთხოვოს პასუხი.

თერი ძმა.

ასეთი მუშაობა უნაყოფო იქნება

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საწარმოო თათბირის მუშაობა ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. თათბირზე ძალიან იშვიათად ისმება ისეთი საკითხები, რომლებიც გააუმჯობესებენ წარმოებას და აწევენ შრომის ნაყოფიერებას

თვით მუშები, გარდა იმისა, რომ ნაკლებად ესწრებიან საწარმოო თათბირებს, ვინც ესწრება ისინიც არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ჩვენის აზრით ეს პროფორგანოს სუსტი ხელმძღვანელობით აიხსნება ეს იქიდანაც სჩანს, რომ ფაბრიკის მუშებში არ არის სათანადოთ განმარტებული თვითკრიტიკის მიზანი და მნიშვნელობა. მუშები არაფერს ამბობენ ფაბრიკის მუშაობაზე და არ უთითებენ ადმინისტრაციას ფაბრიკაში არსებულ ნაკლზე.

ამ რამოდენიმე ხნის წინად შესდგა აღნიშნული ფაბრიკის საწარმოო თათბირის სხდომა, რომელსაც დაესწრო მხოლოდ 50 მუშა-მოსამსახურე. თათბირზე, წარმოების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კრუპილნიცკიმ. მან გააცნო თათბირს ფაბრიკის მდგომარეობა და აღნიშნა ყველა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების გაუმჯობესებას. მომხსენებლის სიტყვით ფაბრიკაში ადგილი აქვს სამუშაო საათების უმიზეზოდ გაცდენას, შინა წესრიგის დარღვევას, თვითნებობას, ნართის მოუვლელობას და სხვ., რაც დიდათ აფერხებს წარმოების ნორმალურ მსვლელობას.

მოხსენების ირგვლივ თითქმის არაფერი თქვეს დამსწრე მუშებმა. მათ რატომღაც მოურიდებულობა ეტყობოდათ. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ მუშაობას არ მოჰყვება შესაფერი ნაყოფი. ადგილობრივმა პროფორგანომ უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა საწარმოო თათბირზე და განუმარტოს მუშებს თვითკრიტიკის მიზანი და მნიშვნელობა.

მუშა.

რატომ ყურადღებას არ აქცევენ?

(ბორჯომის საკასრე ქარხანა)

ბორჯომის საკასრე ქარხნის ადმინისტრაცია ძლიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს საწარმოო თათბირის მუშაობას და ნაკლებად არის დაინტერესებული თათბირის დადგენილებების შესრულებაში. ასევე უყურადღებოდ სტოვებს ადმინისტრაცია ადგილობრივ კედლის გაზეთში მოთავსებულ მუშების შენიშვნებს.

არა ერთხელ გარჩეულა საწარმოო თათბირზე საკითხი სამჭედლო საამქროში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, არა ერთხელ დაუდგენია თათბირს და არა ერთი წერილი ყოფილა მოთავსებული კედლის გაზეთში იმის შესახებ, რომ სამჭედლო საამქრო, წვიმის დროს ისე ივსება წყალით, რომ შეუძლებელი ხდება შიგ მუშაობა. მაგრამ ადმინისტრაციას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ გარემოებისათვის.

სამჭედლოს შენობა ძალზე ძველი და წყლისაგან დამპალია. იგი ისეა გვერდზე გადახრილი, რომ დღე-დღეზე მოსალოდნელია მისი დანგრევა. ესეც არ იყოს შენობა იმდენად პატარაა, რომ ორი მუშა ვერც კი მობრუნდება თავისუფლად.

ყველაფერი ეს ხელს უშლის მუშაობას და აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამას ნათლად ხედავს, როგორც ქარხკომი, ისე ადმინისტრაციაც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იწუხებს თავს საამქროს მოსავლელად და მის შესაკეთებლად.

რას გავს ეს? როდემდის უნდა იყოს ასე უყურადღებოდ მიტოვებული აღნიშნული სამჭედლო? როცა დაინგრევა და წყალი გაანადგურებს სიმდიდრეს, მაშინ ალბად გამოფხიზლდებიან და დააცქვეტავენ ყურებს, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

ჩაქური.

კოლხელშეკრულება ირღვევა

რკ. გზის ლიანდაგის დარგის ადმინისტრაცია ძალიან ხშირად არღვევს კოლექტიურ ხელშეკრულებას. ის არავითარ ანგარიშს არ უწევს არც მუშებს და არც ადგილკომის მოთხოვნილებას კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შესახებ. ხშირად ჰპირდება ადმინისტრაცია კოლხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის შესრულებას, მაგრამ დაპირება მხოლოდ დაპირებად რჩება. არავითარი პრაქტიკული შედეგი ამ დაპირებას არ მოსდევს!

კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, სალიანდაგო დარგის მუშებს დღემდე უნდა დარიგებოდათ ზამთრის სპეცტანსაცმელი. ადმინისტრაციის დაპირებით მუშებისათვის უბრალო პალტოების მაგიერ ტყავის ქურქები უნდა მიეცათ, მაგრამ ზამთარი უკვე დაიწყო, აცაა თოვლს დასდებს და ჯერ არც პალტოებია და არც ტყავის ქურქები და ალბად არც იქნება მანამდე, სანამ ამ საქმეში არ ჩაერევა რკ. გზელთა პროფკავშირი.

შემკეთებელი მუშა.

მოაგვარეთ ეს საქმე

მოძრაობის დარგის დამრიგებელი მემუხრუჭეები, შედარებით ამავე დარგის სხვა მუშებთან აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათზე არ ვრცელდება არც შრომის კანონები და არც კოლექტიური ხელშეკრულება. კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად დამრიგებელმა მემუხრუჭემ უნდა იმუშაოს 8 საათი და დაისვენოს 16 საათი. ეს საერთო კანონია ყველა მუშა - მოსამსახურესათვის. მაგრამ დამრიგებელ მემუხრუჭეებზე ეს კანონი არ ვრცელდება. ისინი მუშაობენ სამ ცვლად. ე. ი. თითეულ დამრიგებელს უხდება დღეში 14—16 საათი მუშაობა. ამაში მემუხრუჭეები არავითარ ჯილდოს არ ღებულობენ.

დამრიგებელ მემუხრუჭეებმა რამოდენიმეჯერ აღძრეს საჩივარი სათანადო ორგანოების წინაშე. რომ მიექციათ მათთვის ყურადღება და შეესრულებინათ კოლხელშეკრულება. ან მიეცათ ზედმეტი საათების ჯილდო. მაგრამ მათ განცხადებას არავინ ყურადღება არ მიაქცია, საუბნო კომიტეტმა უნდა მოაგვაროს ეს საქმე.

მემუხრუჭე.

შეასრულეთ კოლხელშეკრულება

კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, თბილისის მილიციის ადმინისტრაცია ვალდებულია თავის ხარჯზე გაარეცხინოს და დააკერებინოს მილიციის ტანისამოსი, მაგრამ ხელშეკრულების ამ მუხლს ადმინისტრაცია არ ასრულებს. ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს მილიციის ტანისამოსს.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ეს საკითხი გაარჩია მილიციის საკონფლიქტო კომისიამ, რომელმაც დაადგინა თითეულ მილიციელს მიეცეს 60 კაპ. თვეში ტანისამოსის გარეცხის საფასურად, მაგრამ მას შემდეგ უკვე კარგა დრომ განვლო და ადმინისტრაცია ჯერაც არ ფიქრობს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის გამგეობა უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და აიძულოს ადმინისტრაცია, რათა მან შეასრულოს კოლხელშეკრულება.

მახვილი.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

როგორ მიმდინარეობს არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა

მომავალ საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ მუშაობის შესახებ საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი. მომავალი საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

საბჭოთა ახალი არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში შესდგა საკავშირო თათბირი, რომელსაც დაესწრო წარმომადგენლები საქართველოდანაც. საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს აღნიშნულ თათბირზე გამომუშავებულ დირექტივების თანახმად.

საორგანიზაციო განყოფილებამ უკვე დაამთავრა საარჩევნო ინსტრუქციების დამუშავება. ინსტრუქციებში შეტანილია თვალსაჩინო ცვლილებები წინა საარჩევნო ინსტრუქციებთან შედარებით. ამჟამად სწარმოებს საარჩევნო სტატისტიკურ - საღრიცხვო ფორმების შედგენა და მზადდება სადირექტივო ცირკულიარები ადგილებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაატარონ არჩევნები.

საქართველოს ცაკთან დაარსდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

9 ნოემბერს საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად იწვევს სპეციალურ თათბირს, რომელსაც დაესწრებიან ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკების თავმჯდომარეები, სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეები, თვითეულ მაზრიდან 2—3 სათემო საბჭოების თავმჯდომარეები და თბილისის, ქუთაისის, ბათომის, სოხუმის, ფოთის, გორის, ჭიათურის, სამტრედიის, ხაშურის და ბორჯომის ქალაქის საბჭოების წარმომადგენლები.

იმ მიზნით, რომ საბჭოთა არჩევნები ჩატარებული იქნეს ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად და საარჩევნო მუშაობას ექნეს მასიური ხასიათი, თათბირზე აგრეთვე მოწვეულნი არიან პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ცენტრალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანები, 2) საორგანიზაციო საკითხები და 3) მოხსენება ახალ საარჩევნო ინსტრუქციის შესახებ.

თათბირის შემდეგ ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში დაარსებული იქნება ადგილობრივი საარჩევნო კომისიები და დაიწყება პრაქტიკული მუშაობა 1 დეკემბრიდან საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. პირველ რიგში შედგენილი იქნება ამომრჩეველთა და საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა სიები გამოყოფილი იქნება საარჩევნო უბნები და სხვა.

პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობა

საქ. პროფსაბჭოს მოწოდება ლაშქრობის ყველა მონაწილეებისადმი

ამხანაგებო!

კვირას, ოქტომბრის 28-ს, თბილისის მიდამოებში ჩატარდება პროფკავშირების სამხედრო მანევრები (ლაშქრობა).

მანევრების მნიშვნელობა მეტად დიდია.

იგი წარმოადგენს მშრომელთა გასამხედროების სერიოზულ პრაქტიკულ-საჩვენებელ გამოსვლის პირველ ცდას.

მანევრების მიზანია—გააცნოს მუშათა ფართო ფენებს საომარ მოქმედებათა მარტივ წესებს.

წითელი არმიის სამხედრო-ტექნიკურ ნაწილების (არტილერიის, ჯავშნოსან ავტომობილების, ქიმიური რაზმების, საკავშირო ნაწილების, ავიაციის და სხვ.) მონაწილეობა შესაძლებელს ხდის, რომ გადაწყვეტილი იქნეს მთელი რიგი ტაქტიკური ამოცანები, რასაც უშუალოდ შეითვისებენ და გამოიყენებენ ლაშქრობის მონაწილენი—მუშები.

წითელი არმიის ნაწილებთან ერთად თბილისის პროლეტარიატი საჩვენებელ ბრძოლაში გამოააშკარავებს თავის მომზადებას და გააძლიერებს თავის საომარ უნარს კლასიური მტრის წინააღმდეგ, რომელიც კბილებს ილესავს საბჭოთა ქვეყანაზე, სადაც სოციალიზმის მშენებლობა სწარმოებს.

მომავალ ბრძოლაში მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროფკავშირებმა უნდა მისცენ წითელ არმიას შეგნებული შეიარაღების მთელი ათასეულები, ლეგიონები და არმიები, რომლებსაც შეთვისებული ექნება საომარი ტექნიკა და რომლებიც გაკაჟებული იქნებიან ბრძოლებში.

ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, რომ უაღრესად სერიოზულად მოეპყრათ მომავალ ლაშქრობას.

გარდა სიმხნევისა და ამტანობისა, საჭიროა აგრეთვე სასტიკი დისციპლინა. უნდა გავითვალისწინოთ შეგნებით, რომ დაკისრებული გვაქვს მეტად საპასუხისმგებლო საქმე. უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლას პირობითი, საჩვენებელი ხასიათი აქვს, უნდა შევიგნოთ, რომ ეს ლაშქრობა ფრიად სერიოზული საქმეა და რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლაშქრობის დროს მუშების წინ სდგება მთელი რიგი საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელიც წარმატებით უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

აქ უნდა გამოვიჩინოთ სწორედ ჩვენი მომზადება, ჩვენი მხნეობა, ჩვენი ამტანობა.

წესიერად ავასრულოთ განკარგულება, დავიცვათ მკაცრი დისციპლინა, გამოვიჩინოთ საჭირო შეგნება—აი რა შეადგენს ლაშქრობის ყოველი მონაწილის პირველსა და უმთავრეს ამოცანას.

როგორც სამხედრო ლაშქრობა, ისე საჩვენებელი მოქმედება ჩატარებული იქნება ქალ. თბილისის მიდამოებში, ღრმა-ღელის, კუკიას ტბის, ნავთლუღის და მლაშე ტბის მიდამოებში.

ლაშქრობის ყველა მონაწილეთა გამოცხადება შესაკრებ პუნქტებზე სავალდებულოა, აუცილებლად დაუგვიანებლად ოქტომბრის 28-ს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე.

შესაკრები წერტილები: ლურჯი მხარისთვის— მე-6 ქართული ლეგიონის ყაზარმები (ავლაბარში); წითელი მხარისთვის—ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის ყაზარმები და „დინამო“-ს სტადიონი (პლეხანოვის პრ.).

პროფკავშირების განაწილება ცალკე (ლურჯ. და წითელ) მხარეებათ გამოცხადებული იქნება კავშირების ცენტრ. გამგეობათა საშუალებით და აგრეთვე საგანგებო ბრძანებით.

ლაშქრობის მონაწილეებმა იარაღი (თოფები) უნდა მიიღონ თავისი კავშირის ცენტრ. გამგეობიდან წინასწარ და მოამზადონ ლაშქრობისათვის (გასწმინდონ და გაუკეთონ თასმები).

ყოველმა მონაწილემ თან უნდა იქონიოს მშრალი საგზალი და ჩაის დასალევი ჭურჭელი. ჩაის მიცემა მოეწყობა ყოველ ლეგიონში.

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებს უნდა გამოცხადდეს წინასწარ ოქტომბრის 26-ს, 18 საათზე საქ. პროფსაბჭოს (მუშათა სასახლის) დარბაზში.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ლაშქრობის მიზნები და ამოცანები

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ლაშქრობის მიზნებისა და ამოცანებზე ა.-კ. პოლიტსამმართველოს ჯარების მეთაურს ამხ. კულიუდოვს, რომელსაც დავალებული ჰქონდა პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობის წინასწარი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება.

ამხ. პულიუდოვმა განაცხადა შემდეგი: ლაშქრობის მიზანია, რომ პროფკავშირის ყოველი წევრი გაეცნოს ტაქტიკას, სამხედრო საქმეს, და შეიძინოს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა ბრძოლის დროს.

პროფკავშირთა ლაშქრობა არ შეიძლება გასინჯულ იქნეს როგორც მანევრები, ლაშქრობა წარმოადგენს პრაქტიკულ-საჩვენებელ მეცადინეობას ველად.

მთელი სამხედრო ლაშქრობა დაყოფილია რამოდენიმე ეტაპათ, როგორიც არის: სალაშქრო მოძრაობა, გაშლა, დაახლოება, იერიში. მთელი ის მიდამო, სადაც იწარმოებს აღნიშნული ოპერაციები, დაფარული იქნება ტელეფონების ქსელით. რამოდენიმე ადგილას დაიდგმება ხმა-მაღალი რადიო-მოლაპარაკეები. როგორც ლაშქრობაში მონაწილეთ, ისე სტუმრებს საშუალება ექნებათ მოისმინონ ყველა განკარგულება, ყოველი ახსნა-განმარტება და ამავე დროს დაინახონ ნაწილების მოძრაობა.

ლაშქრობაში მიიღებს მონაწილეობას არტილერიის რამოდენიმე დივიზიონი, ქიმიური ნაწილები, კავშირი, ავიაცია და ჯავშან ავტომობილები.

ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულია ჯარის ნაწილების მთელი საშუალო და უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობა.

რათა ლაშქრობა ჩატარებულ იქნეს წარმატებით, „წითლების“ და „ლურჯების“ ყოველ ერთეულში დანიშნულია არმიის და სახ. პოლიტ. სამმართველოს ნაწილების მეთაურები.

ლაშქრობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე თადარიგში მყოფი მეთაურები.

ვინაიდან ლაშქრობას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა პროფკავშირების გასამხედროების საქმეში, ამიტომ ლაშქრობის ყოველმა მონაწილემ უნდა გამოიჩინოს სიფხიზლე და ყურადღებით მოეპყრას ყოველ განკარგულებას და მოძრაობა-მოქმედებას.

მოქმედების დაწყებამდე ყოველი მსროლელი და ტყვიამფრქვევის განყოფილების განმარტება მებრძოლის როლი და მოვალეობა, რათა მებრძოლნი ზედმიწევნით გაერკვიონ ბრძოლის ამოცანაში.

ლაშქრობის დამთავრების შემდეგ გაიმართება ლაშქრობის გარჩევა, სადაც გაუკეთდება ჯამი ნაწილების მოქმედებას და აღინუსხება ლაშქრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

იმედია, პროფკავშირის წევრები უაღრესად სერიოზულად მოეპყრობიან ლაშქრობას და გაეცნობიან რა პრაქტიკაზე სამხედრო საქმეს, ადვილათ შესძლებენ გაერკვიონ სამხედრო საქმეში და იმ მოთხოვნილებებში, რომლებსაც აყენებს მიმდინარე მომენტი წითელ არმიის წინაშე.



ლაშქრობის რაიონის რუკა

შეხვედრითი ბრძოლა

სამხედრო ლაშქრობის დროს „წითლებისა“ და „ლურჯების“ მიერ ჩატარებული იქნება ე. წ. შეხვედრითი ბრძოლა ყველა საჭირო ზომების დაცვით.

„წითლების“ რაზმი ღრმა-ღელიდან დაიძვრება კუკიის ტბის მიმართულებით. „ლურჯების“ გეზი იქნება სად. ნავთლუღიდან კუკიის ტბის მიმართულებით. „ბრძოლა“ მოხდება კუკიის ტბას მიდამოებში, როდესაც ორივე რაზმის მეთაური ნაწილები შეხვდებიან ერთიმანეთს.

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება (ნაწილი მეორე) ასე ახასიათებს შეხვედრითი ბრძოლას: „შეხვედრითი ბრძოლა შედეგია მოწინააღმდეგეთა შეტევისა მათი სვლის დროს. იგი დახასიათდება გარემოების ბუნდოვანობით და ორთავე მხარის ცდით ხელთ იგდონ თაოსნობა (ინიციატივა)“.

შეხვედრითი ბრძოლის დროს მეთაური უნდა მოქმედებდეს სწრაფად და არა უნდა უცდიდეს დამატებით ცნობებს მოწინააღმდეგის და ადგილმდებარეობის შესახებ.

შეხვედრითი ბრძოლის მოლოდინში შედგენილ უნდა იქნეს მოქმედების ზოგადი გეგმა იმ ცნობების მიხედვით, მოწინააღმდეგის შესახებ, რომელიც ხელთ აქვთ სარდლობას. რაზმების ძალების დაჯგუფება უნდა შეეფერებოდეს ამ გეგმას. ამასთან არტილერია და მძიმე ტყვიამფრქვევები უნდა მიდიოდნენ რაზმის თავთან ახლო. გაძლიერებულ უნდა იქნეს ძიების ყველა საშუალებები და დამცველი ნაწილები. ამ უკანასკნელებს შეხვედრითი ბრძოლის მოლოდინში მიემატება არტილერია, მძიმე ტყვიამფრქვევები და ჯავშან მანქანები.

დამცველი ნაწილები რაკი შეეხებიან მოწინააღმდეგეს, ვალდებულნი არიან იმოქმედონ გაბედულად და ეცადონ ხელთ იგდონ სახეირო ზღუდეები და ამით შეუწყონ ხელი მთავარი ძალების ჩაბმას ბრძოლაში.

არტილერია და მძიმე ტყვიამფრქვევები შეხვედრითი ბრძოლის დროს სწრაფად მიიწევენ წინ და თავისი ძლიერი ცეცხლით ხელს უშლიან მოწინააღმდეგის ძალების გაშლას.

შეტევითი ბრძოლა შესდგება შემდეგი საფეხურისაგან: დაახლოება, შეტევა და იერიში.

დაახლოება სრულდება კარგად, სწრაფად. როდესაც მტერი ახლოა და ტყვიამფრქვევებს აქვთ შესძლება გახსნან ცეცხლი, იწყება შეტევა. შეტევა გვირგვინდება იერიშით, რომლის დროს მებრძოლნი უნდა პირისპირ შეეჭიდონ მოწინააღმდეგეს და მოსპონ იგი.

იერიშის დროს მთავარ როლს თამაშობს ქვეითი ჯარი. არტილერია და ტყვიამფრქვევები მხარს უჭერენ ქვეით ჯარს და უადვილებენ ამოცანის შესრულებას.

მხედარი.

ლაშქრობის მონაწილეთა საყურადღებოდ

საქ. პროფსაბჭო აცხადებს, რომ ა. წ. 28 ოქტომბერს, დილის 6 საათზე და 30 წუთზე, ყოველგვარ დაგვიანების გარეშე სამხედრო ლაშქრობის მონაწილენი უნდა გამოცხადდნენ შემდეგ პუნქტებზე:

1-ლი ლეგიონი: შესაკრები პუნქტი— მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონის ყაზარმები (ავლაბარი, რადიო-ათასეულის ყაზარმების პირდაპირ). აქ უნდა გამოცხადდნენ შემდეგი კავშირები: სამთამადნო, ხელოვნების, მბეჭდავთა, ფეიქართა, მეტყავეთა, მედსანშრომის, სახალხო კვების, მიწატყის, ხეზე მომუშავეთა, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა, მშენებელთა და განათლების მუშაკთა კავშირები.

მე-2 ლეგიონი: შესაკრები პუნქტი— „დინამო“-ს სტადიონი (პლეხანოვის პროსპექტი). აქ ცხადდებიან შემდეგი კავშირები: რკინისგზელთა, მეთითონეთა, კომ.მუშაკთა, სახ. კავშირის, „დინამო“-ს სასროლო სექცია.

მე-3 ლეგიონი: შესაკრები პუნქტი— ა.-კ. ქვეითი სკოლის მოედანი (პლეხანოვის პროსპექტი, № 148). აქ ცხადდებიან შემდეგი კავშირები: მბეჭდავთა, გემო-კვების, ქიმიკოსთა და ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირები.

ლაშქრობის ქრონიკა

ლაშქრობის მთავარი ხელმძღვანელი აპარატი

ლაშქრობის მთავარ ხელმძღვანელად გამოყოფილია კავკ. წით.-დრ. არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზოვი, შტაბის უფროსად— ამხ. სმირნოვი, მთავარ ხელმძღვანელობის წევრებათ—ამხ. მაჩაიძე, მიქაძე, ვასილიევი (არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი), კაული (ა.-კ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე), ბერია და ივანჩენკო.

„მუშკოოპი“ ლაშქრობაზე

„მუშკოოპი“ მიიღებს ლაშქრობაში უახლოეს მონაწილეობას. მის მიერ მოწყობილი იქნება სავალი დუქნები, სადაც გაიყიდება სურსათ-სანოვაგე.

ლაშქრობის გაზეთები

ლაშქრობის დროს გამოშვებული იქნება გაზეთები ქართულ და რუსულ ენებზე. შემდგარია სარედაქციო კოლეგიები, რომლებშიაც შედიან თბილისის რუსულ და ქართულ გაზეთების თანამშრომლები.

საბარგო ავტომობილებზე მოწყობილი იქნება სავალი სტამბები.

„წითლები“ და „ლურჯები“

ლაშქრობაში მონაწილე ყველა კავშირები დაყოფილნი არიან ორ რაზმად: „წითლებად“ და „ლურჯებათ“, „წითლების“ რაზმში შედის ორი ლეგიონი. რაზმს მეთაურობენ ამხ. ადამიძე (1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონი) და ნიკიტინი (ა.-კ. ქვეითი სკოლა).

„ლურჯების“ რაზმი შესდგება ერთ ლეგიონიდან. რაზმს მეთაურობს ამხ. ლ. ბარისაშვილი (მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონი).

ლაშქრობის მონაწილეთა რაოდენობა

ლაშქრობაში მონაწილეობას იღებს 20 კავშირი. მონაწილეთა საერთო რიცხვი უდრის 4200 კაცს. ამ რიცხვში შედიან აგრეთვე წითელი ჯარის მეთაურები.

ლაშქრობის მეთაურთა თათბირი

დღეს, 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში დანიშნულია ლაშქრობის მეთაურთა თათბირი, რომელზედაც გარჩეულ იქნება ლაშქრობასთან დაკავშირებული საკითხები.

ლაშქრობის მონაწილეთა ჩაწერა და იარაღის განაწილება

საქართველოს სახკომსაბჭოში

ამხ. თ. დოლიძის დანიშვნა

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგილედ და საქართველოს პროკურორის მოადგილედ დაინიშნა ამხ. თ. დოლიძე.

ებრაელების დასახლება

მიწსახკომის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ ნება მისცა ებრაელების 123 კომლს დასახლდეს „წითელ გორა“-ს ადგილზე კახეთის მაზრაში.

კრედიტი წითელ პარტიზანებისა და წითელ გვარდიელების მეურნეობათ.

სახკომსაბჭოს კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა წითელ პარტიზანებისა და წითელ გვარდიელების სოფ.-მეურნეობისათვის დანიშნული ფონდის განაწილება. ამ მიზნით გადადებული 4.300 მანეთიდან აფხაზეთს მიეცა 500 მან., სამხრეთ-ოსეთს 1.000 მან., რაჭა-ლეჩხუმის მაზრას 1.300 მან., შორაპნის მაზრას 200 მან., თბილისის მაზრას (ყოფ. დუშეთის მაზრისათვის) —700 მან., გორის მაზრას—200 მან. და სენაკის მაზრას 400 მან.

ქ. ბათომში ნავთსინდიკატის ახალი აუზების აგების შესახებ

სახკომსაბჭოს კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა ბათომის აღმასკომს გადასცეს ნავთსინდიკატს 15 ჰექტარი მიწა „ხალოდნი სლაბოდის“ რაიონში. ნავთსინდიკატს დაევალა მიიღოს მონაწილეობა ქ. ბათომის იმ მიწის ნაკვეთის (11 ჰექტარი) ამოშრობის საქმეში, რომელზედაც განზრახულია ახალი საბინაო აღმშენებლობის წარმოება. ნავთსინდიკატს დაევალა აუნაზღაუროს ზარალი ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთის მოსახლეობას მათი ახალი ადგილზე დასახლების ღირებულების მიხედვით.

ჩაის ფაბრიკის აგება ჩაქვში

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა ჩაქვში ჩაის ფაბრიკის აგების ადგილის ამომრჩევი კომისიის აქტი. ხსენებულ კომისიამ ფაბრიკის აგების ადგილათ ამოირჩია „საქართველოს ჩაი“-ს საბჭოთა მეურნეობის № 24 ნაკვეთი.

რა აბრკოლებს სახ. დაზღვევის საქმეს

(პრაქტიკული წინადადება)

უკვე 4 წელი სრულდება, რაც ჩვენში მუშაობას აწარმოებს სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორა. საგენტოების ქსელი იზრდება. თუ 1925-26 წ. სააგენტოების რიცხვი საქართველოში, ავტონომიური რესპუბლიკების ჩაუთვლელათ, უდრიდა 15-ს, 26-27 წ. უკვე გვქონდა 87, 27-28 წ. კი არის 63. 28-29 წ. წ. განზრახულია კიდევ 6 სააგენტოს დაარსება. სააგენტოების ძირითადი ქსელის გაფართოვება და სოფლად მისი დაახლოება მოსახლეობასთან, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ დღემდე არაა მოწესრიგებული არსებული ქსელისა და აპარატის რაციონალურად გამოყენება და ადგილობრივ მუშაკების შერჩევა. ამის გამო რესპუბლიკის ზოგიერთ მაზრაში მუშაობას სახდაზღვევის დარგში აქვს მთელი რიგი ნაკლი. აგიტაცია თავის სიმაღლეზე არ დგას, მოსახლეობა ჯეროვნად არ იცნობს სახდაზღვევის საკითხებს, დასაზღვევი ობიექტების აღრიცხვა თავის დროზე არ ხდება, განაკვეთი დაგვიანებით იკრიბება და სხვ.

სახდაზღვევის კანტორა ყველა თავის ღონისძიებას ადგილებზე ატარებს სამაზრო პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მეშვეობით. სახდაზღვევის ქსელი კი გაფანტულია მაზრაში, თვითეული ერთეული დამოუკიდებლად მოქმედობს და უშუალოდ ემორჩილება ცენტრს, რის შედეგათ მაზრის ორგანოებს არ აქვთ შესაძლებლობა სწორათ გაუწიონ ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სახდაზღვევის მუშაობას ადგილებზე. საჭირო და დროულია დაისვას საკითხი სახდაზღვევის მუშაობისა და ხელმძღვანელობის გაერთიანების შესახებ მაზრებში. საუბნო სააგენტ. ძველებურად დარჩებიან და სასურველია მათი რიცხვის უფრო გაფართოებაც. მხოლოდ მთლიანი ხელმძღვანელობის შემოღება მაზრის ფარგლებში აუცილებელია. რასაკვირველია, სამაზრო ორგანოებს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ სწორად უხელმძღვანელონ ადგილებზე მუშაობას, ვინემ ცენტრს. სამისოდ კი საჭიროა სამაზრო აგენტების უფლებების გაფართოება, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა გაუწიონ მეთვალყურეობასა, და ხელმძღვანელობა სახდაზღვევის მუშაობას მთელს მაზრაში. ფინანგარიშებ-ს წარმოება საუბნო სააგენტოებს ექნებათ უშუალოდ საქართველოს კანტორასთან. სამაზრო აგენტს კი, გარდა ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობისა, დაევალება ფინანგარიშების ადგილობრივათ შემოწმება, რაც შეამცირებს ცენტრიდან ხშირ მივლინებებს და ამავე დროს მოსალოდნელ ბოროტ-მოქმედებას. ადგილებზე სამაზრო აგენტს უშუალო კავშირი ექნება როგორც ცენტრთან, ისე სამაზრო ხელისუფლებასთან, და ყველა იმ ღონისძიებას, რომელსაც მიმართავს ცენტრი და მაზრა სახდაზღვევის საქმეში,— ის გაატარებს მთელს მაზრაში. ამ გზით ადგილებზე დამყარდება ერთიანი ხელმძღვანელობა და გაუმჯობესდება სახდაზღვევის მუშაობა და აპარატი.

არანაკლებ საყურადღებოა მუშაკების შერჩევის საკითხი.

ხშირი შემთხვევებია, რომ ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები სახდაზღვევაში სამუშაოდ გზავნიან გამოუცდელ და სუსტ ამხანაგებს, რომელთაც არ ძალუძთ წარმართონ სახდაზღვევის მუშაობა, ვინაიდან სახდაზღვევას სჭირდება სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მუშაკები. მომავალში მაინც ამ დარგის მუშაკების შერჩევას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. საჭიროა ამ დარგში წამოყენებულ მუშაკების ყოველმხრივ შერჩევა.

ამასთან, საჭიროა დაისვას საკითხი სახდაზღვევის ადგ. მუშაკების ხელფასის გადიდების შესახებ, ვინაიდან სახდაზღვევის სამაზრო და საუბნო აგენტების ხელფასი საშუალოდ არ აღემატება 48-68 მან. თუ არ ვიანგარიშებთ უმნიშვნელო პროცენტს, რომელიც მათ ეძლევათ ჩატარებულ დაზღვევებიდან. ასეთი პატარა ხელფასის გამო ადგილები უყოველთვის მოკლებულია კარგ მუშაკებს.

გ. პაიჭაძე.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

მეორე დღე

თათბირის მეორე დღის დილის სხდომა მთლიანად მოუნდა კომისიების მუშაობას თათბირზე გაკეთებულ მოხსენებების ირგვლივ რეზოლიუციების და პრაქტიკული წინადადებების გამოსამუშავებლად.

საღამოთი შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც წაკითხულ და მიღებულ იქნა რეზოლიუციები და პრაქტიკული მითითებები მომავალ მუშაობისათვის.

რეზოლიუციებში აღნიშნულია ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის მიღწევები მოსახლეობას გასამხედროების დარგში, საზოგადოების რიგების ზრდა და განმტკიცება და აგრეთვე ის ნაკლი, რომელიც გამოსწორებულ უნდა იქნეს საზოგადოების შემდეგომ მუშაობაში.

სხდომის დახურვის წინ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ამხ. ს. ეგიკოვმა. მან აღნიშნა, რომ თათბირის მუშაობა იყო ნაყოფიერი, თათბირმა გამოაშკარავა მრავალი მიღწევა და ნაკლი და დასახა მომავალი მუშაობის გზები. მიღებულ უნდა იყვეს ყოველგვარი ზომები თათბირის რეზოლიუციების და დადგენილებების მთლიანად გასატარებლად ცხოვრებაში, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების წარმატებით მუშაობა.

ამხ. ს. ეგიკოვის სიტყვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

ქუთაისის მაზრის ექიმთა კონფერენცია

ამ დღეებში ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების ინიციატივით მოწვეულ იქნა სამაზრო ექიმების კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების, წითელი ჯვრის კომიტეტის და დისპანსერების მუშაობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ქუთაისის მაზრაში დიდი მიღწევები აქვს. საექიმო პერსონალი პირნათლად ასრულებს თავიანთ მოვალეობას, სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული ექიმბაშობას. საექიმო იარაღებით ყველა პუნქტები საკმაოდ მომარაგებულია. მალარიისა და სხვა სოციალურ სნეულებებს წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით სწარმოებს.

მოხსენებებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ საექიმო საქმის კიდევ უფრო გაუმჯობესებას აფერხებს სათანადოთ მოწყობილი ბინების უქონლობა, მიმოსვლის უხერხულობა, განსაკუთრებით მთა-გორიან ადგილებში და სხვ.

ამ ნაკლთა გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომები: ახლო მომავალში დასრულდება ტყიბულის საავადმყოფო და სხვა საექიმო პუნქტების შენობები. სწარმოებს გზების შეკეთებაც.

ექიმები დიდ დახმარებას უწევენ მოსახლეობას სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაში. იკითხება ლექცია-საუბრები და აძლევენ რჩევა-დარიგებას ავადმყოფების მოვლის საქმეში.

ექიმბაშობის წინააღმდეგ საბრძოლველად თითქმის ყველა საექიმო პუნქტზე მუშაობენ გამოცდილი ექიმის თანაშემწეები და ბებიაქალები.

კონფერენციამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები ჯანმრთ. დაცვის დარგში არსებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა მაგალითად: საექიმო პუნქტების შენობების შეკეთება, საექიმო პერსონალისათვის საცხოვრებელი ბინების და გადასაზიდი საშუალებების გაუმჯობესება, საექიმო პუნქტების საჭირო ინსტრუმენტებით და ინვენტარით უკეთ მომარაგება და სხვ.

სას.-სამ. გადასახადი

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფ.-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით, საქართველოში 1928—29 წლის მთლიანი სასოფ.-სამ. გადასახადის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს. უკვე აკრეფილია— 687481 მანეთი. აქედან: აჭარისტანში—13535 მან., სამხრეთ-ოსეთში—230 მან., აღმოსავლეთ საქართველოში—601724 მან. და დასავლეთ საქართველოში—85757 მანეთი. საერთოდ აკრეფილია გადასახადის—21,5 პროცენტი.

მაზრების მიხედვით: ახალქალაქის მაზრაში აკრეფილია—65422 მან., ახალციხის—37527 მან., ბორჩალოს—152.309 მან., გორის 78182 მან., ყოფ. დუშეთის—85190 მან., ყოფ. სიღნაღის—99694 მან., თბილისის—83170 მან., ზუგდიდის—1220 მან., ქუთაისის—27495 მ., ყოფ. ლეჩხუმის—5551 მან., ყოფ. რაჭის— 6470 მან., ოზურგეთის—2583 მან., სენაკის— 841 მან. და შორაპნის—17082 მან. აფხაზეთში გადასახადის აკრეფა დაიწყება 1 დეკემბრიდან.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომის ნავთსადგურში დამთავრდა მუშაობა ოთხი გემთსადგომი ღრმა ადგილის მოსაწყობად; დამთავრდა აგრეთვე ნავთსადგურის გაღრმავება. გემთსადგომი ადგილების მოწყობა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ნავთსადგურში ისეთი გემები, რომლებიც 30 ფუტით ზიან წყალში. წინეთ კი შესაძლებელი იყო გემების მიღება მხოლოდ 24 ფუტამდე.

მუშაობა გემების დასატვირთავად და განსატვირთავად მნიშვნელოვნად შემცირდება; შემცირდება აგრეთვე ზედნადები ხარჯები. წინეთ დიდი გემები, ღრმა გემთსადგომი ადგილების უქონლობის გამო, შორს დგებოდნენ ნავთსადგურიდან და ნაპირსა და გემს შუა დგებოდა ბარჟა, რომელშიაც ასხამდნენ ნავთის პროდუქტებს; შემდეგ რიგიდზე ამ ნავთის პროდუქტებს ბარჟიდან ასხამდნენ გემში. ეხლა უკვე ამას აღარ აქვს ადგილი.

ნავთის სინდიკატი ამჟამად აწარმოებს ძველი ნავთის სასხმელ მილების შეცვლას ახალი მილებით. რომლის დიამეტრი გაცილებით მეტია. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დიდი გემები დავტვირთოთ დღე-ღამის განმავლობაში, მაშინ, როდესაც წინეთ ამას 2—3 დღე უნდებოდა. 1928—29 წლის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურიდან ნავთის სინდიკატის დავალებით საზღვარგარეთ გაგზავნილი იქნება 2.500.0000 ტონა ნავთის პროდუქტები.

ქრონიკა

ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავისათვის

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების გეგმა. 3 ნოემბრიდან 8 ნოემბრამდე მუშათა კლუბებში წაკითხული იქნება მოხსენებები ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავის შესახებ. მოეწყობა პროფკავშირთა წევრების ექსკურსიები რევოლუციის მუზეუმში, მაუდის ფაბრიკაში და მიღწევების გამოფენებზე, განზრახულია ექსკურსიის გაგზავნა ბაქოში ბაქოელ პროლეტარებთან დასაკავშირებლად.

ქალაქის სამ პუნქტში მოეწყობა შესაფერი კინო-სურათების საჯარო ჩვენება ქუჩაში. მუშათა კლუბებთან არსებულ უველა კინოში ნაჩვენები იქნება შესაფერი შინაარსის ფილმები. მუშათა ბიბლიოთეკებთან გამოფენილი იქნება პლაკატები და მოეწყობა ლიტერატურის გამოფენა.

დღესასწაულის დროს გამართულ დემონსტრაციებზე დაუკრავენ სამხედრო და სიმებიანი ორკესტრები და იმღერებენ გუნდები. 6 და 7 ნოემბერს გაიმართება ფიზკულტუროსანთა მსვლელობა ჩირაღდნებით. გარდა ამისა, განზრახულია გაიმართოს შეჯიბრება კავშირების შორის ტენისში, მსუბუქ ატლეტიკაში და მასიურ გადარბენაში.

ამხ. ი. მარდალეიშვილის გამგზავრება

გზატკეცილთა მშენებლობის ახალი ტეხნიკის და მეთოდების შესასწავლად გერმანიაში გაემგზავრა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უფროსის თანაშემწე ამხ. ი. ხ. მარდალეიშვილი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

დღეს, დილის ათ საათზე, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ბინაზე გაიხსნება ამავე საზოგადოების ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი. თათბირს დაესწრებიან ავტონომიურ ოლქების და სამაზრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საზოგადოების მასიური მუშაობა, ფინანსიური საკითხები, სექციების მუშაობა, გასამხედროების საქმის მდგომარეობა.

თათბირი გაგრძელდება ორ დღეს.

მუშების რიცხვის ზრდა ჭიათურაში

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტის მმართველის მოადგილემ დარახველიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ ჭიათურის შავი-ქვის ტრესტმა ორი თვის მუშაობის განმავლობაში ადგილის მუშების რიცხვი ჭიათურაში—მაღაროებში და ქარხნებში—აიყვანა 1500-მდე. ჰარიმანის კონცესიაზე კი უკანასკნელ დროს მუშობდა სულ 500 კაცი.

საკავშირო სას.-სამ. კოოპერაციის საბჭოს მეორე სესია

„სოფლის კავშირი"-ს ცნობით 9 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს მეორე სესია. სესიის დღის წესრიგი შემდეგია: საკავშირო სას.-სამ. კოოპერაციის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისთვის; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში; სას.-სამ. კოოპერაციის ხელმძღვანელ კადრების მუშაობა კოოპერატიულ განათლების საქმეში; მოხსენება ამიერ-კავკასიის სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ; პრეზიდიუმის არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

სამკურნალო მცენარეულობის დამზადება

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით სამკურნალო მცენარეულობის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. სამკურნალო მცენარეულობის დიდი ნაწილი მზადდება საექსპორტოთ.

უმუშევართა სასადილო

დამთავრდა უმუშევართა სასადილოს შეკეთება-გაფართოება. შეკეთებაზე დაიხარჯა 3 000 მანეთი. სასადილოდან უმუშევრებზე უფასო სადილების გასაცემად თბილ. აღმასკომი ყოველთვიურად გაიღებს 2000 მანეთს.

ვაშლისა და თხილის დამზადება

„სოფლის კავშირი"-მა 15 ოქტომბრისათვის დაამზადა 115 ათასი ფუთი ვაშლი და 90 ათასი ფუთი თხილი.

კანაფის მეურნეობა

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი საქართველოში კანაფის მეურნეობის განვითარების შესახებ და გამოიმუშავა საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

საგეგმო კომისიის დადგენილებით წინადადება მიეცა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შეიმუშაოს კანაფის დამზადების გეგმა 1929 წლისათვის „სოფლის კავშირი"-ს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა შეიმუშაონ საქართველოში კანაფის მეურნეობის განვითარების გეგმა.

საგეგმო კომისიის დადგენილებით, მიმდინარე საანგარიშო წელში სხვადასხვა მაზრებში იწარმოებს კანაფის საცდელი მეურნეობა. პირველ ხანებში საცდელი მეურნეობა მოეწყობა აჯამეთში, ყარაიაში და ზუგდიდის მაზრაში.

ამ ადგილებში საცდელი მეურნეობისათვის გამოყოფილი იქნება 5—5 ჰექტარი მიწა.

კანაფის მეურნეობის გაფართოების მიზნით საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო კანაფის მეურნე გლეხებს ჩამოეწეროთ ძველი დავალიანება.

თბილისის აღმასკომში

◆ **აგურის ქარხნების მექანიზაცია.** საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ღრმა-ღელეში არსებულ აგურის ქარხნების მექანიზაციის გეგმა. ქარხნების გადაკეთება დაიწყება მიმდინარე წელში.

◆ **ტრამვაის ქვე-სადგური.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა თავისუფლების მოედანზე ააგოს ტრამვაის ქვე-სადგური და მოაწყოს გადახურული ბაქანი მგზავრების გასაჩერებლად.

მიწსახკომში

◆ **საბეითლო ამბულატორიები.** მიწსახკომმა გადასწყვიტა მესაქონლეობის დიდ რაიონებში მოაწყოს ახალი საბეითლო ამბულატორიები.

◆ **აგრონომიული კაბინეტები.** მიწსახკომი წელს აგრო-პუნქტებთან მოაწყობს აგრონომიულ კაბინეტებს.

სხვადასხვა

◆ **დიდი ყინვები.** ბორჩალოს მაზრაში მოულოდნელად მოვიდა თოვლი და დაიჭირა ძლიერი ყინვები.

◆ **დამცველთა კოლეგიაში.** კვირას, 28 ოქტომბერს, დილის 10 ს. შესდგება დამცველთა კოლეგიის წევრთა წლიური კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნება პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება და მოხდება ახალი პრეზიდიუმის არჩევა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბაქოდან—კაულს, ლენინგრადიდან—საკაიანს, გურჯაანიდან—ელიზბარაშვილს, ქუთაისიდან—არალოვს.

◆ **მემანქანეების კურსები.** ა.-კ. რკ. გზების პროფტეხნიკუმის გამგეობა ამ დღეებში თბილისის დეპოსთან გახსნის, მემანქანეების გადასამზადებელ და მოსამზადებელ 5 თვიან კურსებს.

—:—

შემთხვევები

ქურდი შვილი

მოქ. ტარასი როსტომის ძე ჯანგიძემ (მცხ. შუშის ქ. № 4) განაცხადა თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მისი ბინის სისტემატიურ გაქურდვას ეწეოდა მისივე შვილი დიმიტრი (12 წლისაა). დაკითხვისას დ. ჯანგიძემ განაცხადა, რომ ქურდობას იგი ეწეოდა მოქ. ქეთევან ეორიელიანის (მცხ. დ. ჯონქაძის ქ. № 1) დაქეზებით და მასვე უნაწილებდა ნაქურდალ ნივთების საფასურს.

ჯიბგირობა

ამას წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა სარქის სოკრატოვს სოღანლუღის გზაზე ჯიბიდან ამოაცალა 200 მანეთი. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა აშკარ აბას-ოღლი და შაქრო გალევის ძე გოდერძიშვილი, რომლებიც გამოტყდენ დანაშაულში.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ლადო აბაშიძის ბინა (მარტის ქ. № 8); წაღებულ ნივთების რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია; გარდა ამისა 24 ოქტომბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სტეფანე ადამიანცი (მცხ. შრომის ქ.) და ფირუზ იოსების ძე ლაზერდოვი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ხელოვნება

საოპერო სეზონის გახსნის წინ

1-ლ ნოემბერს იხსნება სახელმწიფო საოპერო თეატრის საზამთრო სეზონი. ჩვენს თანამშრომელს თეატრში განუცხადეს შემდეგი:

— სეზონი სახელმწიფო ოპერაში რამოდენიმეთ დაგვიანებით იხსნება, რადგან სექტემბერში და ოქტომბერში თეატრს დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდა სეზონის მოსამზადებლად.

წარმოდგენების ხალტურულად გაძღოლამ წინა სეზონებში გამოიწვია ის, რომ მთელი სცენიური და დეკორატიული მასალა გაცვდა და თეატრს მოუხდა რეპერტუარში შეტანილ ოპერების ხელახლა გაფორმება. აღნიშნული მუშაობა შესრულებულია ნ. ნ. ბოგოლიუბოვის მიერ. ამას გარდა, თეატრმა ამ ხნის განმავლობაში მოამზადა ახალგაზრდა გუნდი, რომელიც შეუერთდა ძველ გუნდს და გადაახალისა იგი. გადიდებულია ორკესტრიც. მთელი ამ მუშაობისათვის საჭირო იყო დრო.

1-ლ ოქტომბრიდან რეპეტიციებს შეუდგა რესპუბლიკის დამსახ. არტისტი და დიდი თეატრის დირიჟორი ა. ვ. პავლოვ-არბენინი, რომლის ხელმძღვანელობითაც პირველ დღეებშივე წავა ოპერა „კარმენი" და „პიკის ქალი" მისი სრულიად ახალი მუსიკალური ინტერპრეტაციით და ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმით.

ა. ვ. პავლოვ-არბენინს მინდობილი აქვს აგრეთვე „გოფმანის ზღაპრები" (თეატრის მიერ გამოწერილია ოპერის ახალი საორკესტრო მასალები) და პუჩინის ახალი ოპერის „ტურანდოტ"-ის დადგმა, რომელიც თეატრის მიერ ნაჩვენები იქნება დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავზე, 7 ნოემბერს, თეატრის მიერ ნაჩვენები იქნება დელიბას ცნობილი ოპერა „ლაკმე", რომლის ახალი ტექსტი დაწერილია პოეტ მ. პ. გალპერინის მიერ. ოპერის მუსიკა შეცვლილი არ არის, ლიბრეტო კი გაშლილია ინდოეთის ინგლისის იმპერიალიზმთან ბრძოლის ფონზე. „ლაკმე"-ს სდგამს რეჟ. ბოგოლიუბოვი. კომპოზიტორ ვასილენკოს მიერ ოპერისათვის დაწერილია პროლოგი და ზოგიერთი ჩასამატებელი ადგილები. დადგმის მუსიკალური მხარე მინდობილი აქვს დირიჟორ ვ. ა. შეფერს.

რ. ი. ბალანოტი გარდა ბალეტებისა „კარმენში", „აიდაში" და „ლაკმეში" ამთავრებს ჩაიკოვსკის „გედების ტბის" დადგმას, რომელიც ნაჩვენები იქნება ნოემბრის პირველ ნახევარში. წარმოდგენის არქიტექტურული მხარე შესრულებულია მხატვარ პელონკინის მიერ. „გედების ტბასთან" ერთად თეატრი ამზადებს კომპოზიტორ გლიერის „წითელ ყაყაჩოს", რომელსაც სდგამს ბალეტმეისტერი ბალანოტი. მხატვრული გაფორმება პელონკინის.

გარდა იმ მომღერლებისა, რომლებიც უკვე იყო გამოცხადებული, თეატრის მიერ მოწვეულია მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი ქალი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ქ. დ. დერჟინსკაია, რომელიც რუსული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად ითვლება, და რომლის მონაწილეობითაც სეზონის პირველ დღეებშივე წავა ოპერა „პიკის ქალი", „აიდა" და „ჰუგენოტები".

სეზონის მეორე ნახევარში კი ჩამოვა ლენინგრადის ოპერის თეატრის მომღერალი ქალი ა. ი. კობზარევა. ამრიგად, მიმდინარე სეზონში თბილისში იმღერებს თანამედროვე ორი უდიდესი მომღერალი ქალი. დერჟინსკაია გამოვა „პიკის ქალი"-ს პირველ წარმოდგენაში. ტომსკის პარტია მინდობილი აქვს ამ პარტიის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს ცნობილ ბანს ვ. ა. ლუკანინს, რომელიც სპეციალურად ამ პარტიის შესასრულებლად არის მოწვეული. გერმანის პარტიას მღერის ტენორი ა. ა. დროზდოვი, რომლის რეპერტუარშიც ეს საუკეთესო პარტიად ითვლება.

დასის ძირითად შემადგენლობაში მოწვეულია აგრეთვე ცნობილი ტენორი ვ. მ. ბრიგინევიჩი, რომელსაც აქვს მძლავრი, ყველა რეგისტრებში თანაბარი და მეტად სასიამოვნო ტემბრის ხმა; ბრიგინევიჩი აქამდე მღეროდა უმთავრესად საზღვ-გარეთ. ბრიგინევიჩი პირველად იმღერებს ფატმა მუხტაროვასთან ერთად „აიდაში".

სვანების მომღერალთა გუნდი

სვანეთიდან თბილისში ჩამოვიდა 18 კაცისგან შემდგარი მომღერალთა გუნდი, რომელიც დღეს ოპერის თეატრში მართავს კონცერტს.

შესრულებული იქნება სვანური სიმღერები,

ფერხული, შუშპარა; სვანები დაუკრავენ აგრეთვე ჩანგსა და ჭიანურზე. გუნდის მიზანია გააცნოს ფართო საზოგადოებას სვანური ხალხური სიმღერები, რომელთაც მრავალი ასეული წლების ისტორია აქვს. გუნდი შესდგება გლეხებისაგან, მას ხელმძღვანელობს სვანი—ი. მარგიანი.

გუნდი მიემგზავრება მოსკოვ-ლენინგრადში, სადაც გამოითქვა სურვილი სვანური სიმღერების მოსმენისა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სვანეთიდან მომღერალთა გუნდი გამოდის სცენაზე.

სიმღერები საგმირო ხასიათისაა: სვანი უმეტეს ნაწილად გმირობას ვაჟკაცობას უმღერის, სიყვარულზე იგი ნაკლებათ მღერის, მაგრამ აქაც გმირობაა ჩაქსოვილი. მრავალი ასეული წლების წინეთ სვანი ისე მღეროდა, როგორც ეხლა მღერის. სვანეთის განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების (კარჩაკეტილობა) გამო სიმღერები დღემდე შენახულა შეულახავათ.

სიმღერების მუსიკალური მხარე მდიდარია ჰანგებით და მსმენელზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს.

ხვანი.

ხელოვნების ქრონიკა

„ქართული მწერლობა" № 8—9

გამოვიდა სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ჟურ. „ქართული მწერლობა"-ს მორიგი ნომერი (აგვისტო—სექტემბრის ნომრები ერთად № 8—9) შემდეგი შინაარსით: ს. დანელია—„ლევ ტოლსტოი", ვახ. კოტეტიშვილი—„ლევ ტოლსტოი", ტიციან ტაბიძე—„ტოლსტოის დღეები".

მხატვრული ლიტერატურა: რაჟდენ გვეტაძე—„ქვიშხეთი". ვალერიან გაფრინდაშვილი—„ორი ძმა. ხილთა ქება". ნ. ლორთქიფანიძე—„შელოცვა რადიოთი". ვ. ჟურული—„კრასინი", გრიგოლ ცეცხლაძე—„ოთხი მეზერი". ს. შანშიაშვილი—„პრეზიდენტ პაპულე", დ. თომაშვილი—„მუშა ბოქულაძის შვილიშვილი", ტრ. რამიშვილი—„საბჭოთა სახლი № 5".

წერილები: ბესარიონ ჟღენტი—„თანამგზავრობის პრობლემა", შ. რადიანი—„ს. შანშიაშვილი", კ. ბაქრაძე—„თანამედროვე ფილოსოფია ევროპაში", დ. კასრაძე—„თანამედროვე პორტრეტები".

ბიბლიოგრაფია: კონ. გამსახურდია—„შექსპირი—„ჰამლეტი"". ლევან ასათიანი—„ლიტ. და ენით მეცნიერების ტერმინოლოგია" ა. გ.—„ლევ-ტოლსტოი—„აღდგომა"". ქრონიკა.

—:—

◆ **სვანური სიმღერების კონცერტი.** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება სვანური სიმღერების კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სვან-გლეხების გუნდი და დამკვრელები.

მეფუტკრეობა ახალქალაქის მაზრაში

მიწად-მოქმედების სახკომისარიატმა ახალქალაქის მაზრაში გამოიკვლია მეფუტკრეობის საქმე. გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ ახალქალაქის მაზრას პირველი ადგილი უჭირავს მეფუტკრეობის დარგში. მაზრაში ამჟამად ითვლება 14.921 ოჯახი. აქედან 14.173 ოჯახი მოთავსებულია ჩარჩოებიან სკებში, დანარჩენი სკები პრიმიტიულადაა მოწყობილი. მეფუტკრეობის განვითარებას საერთოდ მაზრაში აფერხებს ის გარემოება, რომ მეფუტკრე გლეხები მეფუტკრეობას აწარმოებენ ძველი წესით და სრულებით არ იცნობენ მეფუტკრეობის ახალ მეთოდებს. მაზრაში გავრცელებულია აგრეთვე ფუტკრის ავადმყოფობა.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა ადგილობრივ აღმასკომთან ერთად ახალქალაქის მაზრაში გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები მეფუტკრეობის განსავითარებლად. გარდა ამისა მიღებული იქნება ზომები ფუტკრის ავადმყოფობის წინააღმდეგ. ამ მიზნით გადაწყვეტილია მაზრაში მოეწყოს სპეციალური ლაბორატორია.

გადაწყვეტილია აგრეთვე მეფუტკრე გლეხობას მიაწოდონ კრედიტები და გაუმჯობესებული ინვენტარი.

მიწად-მოქ. კომისარიატმა წინადადება მისცა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს მეფუტკრეობის კურსებზე გამოგზავნოს ახალგაზრდა გლეხები.

ბამბის დამზადება

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტში ჩვენ თანამშრომელს აცნობეს, რომ ბამბის შესყიდვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დღითი-დღე ფართოვდება. სულ სეზონის განმავლობაში განზრახულია ბამბა დამზადებული იქნეს მეტის რაოდენობით, ვიდრე შარშან, მიუხედავად იმისა, რომ წელს ბამბის ცუდი მოსავალი იყო. ბამბის საწმენდი ქარხნების ნაწილი უკვე მუშაობს. და ბამბის ნართის პირველი პარტია უკვე გაიგზავნა ცენტრში. უახლოეს დღეებში მუშაობას დაიწყებს ყველა 14 ბამბის საწმენდი ქარხანა. ქარხნები თავის დროზე იქნა შეკეთებული და მათი ნორმალური მუშაობა უზრუნველყოფილია. ბამბის დამზადება ტარდება მთლიანად კოოპერაციის საშუალებით კონტრაგენტულ საფუძვლებზე. ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა საჭირო საშუალებები მიაწოდა კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ბამბის შესყიდვის კამპანია უზრუნველყოფილია ხორბლით და მანუფაქტურით. სეზონის განმავლობაში განზრახულია მებამბეობის რაიონებში შეტანილი იქნეს 35,000 ტონა ხორბალი 1 მან. 50 კაპ. ფუთი, მანუფაქტურა შეტანილი იქნება 55 ვაგონი.

ბრძოლა ეპიდემიების გავრცელების წინააღმდეგ

ეპიდემიების გავრცელებასთან საბრძოლველად და ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულმა სანიტარულმა საბჭომ გამოიმუშავა გეგმა ქალაქში სანიტარული და ეპიდემიოლოგიური საქმის მოსაწესრიგებლად.

სანიტარულმა საბჭომ გადასწყვიტა მოახდინოს ქალაქის სანიტარული ქსელის რეორგანიზაცია. ცალკე სახლთმფლობელობებთან დაარსებული იქნება სანიტარული მეთვალყურეობის კომისიები, რომელთაც ეყოლებათ თავისი რწმუნებულები. რწმუნებულებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ მათდამი რწმუნებულ ადგილებში დაცულ იქნეს სრული სანიტარული წესიერება და არ შეიქმნეს ისეთი გარემოება, რომ შესაძლებელი გახდეს რაიმე ეპიდემიის გაჩენა და გავრცელება. გარდა ამისა შექმნილი იქნება სარაიონო სანიტარული კომისიები რომლებშიაც შევლენ ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის სექციის წევრები და მშრომელთა წარმომადგენლები.

სანიტარულ ექიმებს დაევალებათ შეისწავლონ მათი რაიონები სანიტარული ტოპოგრაფიის და ეპიდემიოლოგიის მხრივ. რაიონების შესწავლის დროს ექიმებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ პუნქტების გამორკვევას, საიდანაც შეიძლება წარმოიშვას რაიმე ეპიდემია, ან სხვა გადამდები ავადმყოფობა.

ჯანმრთელობის განყოფილებასთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს უფრო დაწვრილებით შეიმუშაოს ქალაქში სანიტარული ზედამხედველობის და ეპიდემიებთან ბრძოლის რეორგანიზაციის გეგმა.

სასამართლო

რა „მოიგეს" მიწით მოვაჭრეებმა"

სევერიან და გიორგი კობრეიძეები ძმები არიან. ერთი დიდი ხანია ძმურად ვაჭრობენ ქ. ხონში, თუმცა ერთ-ერთი ძმა, სახელდობრ სევერიანი, უკანასკნელად გამოკლდა ხონელ ვაჭრების რიგებს გაქესარების გამო, მაგრამ მეორე ძმას მაინც არ გამოეთიშა და ისე, შინიდან ხელს უწყობდა სხვადასხვა კომბინაციებში.

კომბინაცია კი ბევრი გაუკეთებიათ კობრეიძეებს, ბევრი სარგებელიც უნახავთ, მაგრამ უკანასკნელმა კომბინაციამ ხასიათი გაუფუჭა მათ.

კობრეიძეებმა, რომელთაც გლეხობის გატყვევებაზე ხელი აღებინა კოოპერატიულმა საავაჭროებმა, გადასწყვიტეს შერყეულ მდგომარეობის გამოსწორება სხვა კომბინაციით, სახელდობრ, მიწის ფარულად გაყიდვით.

კობრეიძეებმა იცოდენ, რომ მიწის გაყიდვა სასტიკად იდევნება საბჭოთა კანონით, მაგრამ გაქქილ ვაჭრებს ეგონათ, რომ ძველებურად მოახერხებდენ საქმეს და ოინებს გამოაპარებდენ ხელისუფლებას.

საქმე მოაწყვეს ფრიად საიდუმლოთ (!) გაყიდეს საზოგე მიწა, რომელშიაც ჩადგმული იყო ერთი სამზარეულო. ეს მოხდა გასულ შემოდგომაზე. მყიდველი გახლდათ ადგილობრივი შეძლებული ხელოსანი პავლე კუპრეიშვილი, რომელმაც 2.100 მანეთი დაუთვალა კობრეიძეებს.

ხმა გავრცელდა ხონში, რომ კობრეიძეებმა გაყიდეს მხოლოდ სამზარეულო. ეს ხმა რასაკვირველია გაავრცელეს კობრეიძეებმა იმისათვის, რომ არავის ეჭვი არ მიეტანა მათზე.

მაგრამ ხელისუფლების ყურამდე მივიდა ამბავი კობრეიძეების ოინის შესახებ.

საქმის გამორკვევა მიენდო სადგილ-მამულო სექციის თავმჯდომარეს, რომელმაც მაშინვე დაიბარა კობრეიძეები და კუპრეიშვილი.

— ვინ მოგახსენათ ბატონო! სად გვქონდა გასაყიდი მიწა. სამზარეულო გავყიდეთ, რადგან ძალიან გაჭირვებაში ვართ. სულ რაღაც 500 მანეთამდე ავიღეთ. მიწა ჩვენს განკარგულებაშია,—დაბეჯითებით ლაპარაკობენ კობრეიძეები.

პავლე კუპრეიშვილიც, რასაკვირველია, ადასტურებს ამას, რადგან იცის, რომ თუ გამომჟღავნდა ეს ამბავი საეზოვე საეზოვეთ დაიკარგება და, რაც მთავარია, 2.100 მანეთს თვალით ვერ იხილავს.

სადგილ-მამულო სექციის თავმჯდომარე წავიდა მიწის ადგილობრივ დასათვალიერებლად და ნახა ასეთი სურათი: ქიშკარი, რომლითაც კობრეიძეები ჩადიოდენ მამულში, გაუქმებულია, კუპრეიშვილს აუღია ღობე და მამული მისი ეზოსთვის შეუერთებია, მამულში მუშაობდა პავლე კუპრეიშვილის ძმა.

მიწით მოვაჭრეები დაპატიმრებულ იქნენ. საქმე გაირჩია ხონის უბნის სახალხო სასამართლომ.

სამივე „კომბინატორმა" ამ ფარული კომბინაციით „მოიგო" სამ-სამი თვით პატიმრობა, ადგილი გადარიცხა სახაზინო ფონდში, ხოლო მიწაში აღებული 2100 მანეთი კობრეიძეებმა დაჩქარებით უნდა ჩააბარონ ხონის აღმასკომს, რომელიც ადგილობრივ გლეხობის კეთილდღეობას მოახმარს ამ თანხას.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შემოიტანეს უზენაეს სასამართლოში.

მკვლელობა საზღვრის თაობაზე

გორის მაზრის სასამართლომ გაარჩია ძმ. ივანე და დავით ნოზაძეების საქმე.

ნოზაძეებს თავის მეზობელთან სოფელ კოდავეთში (გორის მაზრა) ნიკო სადღობელაშვილთან დავა ჰქონდათ ადგილის საზღვრის გარშემო. ამ დავას დასასრული არ ჰქონდა. ნოზაძეები ჯიბრზე ისეთ ადგილას რგავდენ ნერგებს, რომელიც სადღობელაშვილის მამულის მიჯნას სცილდებოდა.

სადღობელაშვილი თავის მხრივ სთხრიდა ამ ნერგებს და ჰყრიდა ნოზაძეების მამულში. ნოზაძეები ხელმეორედ რგავდენ და იყო ერთი დავიდარაბა.

ერთ დღეს ძმებმა ნოზაძეებმა დაიჭირეს ნიკო სადღობელაშვილი, როცა იგი ნერგებს სთხრიდა, დავით ნოზაძემ სადღობელაშვილი დააგდო მიწაზე, ხოლო მისმა ძმამ ივანე ნოზაძემ ნაჯახი დაჰკრა თავში და შუაზე გაუპო. სადღობელაშვილი გარდაიცვალა.

ივანე ნოზაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო მის ძმას დავითს—2 წლით.

რკინის გზებზე

საბარგო მატარებლის დამტვრევა

გუშინ, 25 ოქტომბერს, საბარგო მატარებელი № 461, რომელიც მიჰყავდა მემანქანე გილდეევს სადგ. კარაბურუნში გაწყდა ორ ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ მემანქანეს მისცეს სიგნალები მომხდარ შემთხვევის შესახებ, მან მატარებელი არ გააჩერა და განაგრძო გზა გაუწყვეტელ შემადგენლობის წინა ნაწილით, ხოლო უკანა ნაწილი დასტოვა სადგურზე.

გილდეევმა მხოლოდ სადგ. გილგილ-ჩაიში ჩასვლისას შეამჩნია, რომ გზაში სადღაც დაჰკარგა (!) მატარებლის შემადგენლობის ნაწილი. ამის შემდეგ იგი დაბრუნდა უკან და წაიყვანა მატარებლის მეორე ნაწილი.

ამ შემთხვევამ შეიტანა არევ-დარევა მატარებლების მიმოსვლის ცხრილში.

გილდეევი ამით არ დაკმაყოფილდა მისი მატარებელი სადგ. გილგილ-ჩაიში დააყენებულ იქნა, რადგან ამ დროს მოწინააღმდეგე მიმართულებიდან მიდიოდა მეორე მატარებელი № 462.

მატ. № 462-ს სადგურში შესვლის დროს გილდეევმა თვითნებურად წაიყვანა მატ. № 461, რასაც შედეგად მოჰყვა მატარებლების დაჯახება. დაჯახების დროს დაიმსხვრა 3 დატვირთული ვაგონი და ლიანდაგიდან გადავარდა ერთი. დაზიანდა ხაზიც.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

მოძრაობა გილგილ-ჩაი-დევიჩის გადასარბენზე შეწყდა. ბალაჯარიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

სწარმოებს შემთხვევის მიზეზების კვლევა-ძიება.

ახალ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

გზათა სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ა.-კ. რკინისგზების ახალ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა 1928—29 წლისათვის.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გაღებულია სულ 8.322 000 მანეთი.

ამ თანხიდან სალიანდაგო დარგში ჩასატარებელ სამუშაოებისათვის გადადებულია 320000 მან., საბინაო მშენებლობისათვის—500.000 მან., წევის დარგისათვის—1.856.000 მან., მოძრაობის დარგისათვის—156 000 მან., კავშირის და ელექტრო-ტეხნიკური დარგისათვის—437.000 მან., სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის—1.850.000 მან., სადგურების აღმშენებლობისათვის—284.000 მან. და საბარგო სადგურების მუშაობის მექანიზაციისათვის—30 000 მანეთი.

მუშა-გამომგონებელი

სურამის საუღელტეხილო უბანზე მომუშავე ძველ მემანქანემ ამხ. კანუკოვმა გამოიგონა ცალგამტარა ავტომატიური მუხრუჭი.

ამ რამდენიმე ხნის წინად ეს მუხრუჭი გამოსცადეს ბორჯომის შტოზე. გამოცდამ კარგი შედეგები გამოიღო.

მუხრუჭის გამომცდელი კომისია ამჟამად ამუშავებს გამოცდიდან მიღებულ მასალებს.

რათ იგვიანებს მატარებლები

მთელ რიგ შემთხვევების გამო, ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, ა.-კ. რკ. გზების აღმოსავლეთ და დასავლეთ უბნებზე მატარებლები, მიმოსვლის ცხრილის მიხედვით იგვიანებენ.

ჩქარი მატარებელი № 2 იგვიანებს 1 საათი და 15 წუთით, იმის გამო, რომ კიშლი-ბალაჯარის შორის მოხდა საბარგო მატარებლის გაწყვეტა.

მატარებელი № 4 იგვიანებს 2 საათი და 23 წუთით, სადგ. გრაკალში საბარგო მატ. 105 ს შემადგენლობიდან რამოდენიმე ვაგონების დავარდნის გამო, რომელთა ასასაღებად თბილისიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

ამ ორმა შემთხვევამ არია, როგორც სახალხო, ისე საბარგო მატარებლების მიმოსვლა.

ნავთლუღის და სამტრედიის საცივრები

ნავთლუღის და სამტრედიის საცივრების საამშენებლო სამუშაოები ახლო ხანში დამთავრდება. ამჟამად გამოყოფილია სპეციალური კომისია საცივრების მისაღებად.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ოფიციალური ცხრილი № 4

მეჩვიდმეტე სერიის მეორე ტირაჟისა, რომელიც შესდგა ქ. ეჩმიაძინში (სომხეთი)

სატირაჟო კომისიის 20 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე გათამაშებულ იქნა 252 ორმოცდაათ მანეთიანი (თითოეული) მოგება, რომლებიც ხვდა მეჩვიდმეტე სერიის შემდეგ ობლიგაციებს:

000.116	017.364	030.784	051.264	071.013
000.195	017.593	032.824	051.700	073.317
001.805	019.899	033.067	053.288	075.090
003.050	020.925	033.521	054.046	076.610
003.414	022.062	035.226	055.587	076.704
003.709	022.584	035.671	058.824	077.004
004.693	022.870	036.498	059.365	077.198
005.946	023.012	036.948	059.441	079.559
006.056	023.165	037.383	060.118	080.639
007.435	025.062	038.651	060.856	081.997
008.023	025.306	038.937	060.947	082531
008.773	027.057	040.041	062.289	082.840
009.664	027.605	041.424	063.578	083.877
014.069	027.810	043.504	063.598	084.163
014.479	028.093	045.061	065.058	084.394
014.529	028.291	045.213	065.266	085.256
014.558	028.425	046.412	067.698	085.969
015.489	028.963	047.741	068.750	085.972
015.813	029.895	048.703	070.065	086.803
016.363	030.572	049.214	070.541	087.388
016.859	030.671	050.026	070.691	089.456
105.683	134.378	161.349	180.956	205.994
108.615	134.636	161.563	181.136	206.159
108.727	135.905	161.708	183.090	206.828
111.482	135.988	162.523	185.650	208.361
112.823	136.867	163.486	187.324	209.089

112.854	140.201	165.926	188.413	210.569
113.010	142.085	166.019	189.885	210.849
113.300	142.254	167.063	190.115	211.282
113.905	142.933	167.705	190.263	213.822
116.563	143.732	172.214	192.490	213.832
116.738	144.527	172.222	194.538	213.989
118.514	145.529	172.439	195.871	214.404
124.056	145.791	173.668	196.028	214.415
124.489	148.702	174.207	198.349	217.389
125.090	153.389	175.474	198.914	219.406
125.453	125.453	176.716	199.282	220.179
126.038	155.406	177.968	199.698	220.462
126.993	156.059	178.951	200.335	225.610
129.809	157.113	179.316	203.067	226.561
131.354	157.540	179.985	204.394	228.969
132.371	157.672	180.293	205.643	229.784
090.010	090.031	092.278	092.324	093.036
093.053	093.233	094.126	094.867	095.863
096.838	098.141	098.517	099.045	099.593
100.052	101.653	102.043	103.653	104.510
104.513	229.828	234.576	237.262	237.774
238.774	239.023	239.193	239.212	240.039
240.755	241.239	241.443	241.541	243.909
244.224	244.500	244.814	247.054	247.926
249.825	249.905			

ნარევი

390 კატასტროფა

ექვსი თვის განმავლობაში შეერთებულ შტატებში დაიმსხვრა 390 აეროპლანი, დაიღუპა 153 კაცი.

მიწისქვეშა სახლები

ტოკიოში (იაპონიის სატახტო ქალაქი) ხშირი მიწისძვრების გამო არ შეიძლება მაღალი სახლების აშენება. ამიტომ შეუდგნენ მიწისქვეშ სახლების აგებას. ამჟამად შენდება უზარმაზარი სახლი, რომლის 80 სართული მიწისქვეშ იქნება მოთავსებული. მზის სხივების შესაკრებად სახლს უკეთდება სპეციალური სარკეები.

20 შვილის პატრონი

ლენინგრადის ერთ-ერთი საფეიქრო ფაბრიკის მუშა რადიონოვა (45 წლის) არის 20 შვილის დედა. ფეიქართა კავშირმა რადიონოვა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

შემთხვევით გადარჩა

საჰაერო კატასტროფის დროს ლონდონში აეროპლანი ჩავარდა თეატრის სამეფო ლოჟაში, რომლიდანაც ინგლისის მეფე ორი წუთის წინ გავიდა. აეროპლანზე მყოფი მფრინავი და ოფიცერი მოკლულია.

ტიფის ეპიდემია

დრეზდენში (გერმანია) მძვინვარებს ტიფის ეპიდემია, ყველა სკოლები დახურულია.

სარწმუნოებრივი სექტები შეერთ. შტატებში

სარწმუნოებრივ სექტების წევრთა რიცხვი შეერთებულ შტატებში 1926 წლის ცნობით უდრის 55,000 000. ე. ი. 13000000-ით მეტია, ვიდრე 1916 წ: 1926 წ: შეერთებულ შტატებში იყო 213 სექტა, რომელთაც ჰქონდათ 231000 სამლოცველო სახლი.

რა ღირს ადამიანი

ადამიანის ორგანიზმის ორი მესამედი შედგება წყლისაგან. გარდა ამისა, როგორც ამერიკელმა სწავლულმა მაცომ გამოარკვია, საშუალო წონის მქონე ადამიანის სხეული შეიცავს: 1) ქონს—7 ნაჭერი საპნის დასამზადებლად, 2) რკინას—ერთი საშუალო ზომის ლურსმნისათვის, 3) შაქარს—ისეთი რაოდენობით, რომელიც პატარა სამარილეს ძლივს გაავსებს, 4) ფოსფორს—30 კოლოფ წუმწუმასათვის. 5) მაგნეზიუმს, რომელიც ამ წამლის ერთ მიღებაზე კმარა, 6) კირს—ერთი პატარა საქათმის გასათეთრებლად, 7) კალიუმს—პატარა სათამაშო ზარბაზნიდან გასასროლად 8) გოგირდს—ძაღლის გასაწმენდათ რწყილებიდან.

ყველა ამ ნივთიერებათა ღირებულება 13. 95 კაპ. უდრის.

იურიდიული დახმარება

ილია [illegible]

კითხვა:

სამ ძმას გვქონდა მამის დატოვებული ორი ქცევა მიწა ერთი ქცევა ნაყიდი ყოფილა ძველად, მეორე ქცევა კი არა. ამ მიწით ვსარგებლობდით ოცდახუთ წელიწადს. ეხლა გამოჩნდა ვიღაც ძველი აზნაური და სასამართლოს ძალით ჩაიგდო ხელში ის ერთი ქცევა მიწა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით. ეხლა მიწა გადასცა სხვას. გთხოვთ გვიპასუხოთ ეს მიწა გვეკუთვნის ჩვენ თუ არა, როგორიც დარიბებს?

პასუხი:

თუ მიწა ნამდვილად თქვენს მფლობელობაში იყო ოცდახუთი წელიწადი და მიწის რეფორმის ჩატარების დროს ეს მიწა თქვენ დაგიტოვეთ, იმ შემთხვევაში მიწა არ უნდა ჩამოგართმეოდათ. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუცნობლად არ შეიძლება დასკვნის გამოტანა თქვენი უფლებების შესახებ ჩამორთმეულ მიწაზე. იმ პირს, ვისაც მიწა მიესაჯა, არ შეუძლია თავის ნებით გადაეცა ვინმესთვის მიწა სამაზრო სადგილმამულო ორგანოების გარეშე. თუ აღნიშნული მიწა ითვლება ფონდში და თქვენ ნორმაზე ნაკლები გაქვთ მამული, სადგილმამულო ორგანოებს შეუძლია ეს მიწა მოგცეს თქვენ, მიწის კოდექსის მე-9 მუხ. თ.-ლით.

ბიქტორ ზენაიშვილს.

კითხვა:

ვმსახურობ ლენინაკანში მემანქანეს თანაშემწედ 1924 წლიდან, მყავს ცოლ-შვილი, დედა, და ძმა, რომელნიც ჩემს კმაყოფაზე იმყოფებიან. ცოლი ვერ იტანს ლენინაკანის ჰავას, რის გამო იძულებული ვარ ოჯახი სხვა დაბალ ადგილას ვაცხოვრო, რადგან ორ ოჯახად ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელია, მე ვსთხოვე ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს გადავეყვანე სხვა ადგილზე, მაგრამ ჩემი თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ მოვიქცე, ვის მივმართო.

პასუხი:

თქვენი გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე დამოკიდებულია იმ დაწესებულების ადმინისტრაციაზე, სადაც თქვენ მსახურობთ. თქვენ შეგიძლიათ აღძრათ შუამდგომლობა გადაყვანის შესახებ, და ადმინისტრაციას შეუძლია თქვენი მდგომარეობის მიხედვით დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა, მაგრამ თქვენ არ გაქვთ უფლება მოითხოვოთ გადაყვანა სხვა ადგილზე რაიმე მიზეზით.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 26 ოქტომბერი

დღეს, 26 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საზამთრო მუშაობა სოფლის სამკითხველოებში—მოხსენება ქართულ ენაზე; მეცნიერებების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე; საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი; ტეხნიკური კონსულტაცია; რადიოგაზეთი თურქულ ენაზე; ოსური გაზეთი; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

დღეს, 26 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

მედსექციიდან: როზა რუბინშტეინი, ანა ოსიპოვი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: პოლის სარქიზიანი, ივანე მიხაილოვი, ემელიანე მაკაროვი, კარაპეტ მურადოვი, კონსტანტინე კაცუბა, სევერიანე ჯღენტი, იროდიონ ალადაძე, მიხეილ ხორავა, ანდრია ხოჭოლავა, ვალერიან ლაღაძე, შალვა გუნცაძე.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ბარისოვა, ნინო ორლოვა, ეკატერინე ტურიანი, რადიონოვი, მეჯაუროვი, ანგელინა დიდია, იარალოვი, არუთინოვი, თინა კურგაია, ვასილ ბაგდასაროვი, ნიკოლოზ ბეგლიაროვი, არამ ჩოლუქიანცი, კარაპეტიანცი, კაკუჩაია, არჩილ ჭეიძე, მიხეილ იმედაშვილი, სერგო სამხარაძე, ბულოვანოვი, კაკილიძე, იაკობ ლოლუა, დანდუროვი, კილაძე, დომიანი, მარგალიტაძე, სახოკიძე, არჩილ ბაქრაძე, მირზაშვილი, ბაბილინი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: სერგო ზალოევი, განცევიჩი, ფატი იამანიძე, ევა პაპელიაშვილი, სტეფანიშვილი, დავით ბარნაბიშვილი.

პარტიული კალენდარი

დღეს, 26 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ცეკას აგიტპროპაგანდის განყოფილებაში სდგება თათბირი, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენება ნებაყოფლობითი საზ-ის გამოკვლევის შედეგებზე.

თათბირზე საჭირო მასალებით უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ბედია (ტფ. კომ.), მიქაძე, მიხიტაროვი, შ. ლეჟავა, ქოიავა, (რეფერენტი) ბუჯიაშვილი, მახათაძე, (ა.ლ.კ.კ.ც.კ.) იმედაძე, ჩიქოტიშვილი, ხოჭუა (პოლიტგანათ. მთავ. მმართვ.) ი. მამულია, მირიანაშვილი („წითელი ჯვარი") სირაძე (ავიაქიმი) ყამარაული (ქართ. მთიელთა საზ-ბა), ბოკერია („წერა-კითხვა"), პატარაძე (რადიო მოყვ. საზ-ბა), გოგიბერიძე (ბავშვთა მეგობ. საზ-ბა), მგელაძე ((ცაკთან არს. ბავშვთა კომისია) და ნებაყოფლობით საზ-ბის რაისაბჭოს თავმჯდომარეები.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 26 ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზე, მოწვეულია გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში: ბიუროს ანგარიში. დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

—:—

სახ. პოლიტ. ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის პარტუჯრედის ბიურო იწვევს სამთო ფაკ. პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ დახურულ კრებას დღეს, 26 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე. დასწრება სავალდებულოა.

—:—

თბ. სახ. უნ. აგრ. ფაკ. ა.ლ.კ.კ. პირველი უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ პირველი და მეორე კურსის კომკავშირის (ე.ი. 1-ლ უჯ. ბიურო) უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 26 ოქტომბერს 3 საათზე. დასწრება ბიუროს წევრ-კანდიდატთათვის სავალდებულოა.

დამწუხრებულნი და უნუგეშოთ იყოფნი ნადეჟდა ყარამანის ასული, ეკატერინე, თამარა, თინა, ქეთო, ვიტია და ბაბუცა აუწყებენ საზოგადოებას, რომ პირველის მეუღლის და დანარჩენთა საყვარელ მამის

ასლან კიმოთეს-ძე ზაქარაიას

ხსოვნის აღსანიშნავად ამა ოქტომბრის 28, დღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4656

აკაკი და ტერეზა, ქრისტი, ყარამან და ელენე, ბეგლარ და ქეთევან, სევარიოზ და ელენე, ალექსანდრე და თამარ და მათი შვილები: ლილი, აზიკო, კოტიკო, ნელლი, ავთანდილ, თამარ, ნათელა, ლულუ, ვახტანგ და ზურაბ ფალავები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ მათი მარად საყვარელი და დაუვიწყარი დედისა და ბებია

ქრისტინე ფალავას

ხსოვნის აღსანიშნავად განსვენებულის საფლავზე, სოფ. ნახუნაოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, ოქტომბრის 28-ს. 4659

მეუღლე ეკა, შვილები: ამირიდონი, პროკოფი, ელენე, რძლები: ვერა და ნინო გოცირიძეები, სიძე ლევან ანჯაფარიძე, შვილიშვილები: ირაკლი და რუსუდანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 ოქტომბერს სოფ. ამბროლაურში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მინა სარდალის-ძე გოცირიძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ამბროლაურში (რაჭის მაზრა), კვირას, 28 ოქტომბერს. 2—1 ნ. 1742

დღეს, საღამოს 6 ს., განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3) გაიხსნება განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს მე-7 ყრილობა.
გან. მუშ. სახლშივე დღის 2 საათზე შესდგება
ც. გ. პლენარული სხდომა
იქვე დღის 3 საათზე დიდ დარბაზში შესდგება ყრილობის კომფრაქციის სხდომა.
5 საათზე კი გ. მ. ს. ლენინის კუთხეში მოწვეულია ყრილობის დელეგაციის წარმომადგენელთა თათბირი (სინიორენ-კონვენტი) ყრილობის საორგანიზაციო საკითხების გასარჩევად.
ნ. 1743. ც. გამგეობა.

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა
ამით აცხადებს, რომ ქუთაისში 30 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათ. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა; სიმონ გრიგოლის ძე ბათმანიშვილის ერთი ერთ სართულიანი (ქვეშ ერთი თვალი საწყობით) ქვითკირის სახლის, შემდგარის 4 საცხოვრებელი ოთახიდან და ერთი სამზარეულოთი, დახურული ცინკით, აგებულის საიჯარო მიწაზე ცეტკინის ქუჩაზე ზომით 30 ოთხკ. საჟ. შეფასებული 2.000 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან წითელი ჯვრის და სხვ. ძიების დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპრ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც.-ის საწინდარი. 4583

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია
ამით აცხადებს, რომ 1928 წ. 31 ოქტომბერს დილის 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მიხეილ იოსების-ძე გოკიელოვის ერთ ორ სართულიანი ქვითკირის სახლს, მდებარე ქ. ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ექვს საცხოვრებელ ოთახს, ერთი დერეფანით, ერთი სამზარეულოთი წინ სადარბაზო კარებით. ქვედა სართულში დარაბები მუნიციპალიზაციაქმნილია. სახლი დახურულია ყუმბით, საზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით მირიან დოლიძის, ოლღა [illegible]იკნაძის და მუნიციპალური დარაბები, დასავლეთით ბენიამინ კაკიტელაშვილის ადგილი, ჩრდილოეთით ყოფილი გოკიელოვის, ელა მანიაძის, თარონაშვილის და მირიან დოლიძის მამული, სამხრეთით პუშკინის ქუჩა. სახლი შეფასებულია 7.000 მანეთად ივანე ბეჟა ის-ძე [illegible] ვალის დასაკმაყოფილებლად ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები 311 და 312 მუხლის ს.ს.ს. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1744

მოქალაქეთა სამურადღებოდ
კოლექტივთა გამაერთიანებელი სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ქალ. თბილისში
სავაჭრო კოლექტივის
„თბილისის ლარიოკი"-ს
მიერ მიღებულია დიდძალი საგალანტერიო-საპარფიუმერიო საქონელი, ტრიკოტაჟი, ჭურჭეულობა და ფეხსაცმელები.
ფასები უდრის კოოპერატიულ სავაჭროების ფასებს.
კანტორა და საწყობი პუშკინის ქუჩა № 2.
ნ. 1649 13—11

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშამლას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 25—2

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე
შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.
იღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტებზე და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ, საღამ. 5—8 საათ.

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი (ფსიხოთერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოეს", პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), კადეტთა კორპუსის უკან.

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5-90. 25-1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვის ექიმობა.
ჭავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის იქრო ბელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 13019 რაფიელ კაჭარავას სახელზე ჩ. გ. 4661

დაკარგა: სახ. უნივ. სამხ. მაგიდის მიერ გაცემული დროებითი მოწმობა ალექსანდრე ტრიფონის ძე შავლაყაძის სახელზე ჩ. გ. 4658

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 7621 სატრანსპორტო კავშირიდან გაცემული სამუელ ფირანის ძე ითხმეზურის სახელზე. ჩ. გ. 4663

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 22496 ვლადიმერ დარისპახისძე გველესიანის სახელზე. ჩ. გ. 4657

დაკარგა: ქუთაისის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 590, სამსონ პავლეს ძე იერეკაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1741

დაკარგა: ქუთაისის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 5365, ბესარიონ პავლეს-ძე აბალაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1741

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 38125 გიორგი ხუროძეს სახელზე, ჩ. გ. 4664

დაკარგა: ა.ლ.კ.კ. საწევრო წიგნაკი ვლადიმერ ამბაკოს-ძე კაკუთელიძის სახელზე. ჩ. გ. 4665

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.